ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

6 აგვისტო **პარასკევი** 2010

№ 183 (13 171) ფასი 60 თეთრი




# მოგება შეიძლებოდა




**გაიტანა, მაგრამ გავარდა, ვერ გაიტანეს, მაგრამ გავიდნენ...**

ქართველები ევროპის ლიგაში

» გვერდი 4



ლადო დვალიშვილის გოლმა მაქაბის ვერ უშველა




გუშინ ეროვნულზე. რობერტინიოს გოლმა იმედი მოგვცა, მაგრამ...

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოგება შეიძლებოდა...

## სამქულიანებზე ტაბუ დაგვიდეს

5 აგვისტო, ანტვერპენი. ლოტო

**ბელგია-საქართველო 74:64**

19:24, 26:16, 18:9, 21:16

მსაჯები: ენგინ კენერმანი (თურქეთი), ანასტასიოს პილოიდისი (საბერძნეთი), სერგეი ჩებიშევი (უკრაინა)

| ბელგია | წთ | 2-ქულიანი ჩ | 2-ქულიანი ნ | 2-ქულიანი % | 3-ქულიანი ჩ | 3-ქულიანი ნ | 3-ქულიანი % | საჯარიმო ჩ | საჯარიმო ნ | საჯარიმო % | მოხსნა მ | მოხსნა ს | მოხსნა ჯ | პ | ჯ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4. *მოორსი | 24 | 1 | 2 | 50.0 | 0 | 1 | 0.0 | 3 | 4 | 75.0 | 1 | 3 | 4 | 0 | 2 | 1 | 3 | 0 | 5 |
| 5. *ვან როსომი | 24 | 3 | 4 | 75.0 | 0 | 3 | 0.0 | 1 | 2 | 50.0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 2 | 0 | 7 |
| 6. ბეგინი | 25 | 7 | 10 | 70.0 | 0 | 0 | 0.0 | 3 | 4 | 75.0 | 0 | 2 | 2 | 0 | 4 | 1 | 2 | 0 | 17 |
| 7. *ერველე | 36 | 4 | 12 | 33.3 | 0 | 2 | 0.0 | 1 | 1 | 100.0 | 3 | 3 | 6 | 2 | 4 | 1 | 3 | 0 | 9 |
| 8. ოვენეკე | 3 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 1 | 0.0 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 9. იონკვეიდი | 11 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 2 | 0.0 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 10. ლაუერსი | 11 | 0 | 0 | 0.0 | 3 | 5 | 60.0 | 4 | 4 | 100.0 | 1 | 0 | 1 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 13 |
| 11. *დრიესენი | 5 | 0 | 1 | 0.0 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 12. ტაბუ-ებომა | 28 | 1 | 2 | 50.0 | 3 | 4 | 75.0 | 3 | 4 | 75.0 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 2 | 0 | 0 | 14 |
| 13. მუია | 4 | 1 | 1 | 100.0 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 1 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 |
| 15. *ფეისონი | 30 | 0 | 0 | 0.0 | 2 | 3 | 66.7 | 1 | 2 | 50.0 | 0 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | 2 | 0 | 7 |
| გუნდი | | | | | | | | | | | 0 | 0 | 0 | | 0 | 3 | 0 | | |
| ჯამი | | 17 | 32 | 53.1 | 8 | 21 | 38.1 | 16 | 22 | 72.7 | 6 | 11 | 17 | 7 | 23 | 9 | 12 | 0 | 74 |

*შენიშვნა: ვარსკვლავით აღნიშნულმა კალათბურთელებმა შეხვედრა სასტარტო შემადგენლობაში დაიწყეს*

| საქართველო | წთ | 2-ქულიანი ჩ | 2-ქულიანი ნ | 2-ქულიანი % | 3-ქულიანი ჩ | 3-ქულიანი ნ | 3-ქულიანი % | საჯარიმო ჩ | საჯარიმო ნ | საჯარიმო % | მოხსნა მ | მოხსნა ს | მოხსნა ჯ | პ | ჯ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4. გამყრელიძე | 13 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 2 | 2 | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 7. *ფაჩულია | 26 | 9 | 11 | 81.8 | 0 | 0 | 0.0 | 2 | 2 | 100.0 | 2 | 1 | 3 | 0 | 4 | 6 | 0 | 0 | 20 |
| 8. *ცინცაძე | 29 | 1 | 3 | 33.3 | 1 | 5 | 20.0 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 1 | 4 | 6 | 1 | 0 | 5 |
| 9. შერმადინი | 14 | 1 | 1 | 100.0 | 0 | 0 | 0.0 | 3 | 4 | 75.0 | 0 | 3 | 3 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 5 |
| 11. მარკოიშვილი | 30 | 2 | 4 | 50.0 | 0 | 2 | 0.0 | 3 | 4 | 75.0 | 1 | 1 | 2 | 1 | 4 | 3 | 1 | 0 | 7 |
| 13. *სანიკიძე | 35 | 3 | 4 | 75.0 | 1 | 5 | 20.0 | 1 | 1 | 100.0 | 1 | 7 | 8 | 0 | 2 | 1 | 2 | 1 | 10 |
| 21. *გრინი | 31 | 1 | 4 | 25.0 | 2 | 5 | 40.0 | 2 | 2 | 100.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 3 | 2 | 0 | 0 | 10 |
| 22. ცქიტიშვილი | 8 | 1 | 1 | 100.0 | 0 | 1 | 0.0 | 1 | 1 | 100.0 | 0 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 |
| 23. *შენგელია | 14 | 2 | 4 | 50.0 | 0 | 0 | 0.0 | 0 | 0 | 0.0 | 1 | 3 | 4 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 4 |
| გუნდი | | | | | | | | | | | 0 | 0 | 0 | | 1 | 1 | 0 | | |
| ჯამი | | 20 | 32 | 62.5 | 4 | 18 | 22.2 | 12 | 14 | 85.7 | 5 | 22 | 27 | 4 | 23 | 21 | 5 | 1 | 64 |

*შენიშვნა: წ - წუთი, 2-ქულიანი - (ჩ) ჩაგდებული, (ნ) ნატყორცნი; 3-ქულიანი - (ჩ) ჩაგდებული, (ნ) ნატყორცნი; საჯარიმო - (ჩ) ჩაგდებული, (ნ) ნატყორცნი; მოხსნა - (მ) მეტოქის ფარზე, (ს) საკუთარ ფარზე (ჯ) ჯამი; პ - პასი, ჯ - ჯარიმა, შ - შეცდომა, ჩ - ჩაჭრა, დ - დაფარება, ქ - ქულა*

მატჩის დასრულებისთანავე მეგობარმა მომწერა: რა გახდა ერთი თვითმფრინავის დაქირავება... პოლონეთთან ასეთი ომის შემდეგ გუნდმა ღამე გაათენა, გამთენიისას თურქეთში გაემგზავრა, იქიდან ბრიუსელში ჩაფრინდა და ავტობუსით ანტვერპენამდე იარა... იქ კი არანაკლები ბრძოლა ელოდაო.

ბელგია-საქართველოს მატჩის მიმოხილვა გადაღლაზე ლაპარაკით იმიტომ დავიწყე, რომ ეს ფაქტორი წაგების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მიმაჩნია. თავად განსაჯეთ: მატჩის პირველ და მეორე ტაიმებში სხვადასხვანაირი **ზაზა ფაჩულია** ვიხილეთ. დასაწყისში მისი შეჩერება ბელგიელებს ძალიან გაუჭირდათ (8-დან 7 ორქულიანი ჩააგდო), ხოლო მეორე ნახევარში მხოლოდ სამი ორქულიანი ისროლა. არადა, ბელგიელები როგორ ხისტადაც საწყის 20 წუთში ეთამაშებოდნენ, ისევე განაგრძეს დასკვნით მონაკვეთში. სხვათა შორის, ზაზამ მატჩის წინა დღეს თქვა: მგზავრობამ ძალიან დაგვღალაო.

**გიორგი ცინცაძე** პირველ ტაიმში ისევე კარგად გაისარჯა, როგორც პოლონეთთან, მეორე 20 წუთში კი 4 შეცდომა დაუშვა.

**მანუჩარ მარკოიშვილი** ხედავდა, რომ თანაგუნდელებს პირველ ტაიმში თამაში კარგად მიჰყავდათ და ერთ სამქულიანზე მეტის სროლა საჭიროდ არ ჩათვალა. იგი, როგორც წესი, სამქულიანების სასროლად გადამწყვეტ ეპიზოდებში იწევა. იტალიურ „კანტუში" ბოლო წუთნახევარში ორი-სამი სამქულიანიც ჩაუგდია, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ თამაშის შემოსატრიალებლად ანტვერპენში არც მას ეყო ენერგია.



სხვათა შორის, მწვრთნელმა **იგორ კოკოშკოვმა** მესამე პერიოდი სასტარტო ხუთეულის წევრებს დააწყებინა (ცინცაძე, **გრინი, სანიკიძე, შენგელია** და ფაჩულია), მაგრამ მათ შეტევაში ძალიან გაუჭირდათ და ბელგიელებმა შორეული ტყორცნების წყალობით 11 ქულით გაგვასწრეს. ამის შემდეგ მოედანზე ერთმანეთის მონაცვლეობით შემოვიდნენ **გამყრელიძე, შერმადინი**, მარკოიშვილი (სანიკიძე მოედანზე დარჩა) და სწორედ სათადარიგოებმა შემოატრიალეს თამაში: შვიდწუთიანი მშრალი სერია **შერმადინმა** ორი საჯარიმოთი დაასვენა, ამას მოჰყვა გრინის ორქულიანი, სანიკიძის სამიანი და ორი საჯარიმო, ხოლო მეოთხე პერიოდის წინ მანუმ ეფექტური პასით სანიკიძეს ფარქვეშიდან ჩააგდებინა და ქართველებმა ანგარიში გაათანაბრეს - 54:54.

როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ეს იყო საქართველოს ნაკრების ბოლო აფეთქება. მწვრთნელმა **იგორ კოკოშკოვმა** მეოთხე პერიოდი იმ შემადგენლობით დაიწყო, რომელმაც მესამე ათწუთეული წარმატებით ჩაამთავრა. ამას დაერთო გულშემატკივართა შეძახილი - საქარ-თვე-ლო... მაგრამ მეოთხე რაუნდში ქართველთა თოფებს წამალი გამოელიათ. სამაგიეროდ, ბენილუქსელთა არმიაში გამოჩნდა კარგი მეზარბაზნე: საფინალო სირენამდე 6 წუთით ადრე იტალიური „აველინოს" წევრმა **დმიტრი ლაუერსმა** ორი სამქულიანი გამოიყენა და ბელგიელთა მინიმალური ჩამორჩენა ხუთქულიან ფორად აქცია - 61:56. მართალია, ფაჩულიამ მოედანზე დაბრუნებისთანავე ჯარიმიანი ორქულიანი ჩააგდო, მაგრამ ბოლო წუთებს მასპინძლები უფრო ქორფად შეხვდნენ და შესარჩევი გამარჯვებით გახსნეს - 74:64.

ქართველი კალათბურთელები მხოლოდ მგზავრობას არ დაუღლია, ისინი ბელგიელების დევნამაც გათანგა. თუ პოლონეთის ნაკრებში სამი კარგი მსროლელი იყო (მათგან ორი მეფარე), ბელგიის ნაკრების კალათბურთელები პერიმეტრზე ბუზებივით ირეოდნენ. ხან **ფეისონი** ისროდა შორიდან, ხან **ლაუერსი**, ხანაც **ტაბუ-ებომა**... მათ ქართველებზე სამით მეტი სამიანი (21) ისროლეს და ორჯერ მეტი გამოიყენეს - 8. თუ გერმანიასთან ჩაგდებულ შეხვედრას არ ჩავთვლით, ბელგიის ნაკრები ამხანაგურ მატჩებში 30-მდე სამქულიანს ისროდა და 10-ზე მეტს იყენებდა. გუშინ ეს მაჩვენებელი ცოტა შეიკვეცა, რაც ქართველთა დაცვის დამსახურება იყო. ბოლო პერიოდში ლაუერსისთვის ორი შორეული ტყორცნის უფლება რომ არ მიეცათ, შეგვეძლებოდა თქმა, რომ დაცვაში უკანახაზელებმა მისია კარგად შეასრულეს, მაგრამ...

წინა ხაზში კი **ვლადიმერ ბოისა** გვაკლდა... სწორედ მისი სიმაღლის **კრისტოფ ბეგინმა** იმუშავა კარგი კალატოზივით და ქულა-ქულაზე მიაწყო. მას საბოლოოდ 17 ბალი მოუგროვდა და სამით ჩამორჩა მატჩის სნაიპერ ზაზა ფაჩულიას. მართალია, 9 ქულას ვერ ასცდა **აქსელ ერველე**, მაგრამ მან შავი სამუშაო არ ითაკილა და გამარჯვებაშიც დიდი წვლილი შეიტანა.

საქართველოს ნაკრებმა წლეულს სლოვაკეთთანაც 10 ქულის სხვაობით წააგო და უნგრეთთანაც, თუმცა ბელგიურმა მარცხმა ფინეთში 10-ქულიანი წაგება გამახსენა: 2006 წელს ჰელსინკიში 81:91 დავთმეთ. ვისაც ის შეხვედრა ნანახი აქვს, შეიძლება გაუკვირდეს - რა შუაშია ეს ორი პაექრობა ერთმანეთთანო. მართალიც იქნება: ბელგიასთან და ფინეთთან ერთნაირი სხვაობა დაფიქსირდა, მაგრამ თამაშის ხარისხი და ხასიათი ცასა და დედამიწასავით განსხვავებული იყო. 2006 წელს ფინეთში დაცვაში ცუდად ვითამაშეთ (91 ქულა მივიღეთ); არც შეტევაში გამოვიყურებოდით კარგად - 81-დან 36 ქულა ფაჩულიამ ჩააგდო. ზაზამ ორთაბრძოლის მთელი სიმძიმე საკუთარ თავზე იმიტომ აიღო, რომ გუნდურად არაფერი გამოვიდა.

დღეს საქართველოს ნაკრები სხვა გუნდია: დაცვაშიც გუნდურად თამაშობს და შეტევაშიც. ეგაა მხოლოდ, რამდენიმე ეპიზოდში მცირე ჩავარდნა მოუვიდა, რაც მეტოქემ არ აპატია. ეს არც უნდა გაგვიკვირდეს, რადგან მოწინააღმდეგე ბელგიის შეკრული ნაკრები იყო, რომელსაც შარშან ევროპის ჩემპიონატზე მოსახვერად ნაბიჯიღა დააკლდა.

მთავარი კი ისაა, რომ ჩემ მსგავსად ბევრს დარჩა შეგრძნება: ბელგიაში მოგება შეიძლებოდა...

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 აგვისტო: | | საქართველო-პოლონეთი | 84:65 |
| | | პორტუგალია-ბულგარეთი | 59:67 |
| 5 აგვისტო: | 22:15 | ბელგია-საქართველო | 74:64 |
| | 20:00 | პოლონეთი-პორტუგალია | 86-64 |
| 8 აგვისტო: | 20:00 | ბულგარეთი-პოლონეთი (სოფია) | |
| | 23:30 | პორტუგალია-ბელგია (კოიმბრა) | |
| 11 აგვისტო: | 19:00 | საქართველო-პორტუგალია (თბილისი) | |
| | 22:00 | ბელგია-ბულგარეთი (ანტვერპენი) | |
| 14 აგვისტო: | 20:00 | ბულგარეთი-საქართველო (სოფია) | |
| | 20:00 | პოლონეთი-ბელგია (ლოძი) | |
| 17 აგვისტო: | 20:00 | პოლონეთი-საქართველო (ლოძი) | |
| | 20:00 | ბულგარეთი-პორტუგალია (სოფია) | |
| 20 აგვისტო: | 19:00 | საქართველო-ბელგია (თბილისი) | |
| | 23:30 | პორტუგალია-პოლონეთი (კოიმბრა) | |
| 23 აგვისტო: | 20:00 | პოლონეთი-ბულგარეთი (კატოვიცე) | |
| | 22:00 | ბელგია-პორტუგალია (ანტვერპენი) | |
| 26 აგვისტო: | 23:30 | პორტუგალია-საქართველო (ალბუფეირა) | |
| | 20:00 | ბულგარეთი-ბელგია (სოფია) | |
| 29 აგვისტო: | 19:00 | საქართველო-ბულგარეთი (თბილისი) | |
| | 22:00 | ბელგია-პოლონეთი (ანტვერპენი) | |




## გორტატის რეაბილიტაცია

**პოლონეთი-პორტუგალია 86:64**

19:10, 25:23, 22:15, 20:16

პოლონეთი: ჩილინსკი (8ქ), ბერიშა (12ქ), ლამპე (14ქ, 9მ), შუბარგა, დილევიჩი (2ქ), ჰრუჩიანიუკი (4ქ), მაიევსკი (2ქ), კელატი (13ქ, 6მ, 4პ), გორტატი (19ქ, 11მ), კოზარეკი (12ქ, 9პ)

პორტუგალია: მინავა (8ქ, 4პ), ევანსი (5ქ, 5პ, 4ჩ), სილვა (12ქ), გომეში (2ქ), ჟორდაო (9ქ), პ. პინტუ (5ქ, 3პ), ა. პინტუ (7ქ), კორტესი (7ქ), მირანდა (3ქ), სანტოსი (6ქ), სილვა

პირველ ტურში ორმა ფავორიტმა წააგო: პოლონეთმა და იტალიამ. ველოდით, რომ ისინი მეორე ტურში ძალების კონცენტრირებას მოახდენდნენ და გაიმარჯვებდნენ, თუმცა ვარაუდი სანახევროდ გამართლდა - პოლონეთმა მართლაც დამაჯერებლად დაამარცხა პორტუგალია. ამ მატჩში საკუთარი გულშემატკივრის წინაშე რეაბილიტაცია მოახდინა **მარცინ გორტატმა**, რომელმაც 19 ქულას 11 მოხსნა მიამატა.

იტალიამ კი ვერც ამჯერად მოახერხა გამარჯვება - ლატვიაში 68:69 დათმო.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 2 | 1 | 1 | 148/139 | 3 |
| 2. პოლონეთი | 2 | 1 | 1 | 151/148 | 3 |
| 3. ბელგია | 1 | 1 | 0 | 74/64 | 2 |
| 4. ბულგარეთი | 1 | 1 | 0 | 67/59 | 2 |
| 5. პორტუგალია | 2 | 0 | 2 | 123/153 | 2 |

U 16. B დივიზიონი

## ისევ რუმინეთი, ისევ მოგება

**5 აგვისტო. ტალინი**

**საქართველო-რუმინეთი 83:61**

27:16, 18:16, 23:14, 15:15

საქართველო: გოლეთიანი (9 წთ, 3ქ), გოგბაიძე (14 წთ, 2ქ), რამიშვილი (22 წთ, 7ქ, 5პ), ბურჯანაძე (24 წთ, 16ქ, 14მ, 3დ), გრძელიძე (18 წთ, 12ქ), ლოლიშვილი (27 წთ, 16ქ, 6მ), მიქელაძე (26 წთ, 2ქ, 6მ), კვანტალიანი (12 წთ, 5ქ, 7მ), ცირეკიძე (22 წთ, 11ქ, 10მ), ფხალაძე (13 წთ, 2ქ), ნადირაძე (9 წთ, 5ქ), ხეთაგური (4 წთ, 2ქ)

რუმინეთი: პორტოლლუ (14ქ, 6მ), პოპოვიჩი (15ქ, 9მ)...

ამ ზაფხულს საქართველოსა და რუმინეთის ნაკრებები ერთმანეთს მეოთხედ შეხვდნენ: ახალგაზრდების, ჭაბუკებისა და ეროვნული გუნდის მსგავსად რუმინელებს კადეტებმაც აჯობეს.

ქართველმა 16-წლამდელებმა გუშინ დამაჯერებლად მოიგეს და მომდევნო ეტაპზე გასვლის სერიოზული განაცხადი გააკეთეს.

დღეს, ჩვენი კადეტები ბელგიას დაუპირისპირდებიან.

გვერდი მოამზადა

**ვაჟა სიმონიშვილმა**




## არ გამოგრჩეთ!

„ლელოს" ხვალინდელი ნომერიდან, შაბათობით, მურმან მერკვილიშვილის ახალ რუბრიკაში - „სპორტული კურიოზები" - მოგითხრობთ საქართველოს ვეტერან და ახალგაზრდა სპორტსმენთა მხიარულ თავგადასავლებზე. რუბრიკას ვხსნით ოლიმპიური ჩემპიონის გიორგი ასანიძის ნაამბობით.

ევროპის ლიგა

III საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

# მეორმოცე წუთზე შეწყვეტილი სიმღერა

05.08. თბილისი. ეროვნული. 8 500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| შტურმი (ავსტრია) | 1 |
| დინამო (საქართველო) | 1 |

პირველი მატჩი 0:2

1:0 რობერტინიო (10. ჯუისის პასით), 1:1 მურატოვიჩი (40-პენალტით)

დინამო: ლორია - კახელიშვილი, თომაშვილი, კაკუბავა, ხმალაძე - თექთურმანიძე (77. მამუჩიშვილი), ედნილსონი, კოშკაძე - რობერტინიო (81. გავაშელიშვილი), ჯუისი (68. გველესიანი) - ვანაძე.

სათადარიგოები: შეყრილაძე, სიხარულიძე, ლექვთაძე, წენგუაშვილი

შტურმი: გატცეი - შტანდფესტი, შილდენფელდი, ფელდჰოფერი, პიურხერი - ჰიოლცლი, ვებერი (65. ჰაასი), კინცლი (46. ფოდა), ბუკვა, ჟაბიჩი (79. კინასტი) - მურატოვიჩი.

სათადარიგოები: ჩავლინა, ვაინბერგერი, ბურგშტალერი, ერენრაიხი.

გაფრთხილება: ვებერი (48), შილდენფელდი (63), ვანაძე (90)

გაძევება: კახელიშვილი (40), ხმალაძე (63)

არბიტრი: მირალდ მაჟიჩი (სერბეთი)



კვირის წინ გრაცში ორი მშრალი ბურთით წაგების შემდეგ, „დინამო" საპასუხო მატჩში შინ ბრძოლას დაგვპირდა და ბოლომდე იბრძოლა კიდეც. თუმცა ავსტრიული ბარიერის გადალახვა მაინც არ მოხერხდა. არა და, „შტურმის" გამოგდება შეუძლებელი ნამდვილად არ იყო. ფლეი ოფში ავსტრიელები გავიდნენ, მაგრამ იქნებ ასე არც მომხდარიყო, გუშინდელი მატჩის სერბ არბიტრ **მირალდ მაჟიჩის** შეცდომებს სტუმართა წისქვილზე რომ არ დაესხა წყალი. ეს მით უფრო დასანანია იმიტომ, რომ გუშინ ყველაფერი კარგად დაიწყო, „სწრაფი გოლი" მე-10 წუთზე და მინიმუმამდე შემცირებული სხვაობა თბილისელებმა მეორე გოლიც მოამწიფეს და კიდევ გაიტანდნენ ბურთს და იქნებ გასვლაზე რეალურადაც გვებრძოლა, მაგრამ... მე-40 წუთზე ყველაფერს წერტილი დაესვა, 40 წუთში „დინამოს" ევროსიმღერა ერთი წლით შეწყდა... არბიტრის არასწორი გადაწყვეტილების გამო თამაში მოკვდა. მე-40 წუთზე მომხდარი ეპიზოდი, საკვანძო იყო ამ შეხვედრაში. სტუმართა შეტევისას ბურთი ძელს მოხვდა, ასხლეტილ ბურთს **სამირ მურატოვიჩი** ფაქტობრივად ცარიელ კარში ურტყამდა, მაგრამ **გიორგი კახელიშვილმა** „შტურმის" ფეხბურთელს უკნიდან მაისურაზე მოქაჩა და არ დაარტყმევინა. არბიტრმაც არ დაახანა, კახელიშვილი მოედნიდან გააძევა და თბილისელთა კარში თერთმეტმეტრიანი დანიშნა. დაზარალებულმა მურატოვიჩმა პენალტი გოლად აქცია და ანგარიშიც ასე გათანაბრდა, 1:1.

ტრიბუნიდან დანახულით ძნელია, ამ ეპიზოდზე გადაჭრით რაიმეს თქმა, მაგრამ ყველა ერთს ამტკიცებდა და იგივე თქვა დინამოელთა თავკაცმა **კახა კაჭარავამ** - პენალტი უნდა დანიშნულიყო, მაგრამ წითელ ბარათს კახელიშვილი არ იმსახურებდა, გაფრთხილებაც საკმარისი იყო, რადგან ეს ე. წ. ბოლო იმედის ჯარიმა ნამდვილად არ ყოფილაო. ამას გარდა, არბიტრმა სხვა ეპიზოდებშიც შესცოდა სტუმართა სასარგებლოდ, დინამოელებმა მაინც ბოლომდე იბრძოლეს და მოედანზე დარჩენილმა 9 ფეხბურთელმა მაინც იმდენი გააკეთა, რომ თამაში არ წავაგეთ. მართალია გამოვვარდით, მაგრამ ეს ფრე რეიტინგში მცირედს მაინც შეგვმატებს.

ერთიც უნდა აღინიშნოს, „დინამო" ახალგაზრდული გუნდია და ბიჭებს „სისხლი უდუღთ". იმაშიც ვეთანხმებით ჩვენი გუნდის მთავარ მწვრთნელ კახა კაჭარავას, რომ ეს ბიჭები კიდე მოუმატებენ, უკეთესად ათამაშდებიან, „დალვინდებიან" კიდეც... თუმცა ერთს მოკრძალებულად მაინც შევნიშნავთ, უკეთესი იქნება, თუ ფეხბურთელები დისციპლინას მეტ ყურადღებას მიაქცევენ.

რაც შეეხება მატჩის მსვლელობას, თამაში დუნედ დაიწყო, მერე კი ტემპმა იმატა. პირველად კარისკენ სტუმრებმა გაისროლეს, მაგრამ მურატოვიჩის დარტყმული ჩვენს კარს გადასცდა. მალევე **ანდრეას ჰიოლცლის** დარტყმული აილო მეკარე **გიორგი ლორიამ**, მერე კი დინამოელთა ჯერი დადგა. პირველი მცდელობისას **რობერტინიოს** მიზანმა მცირედით უმტყუნა, მაგრამ მე-10 წუთზე კი მარცხნიდან **დონალდ ჯუისის** ჩაწოდებულ ბურთს, ბრაზილიელმა ნახევარმცველმა სტუმართა კარის ბადეში მიუჩინა ადგილი, 1:0. გატანილმა გოლმა დინამოელებს მადა ალუძრა და მათაც „შტურმზე" ზეწოლა გააძლიერეს. რობერტინიოს, კახელიშვილისა და **ედნილსონის** დარტყმები მიზანს ასცდა. მე-20 წუთზე **გიორგი თექთურმანიძის** სახიფათო ჩაწოდებისას ავსტრიელთა კართან კიდევ ერთხელ დაირღვა სიმშვიდე, მაგრამ... 23-ე წუთზე კი გრაცელები ხარიხამ იხსნა - რობერტინიოს ჩაწოდებულს ჯუისმა თავური მიაყოლა, მაგრამ ბურთი ხარიხამ აისხლიტა. ტაიმის მიწურულს ავსტრიელებიც გამოფხიზლდნენ, **ფელდჰოფერმა** ახლო მანძილიდან ააცილა, 36-ე წუთზე თექთურმანიძის ჩაწოდებული რობერტინიომ კარში გადაგზავნა, მაგრამ ამჯერად სტუმართა მეკარე **კრისტიან გატცეიმ** იმარჯვა. ამას კი ის საკვანძო ეპიზოდი მოჰყვა, რომელიც ზემოთ აგიღწერეთ...

თბილისელებმა მეორე ტაიმი გოლით დაიწყეს, ბურთი დონალდ ჯუისმა გაიტანა, მაგრამ მსაჯებმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირეს და გოლი არ ჩათვალეს. 53-ე წუთზე **ალექსანდრე კოშკაძის** ჯარიმა გადაცდა ავსტრიელთა კარს. მერე მურატოვიჩის დარტყმისას უკვე გიორგი ლორიამ იმარჯვა. 57-ე წუთზე ჯუისის დარტყმულიც უშედეგო აღმოჩნდა. ამას კი **ლევან ხმალაძისა და გორდონ შილდენფელდს** შორის ჯერ ხისტი თამაში, ძიძგილაობა და არბიტრის მიერ დარიგებულ წითელ-ყვითელი ბარათი მოჰყვა. ამჯერადაც წითელი ბარათი დინამოელს ერგო და მეტოქე უკვე ორკაციან უპირატესობაში აღმოჩნდა. უკვე ცხადი გახდა ამ ბარიერის გადალახვა შეუძლებელი იყო და დინამოელთა თავკაცმა კახა კაჭარავამ შეცვლებით დაცვა და ნახევარდაცვა გააძლიერა. ავსტრიელებმა თბილისშიც ჩაიფიქრეს მოგება. გრაცელთა გუნდის თავკაცმა **ფრანკო ფოდამ** თავისი შვილის, **სანდრო ფოდას** შემდეგ ჯერ გამოცდილი **მარიო ჰაასი**, მერე კი ავსრიის ნაკრების თავდამსხმელი **რომან კინასტი** შეუშვა მოედანზე. დარჩენილი დრო სტუმართა უპირატესობით წარიმართა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა. 67-ე წუთზე ჰაასის დარტყმული ხარიხამ აისხლიტა. ბოლოს კი, ავსტრიელთა გუნდში და მთლიანად თამაშში ყველაზე აქტიურ ანდრეას ჰიოლცლის ორი კარგი საგოლე მომენტი ჰქონდა, ჯერ მეკარე გიორგი ლორიამ იმარჯვა, მერე კი ძელმა იხსნა თბილისელთა კარი.

საბოლოოდ მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა. „დინამოსთვის" ევროტურნირები უკვე დასრულდა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკადრო პრობლემებით, ამ შემადგენლობით (რომელშიც გამოუცდელი ფეხბურთელები მრავლად არიან), საბოლოო ჯამში, დინამოელთა ევროასპარეზობა დადებითად უნდა შეფასდეს. 2004 წლის შემდეგ, როცა „დინამომ" უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე იასპარეზა, 6 წლის განმავლობაში გუნდი მესამე რაუნდში არ გასულა. ეს კი ამ გუნდმა, ამ შემადგენლობამ შეძლო. იმედია, ეს ბიჭები გაისად უფრო მეტს შეძლებენ.

## გურამ კაშია დინამოში ბრუნდება?

მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მხოლოდ „დინამოს" მთავარი მწვრთნელი კახა კაჭარავა მოვიდა. მისმა მეტოქე ფრანკო ფოდამ კი არც ჩვენ გვიკადრა და არც ავსტრიელი მასმედიელები.

*„დასანანია, რომ ვერ მოვიგეთ და ეს ბარიერი ვერ გადავლახეთ. ჩემი ფეხბურთელების თამაშით კმაყოფილი ვარ. მათ ყველაფერი გაიღეს, ბოლომდე იბრძოლეს, მაგრამ...*

*შეიძლებოდა კახელიშვილი არბიტრს მხოლოდ გაეფრთხილებინა და არ გაეძევებინა. პენალტი კი უნდა დანიშნულიყო.*

*დიახ, გურამ კაშია ისევ ჩვენს გუნდში ვარჯიშობს. გვინდა მისი დაბრუნება. გურამი დიდი ძალაა, მასთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს და იმედია შედეგიანად დასრულდება",* - გვითხრა კახა კაჭარავამ.

გვერდი მოამზადა
**დავით ცაბაძემ**
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ჰასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ევროპის ლიგა

III საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

# ზესტაფონმა კარპატები ვერ დაიპყრო

05.08.10. ზესტაფონი. დ. აბაშიძე.
5 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ზესტაფონი (საქართ.) | 0 |
| კარპატი (უკრაინა) | 1 |

პირველი მატჩი 0:1

0:1 კოჟანოვი (90. ხუდობიაკის პასით)

ზესტაფონი: კვასხვაძე - ალადაშვილი, ონიანი, ხიდეშელი, ელიავა - ძარია (60. ბაბუნაშვილი), დაუშვილი (80. ბენაშვილი), გრიგალაშვილი, აფციაური - გელაშვილი, დვალი (67. წინამძღვრიშვილი).

სათადარიგოები: მამალაძე, კობახიძე, მაკარიანი, გორგიაშვილი.

კარპატი: ტლუმაკი - ფედეცკი, მილოშევიჩი, ტუბიჩი, ოშიპკო (32. აველარი) - ზენიოვი (46. გურული), ტკაჩუკი, გოლდვინი, ხუდობიაკი - კოჟანოვი (90. გ. ბარანეცი), ბატისტა.

სათადარიგოები: მიზაკი, ტარასენკო, პეტრივსკი, ბ. ბარანეცი,

გაფრთხილება: ონიანი (44), ბატისტა (66), ტუბიჩი (70).

არბიტრი: ტომი შერვენი (ნორვეგია)

„ზესტაფონისთვის" ლვოვის „კარპატის" ბარიერი გადაულახავი აღმოჩნდა. არადა, უკრაინული გუნდი სულაც არ ჩანდა იმ კალიბრის, რომ სტუმრად წაგებული 0:1-ის შემდეგ ფეროელებს მასთან შინ მოგების შანსი არ ჰქონოდათ. სამწუხაროდ, **გია გეგუჩაძის** მიერ დამოძღვრილმა გუნდმა თავისი საუკეთესო თამაში ვერ აჩვენა, ქართველებს ბევრი წუნი ჰქონდათ და მათი სისუსტე სტუმრებმა კარგად გამოიყენეს. ზესტაფონელებმა ისე ითამაშეს, რისი საშუალებაც მათ უკრაინელებმა მისცეს. **კანონოვის** გუნდმა პრაგმატული, თუმცა ტაქტიკურად გამართული ფეხბურთით შეძლო ზესტაფონური ბარიერის გადალახვა.

ერთთვიანმა გვალვამ ზესტაფონის სტადიონს შესამჩნევი დაღი დაატყო, მინდორი არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში, თითქმის გადატყავებული იყო. სხვა მხრივ, ფეროელთა ქალაქში კარგი საფეხბურთო ატმოსფერო სუფევდა. სტადიონი ბოლომდე გადაიჭედა და გულშემატკივრებისთვის ინდივიდუალური სკამები საკმარისი არ აღმოჩნდა. შეხვედრას მრავლად დაესწრნენ უკრაინელი გულშემატკივრებიც, რომლებსაც ერთი სექტორი მთლიანად ეკავათ და თავიანთ გუნდს მხურვალედ ქომაგობდნენ. მატჩს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** და ეროვნული ნაკრების თავკაცი **თემურ ქეცბაიაც** ესწრებოდნენ.

როგორც ჩანს, ზესტაფონელებს გეგუჩაძისგან სწრაფი გოლი ჰქონდათ დავალებული და მათი პირველივე შეტევა ძალზედ სახიფათო გამოდგა, **დვალის** გადაცემის შემდეგ სტუმართა საჯარიმოში **გელაშვილი** შეიჭრა და უკრაინელ მცველთან შეხებისას დაეცა, თუმცა ნორვეგიელმა მსაჯმა ამ ეპიზოდში წესების დარღვევა ვერ შეამჩნია. უკრაინელებმა მალევე უპასუხეს, თუმცა **ფედეცკის** შორეული დარტყმა საკმაო მანძილით ასცდა მიზანს. მასპინძლები უპირატესობის მოპოვებას ცდილობდნენ, თუმცა დვალისა და **დაუშვილის** დარტყმები არაზუსტი გამოდგა. უკრაინელები საკმაოდ მწყობრად იცავდნენ თავს და კონტრშეტევებითაც „მწარედ იკბინებოდნენ".

მე-16 წუთზე **ოშიპკოს** ფლანგური ჩაწოდების შემდეგ **ტკაჩუკი** თავით ურყამდა და ბურთი ხარიხას გადასცდა. თამაშის შუაწელიდან უკრაინელები მთლიანად დაეუფლნენ ცენტრს, ტკაჩუკი, **გოლდვინი** და **ხუდობიაკი** ზესტაფონელთა ლიდერებს გასაქანს არ აძლევდნენ. **დვალს** და **აფციაურს** მინიმუმ ორი უკრაინელი მუდმივად გვერდით ჰყავდათ და ბურთის მიღებისა და თავისუფლად გადაადგილების საშუალებას არ აძლევდნენ. უკრაინელები უპირატესობას ეუფლებოდნენ, როცა, 34-ე წუთზე ზესტაფონის სტადიონზე უსიამოვნო ფაქტი მოხდა - დენი გამოირთო და მატჩი მთელი 20 წუთით შეწყდა.

შეხვედრა მასპინძლების შეტევებით განახლდა, მაგრამ ზესტაფონელთა იერიშებს სიმწვავე აშკარად აკლდათ. ქართველები მაღალი ჩაწოდებებით ცდილობდნენ ფონს გასვლას, თუმცა საჯარიმოსკენ გაგზავნილი ყველა ბურთი ტანმაღალი უკრაინელი მცველების ნადავლი ხდებოდა. ერთადერთი მეტ-ნაკლებად რეალური მომენტი ქართველებმა პირველი ტაიმის მიწურულს შექმნეს, როცა დვალისა და **გრიგალაშვილის** აქტიურობის შემდეგ გელაშვილი შემობრუნებით ურტყამდა, თუმცა ზესტაფონელთა ბომბარდირს სიზუსტე დააკლდა. სტუმრებს ტრავმების გამო პირველ ტაიმში ორი იძულებითი შეცვლის შესრულება მოუწიათ. ჯერ განაპირა მცველი ოშიპკო დაშავდა, ტაიმის ბოლოს კი **ზენიოვმა** მიიღო ტრავმა და მის ნაცვლად მოედანზე „კარპატის" ქართველი ლეგიონერი **სანდრო გურული** შემოვიდა. გურული წარმოშობით ზესტაფონიდანაა და მოედანზე გამოსვლისას ადგილობრივებმა შესძახეს „ჩვენ წინააღმდეგ ნუ მეიკლავ თავსო", თუმცა გურულმა თანამემამულეების „თხოვნა" არ შეისმინა და თამაშში აქტიურად ჩაერო, მეორე ტაიმში კი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე.

მატჩის სცენარი შესვენების შემდეგაც არ შეცვლილა ზესტაფონელები უტევდნენ, მაგრამ მათი „იერიშები" ძირითადად ლვოველთა საჯარიმოსთან იფუშებოდა. ბევრი წუნი ჰქონდათ გადაცემებში, გარდა ამისა, ზესტაფონელები ძალიან დიდ დროს ანდომებდნენ საკუთარი საჯარიმოდან ბურთის ამოტანას. 57-წუთზე დვალის გადაცემის შემდეგ გელაშვილი გავიდა დასარტყმელ პოზიციაზე, მაგრამ მცველი გადაეფარა და ხეირიანად დარტყმა ვერ მოახერხა. ორიოდე წუთში გრიგალაშვილის კუთხურს გელაშვილმა თავური დარტყმა მიაყოლა, თუმცა ისევ უზუსტოდ. ამის შემდეგ, გეგუჩაძემ ცვლილებებს მიმართა ძარიას მაგივრად **ბაბუნაშვილი** შემოიყვანა. ცოტა ხანში, მოედნიდან დვალიც გაიყვანა და თამაშში **წინამძღვრიშვილი** ჩართო. დროის სვლასთან ერთად დაძაბულობამაც პიკს მიაღწია, ვაიგულშემატკივარი აქაც გამოერია და თამაშით უკმაყოფილომ მოედანზე პლასტმასის ბოთლი ისროლა.

სომეხმა დელეგატმა **არნო სარგსიანმა** დაგვინდო და ოქმში ეს ფაქტი არ დააფიქსირა, თორემ ალბათ, „ზესტაფონს" სანქციები არ ასცდებოდა. მე-80 წუთზე ვერცხლის წყალივით მოძრავი გურული გრიგალაშვილს გასცდა და საჯარიმოს მისადგომებიდან ძლიერად დაარტყა, **კვასხვაძემ** შეძლო ბურთის მოგერიება. ზესტაფონელებმა ბოლო ძალები მოიკრიბეს და **ტლუმაკის** კართან 5-წუთიანი შტურმისმაგვარი მოაწყვეს. ჯერ იყო და **აფციაური** ჩვეული ფინტებით გაუსწორდა ოთხ მეტოქეს, მაგრამ კარში ზუსტად ვერ დაარტყა. შემდეგ, **ბენაშვილის** საჯარიმო დარტყმა მოხვდა მცველს და მისგან ასხლეტილი ბურთი ტლუმაკმა მოიგერია. 83-ე წუთზე კი აფციაურის ჩაწოდების შემდეგ წინამძღვრიშვილმა თავით ხარიხას გადააცილა. მასპინძლებმა შეტევებში ენერგია უშედეგოდ დახარჯეს, მატჩის მიწურულს კი უკრაინელთა კონტრშეტევა გამოეპარათ, გურულისა და **ბატისტას** აქტიურობის შემდეგ ბურთი ხუდობიაკს მიუვიდა, რომელმაც კარიდან სამიოდე მეტრში მყოფი **კოჟანოვი** მოძებნა და ამანაც ზესტაფონის საევროთასებო პერსპექტივებს საბოლოო წერტილი დაუსვა - 0:1.

### მატჩის შემდეგ

გია გეგუჩაძე: **„მიუხედავად იმისა, რომ დავმარცხდით გუნდის თამაშში პროგრესს ვხედავ. ძლიერი მეტოქე გვყავდა, კარგი თამაში გამოვიდა. ვფიქრობ, ქომაგმა ისიამოვნა იმ ატმოსფეროთი, რომელიც სტადიონზე იყო შექმნილი. ბოლომდე ვიბრძოლეთ, რაც შეგვეძლო გავაკეთეთ, მაგრამ შედეგის მისაღწევად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. „კარპატის" წარმატებებს ვუსურვებ ევროსარბიელზე. მომდევნო მატჩებში მე მათ ვუქომაგებ".**

ოლეგ კანონოვი: **„ზესტაფონის" ინფრასტრუქტურა ვნახე, გუნდსაც გავეცანი და მინდა გითხრათ, რომ ძალიან კარგი შთაბეჭდილება დამრჩა. ძლიერი მეტოქე გვყავდა და კარგი თამაში გამოვიდა. ჩემი გუნდით კმაყოფილი ვარ. ორგანიზებულად ვითამაშეთ და მეტოქეს საუკეთესო თვისებების გამოვლენის საშუალება არ მივეცით, რამაც საბოლოოდ ჩვენი წარმატება განაპირობა".**

დავით კოხრეიძე
ზესტაფონიდან

### ევროპის ლიგა. III საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

| | |
|---|---|
| რაპიდი (ავსტრია)-ბეროე (ბულგარეთი) | 3:0 (1:1) |
| ოფკ (სერბეთი)-გალათასარაი (თურქეთი) | 1:5 (2:2) |
| ტეტექსი (მაკედონია)-ელფსბორგი (შვედეთი) | 1:2 (0:5) |
| დინამო (მინსკი, ბელარუსი)-მაქაბი (ჰაიფა, ისრაელი) | 3:1 (0:1) |
| ყარაბაღი (აზერბაიჯანი)-ვისლა (პოლონეთი) | 3:2 (1:0) |
| ბანიკი (ჩეხეთი)-დნეპრი (ბელარუსი) | 1:2 (0:1) |
| ანორთოსისი (კვიპროსი)-სერკლ ბრიუგე (ბელგია) | 3:1 (0:1) |
| აპოლონი (კვიპროსი)-სიბირი (რუსეთი) | 2:1 (0:1) |
| დნიპრო (უკრაინა)-სპარტაკი (სერბეთი) | 2:0 (1:2) |
| გიოტებორგი (შვედეთი)-ალკმაარი (ჰოლანდია) | 1:0 (0:2) |
| ბრონდბიუ (დანია)-ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია) | 1:0 (2:1) |
| ტიმიშოარა (რუმინეთი)-მიუპა (რუმინეთი) | 3:3 (2:1) |
| ლოზანა (შვეიცარია)-რანდერსი (დანია) | 1:1 (3:2) |
| არისი (საბერძნეთი)-იაგელონია (პოლონეთი) | 2:2 (2:1) |
| ლევსკი (ბულგარეთი)-კალმარი (შვედეთი) | 5:2 (1:1) |
| ლუცერნი (შვეიცარია)-უტრეხტი (ჰოლანდია) | 1:3 (0:1) |
| ბეშიქთაში (თურქეთი)-პლზენი (ჩეხეთი) | 3:0 (1:1) |
| იაბლონეცი (ჩეხეთი)-აპოელ (კვიპროსი) | 1:3 (0:1) |
| მაქაბი (თელ-ავივი, ისრაელი)-ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) | 1:0 (1:2) |
| გენკი (ბელგია)-ინტერი (ფინეთი) | 3:2 (5:1) |
| აუსტრია (ვენა, ავსტრია)-რუხი (პოლონეთი) | 3:0 (3:1) |
| ბანგორ სიტი (უელსი)-მარიტიმუ (პორტუგალია) | 1:2 (2:8) |
| ჰაიდუკი (ხორვატია)-დინამო (რუმინეთი) | 3:0 (1:3) |
| შტუტგარტი (გერმანია)-მიოლდე (ნორვეგია) | 2:2 (3:2) |
| კლიფტონვილი (ჩრ. ირლანდია)-ცსკა (ბულგარეთი) | 1:2 (0:3) |
| ჰიბერნიანი (შოტლანდია)-მარიბორი (სლოვენია) | 2:3 (0:3) |
| იუვენტუსი (იტალია)-შემროკ როვერსი (ირლანდია) | 1:0 (2:0) |
| ლივერპული (ინგლისი)-რაბოტნიჩკი (მაკედონია) | 2:0 (2:0) |
| მოზერველი (შოტლანდია)-ალესუნდი (ნორვეგია) | 3:0 (1:1) |
| სლოვანი (სლოვაკეთი)-ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) | 1:1 (2:1) |
| ზრინსკი (ბოსნია)-ოდენსე (დანია) | 0:0 (3:5) |
| მონპელიე (საფრანგეთი)-დიორი ეტო (უნგრეთი) | 0:1, პ. 3:5 (1:0) |
| სპორტინგი (პორტუგალია)-ნორდსილენდი (დანია) | 2:1 (1:0) |



ლეგიონერი ევროპის ლიგაზე

# ადამია, ალექსიძე, ლობჟანიძე წინ

## დვალიშვილმა გაიტანა, მაგრამ...

გუშინ ევროპის ლიგის III საკვალიფიკაციო ეტაპის სხვა საპასუხო მატჩებიც გაიმართა, რომლებშიც ქართველმა ლეგიონერებმა ითამაშეს. **ლადო დვალიშვილის** „მაქაბი" მინსკში 1-გოლიანი უპირატესობით ჩავიდა - ჰაიფაში გუნდმა ლადო დვალიშვილის გოლის წყალობით გაიმარჯვა - 1:0. მინსკშიც თითქოს ყველაფერი შესანიშნავად იყო ებრაული გუნდისთვის - ქართველმა ლიდერმა „მაქაბი" 27-ე წუთზე დააწინაურა, მაგრამ საბოლოოდ მინსკის „დინამომ" 3:1 მოიგო, ორი მატჩის ჯამში 3:2 იმარჯვა და პლეი ოფში გაალწია. ლადო 74-ე წუთზე შეცვალეს, მინსკელებმა კი ბოლო წუთზე გაიტანეს გადამწყვეტი გოლი.

აზერბაიჯანულმა „ყარაბახმა" საპასუხო მატჩშიც აჯობა პოლონურ „ვისლას" და ევროპის ლიგაზე ასპარეზობა განაგრძო. პირველი მატჩი აზერბაიჯანელებმა სტუმრად 1:0 მოიგეს, საპასუხოში კი მატჩის ბედი პირველ 35 წუთში გადაწყვიტეს, როცა სამი გოლი გაიტანეს, პოლონელები მეორე ტაიმში გამოფხიზლდნენ, თუმცა უკვე ძალიან გვიანი იყო - 2:3. **გიორგი ადამია** საკმაოდ აქტიური იყო მასპინძელთა რიგებში. აზერბაიჯანელთა 77-ე ნომერი მატჩის 81-ე წუთზე შეცვალეს.

უკრაინულმა „დნიპრომ" ზლატიბორ ვოდას „სპარტაკი" 2:0 დაამარცხა და ორი მატჩის ჯამში 3:2 მოიგო. უკრაინელთა ქართველმა მარჯვენა მცველმა **უჩა ლობჟანიძემ** შეუცვლელად ითამაშა „დნიპროს" შემადგენლობაში.

შინ 0:1 წაგების შემდეგ **რატი ალექსიძის** „დიორი ეტომ" სტუმრად იმავე ანგარიშით დაამარცხა ფრანგული „მონპელიე". შესაბამისად დაინიშნა ჯერ დამატებითი ორი ტაიმი შემდეგ კი პენალტების სერია. რატიმ 120 წუთი ითამაშა, პენალტების სერიაში კი ვერ გაიტანა, თუმცა უნგრელებმა პენალტებით 5:3 მოიგეს და წყვილის ფავორიტი გათამაშების მიღმა დატოვეს.

ნიკოლოზ ნეფარიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამბიცია და გამოცდილება

**კარს მომდგარ ეროვნულ ჩემპიონატში განსაკუთრებულ ინტერესს ზუგდიდის „ბაიას“ ასპარეზობა იწვევს: გუნდში ერთიმეორეზე გამოცდილი და ცნობილი ფეხბურთელები ჩაირიცხნენ და აქედან გამომდინარე, ამბიციაც მეტი იქნება. თუმცა, „ბაიას“ სატრანსფერო კამპანიაზე ქვემოთ ვისაუბრებთ, მანამდე კი ეროვნულ ჩემპიონატში ამ კლუბის და საერთოდ, ზუგდიდური გუნდების ისტორია გავიხსენოთ...**


ოთარ გაბელია

## ოდიშიდან ბაიამდე

უპირველეს ყოვლისა, ის უნდა ვახსენოთ, რომ უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე გუნდთაგან ყველაზე „ახალგაზრდა“ გუნდი სწორედ „ბაიაა“ - სამი წლის წინათ, ამ სახელწოდების კლუბი საქართველოს ჩემპიონატის რეგიონალური ლიგის დასავლეთ ზონაში პირველად გამოჩნდა. თანაც, „გამოჩენასაც“ ხომ გააჩნია: უკვე მაშინვე ლეგენდები დადიოდა იმის თაობაზე, რომ ზუგდიდში ულტრათანამედროვე ტიპის საწვრთნელი ბაზა აშენდა, რომლის ანალოგიც საქართველოში არ ყოფილა. ამასთან, სერიოზულზე სერიოზული ამბიციები ჰქონდა გუნდსაც, რომლის შემადგენლობაშიც ერთიმეორეზე ნიჭიერი 15-16 წლის ბიჭები ჩაირიცხნენ (**ნიკა ძალამიძე, ნიკა კვეკვესკირი, ზვიად სიხარულია, მურთაზ ჩანგელია, ირაკლი შეყილაძე, დათა რაფავა**); აღარაფერს ვამბობთ იმ ფაქტზე, როცა „ბაიას“ მთავარ მწვრთნელად გერმანელი **ჰერბერტ ცანკერი** დაინიშნა, რომელიც მანამდე საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს თავკაცობდა. ქართულ საფეხბურთო რუკაზე ახალი კლუბის გამოჩენა კი ადგილობრივ კაცს, მანამდე მოსკოვში მოღვაწე ბიზნესმენ **ზვიად სიჭინავას** უკავშირდება, - დღესდღეობით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი რომ გახლავთ...

როგორც მოსალოდნელი იყო, „ბაიამ“ პირველსავე ცდაზე შეძლო პირველი ლიგის საგზურის მოპოვება. ეგ კი არა, უკვე მომავალ, 2008-09 წლების სეზონში „ბაიას“ პირველ ლიგაში ტრიუმფსაც უწინასწარმეტყველებდნენ. ეს კი იმას ნიშნავდა, ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში მართლაც უნიკალური მოვლენა უნდა მომხდარიყო: ზუგდიდს უმაღლეს ლიგაში ორი გუნდი ეყოლებოდა! ჰო, ნუ დაგვავიწყდება, რომ 2007 წელს უმაღლეს ლიგაში კვლავ გამოჩნდა ზუგდიდის გუნდი, თანაც, რვაწლიანი პაუზის შემდეგ. აშკარად „მრისხანე“ სახელწოდების მქონე გუნდს („მგლები“) დებიუტანტის კვალობაზე ურიგოდ არ უასპარეზია და ზედიზედ ორ სეზონს მეშვიდე ადგილზე ამთავრებდა.

თუმცა, ზღაპრული პირობებისა თუ სოლიდური დაფინანსების მიუხედავად, „ბაიამ“ ვერ შეძლო უმაღლესი ლიგის საგზურის მოპოვება - ეს პატივი ბევრად უფრო ნაკლებბიუჯეტიან „სამტრედიას“ ერგო. და მაინც, წინა, XXI ჩემპიონატში, უმაღლეს ლიგაში სწორედ... „ბაიამ“ იასპარეზა: ერთი პატარა ქალაქის ორი ამბიციური გუნდის შერწყმა უმტკივნეულოდ მოხდა და „მგლების“ ნაცვლად უძლიერესთა შორის სწორედ „ბაია“ გამოჩნდა. თუმცა, საბოლოო შედეგი ისეთი ნამდვილად არ იყო, ზუგდიდელი ქომაგები კმაყოფილნი რომ დარჩენილიყვნენ: ათგუნდიან ჩემპიონატში „ბაიამ“ მერვე ადგილი დაიკავა და მხოლოდ და მხოლოდ ორ აუტსაიდერს („ლოკომოტივი“, „გაგრა“) გაუსწრო...

... ზუგდიდური კლუბებისთვის სახელწოდების ხშირი ცვლა არახალი ამბავია; რა თქმა უნდა, ამ საკითხთან დაკავშირებით ყველას საკუთარი მოსაზრება გააჩნია, მაგრამ, ჩვენი აზრით, „ოდიშს“ ვერც ერთი შეედრებოდა. სწორედ ამ სახელწოდებით გამოჩნდა ზუგდიდური გუნდი პირველ ეროვნულ ჩემპიონატში და ასე გრძელდებოდა ხუთი სეზონის განმავლობაში; მერე, ვიღაც „ნოვატორს“ ეტყობა, საბჭოური პერიოდის დროინდელი მონატრება მოეძალა და ზუგდიდური კლუბიც VI და VII ჩემპიონატებში... „დინამოს“ სახელით ასპარეზობდა.

შემდეგ, ისევ ძველი სახელწოდება - „ოდიში“ დაუბრუნდა, თუმცა, ამას სრული ფიასკოც მოჰყვა - 1998-99 წლების ჩემპიონატი „ოდიშმა“ XV ადგილზე დაამთავრა და გუნდიც პირველ ლიგაში დაქვეითდა. აი, შემდეგ კი პირველ ლიგაში მართლაც „უცნაურობები“ ხდებოდა: ხშირად ყოფილა, როცა ზუგდიდის ერთდროულად ორი ან სამი გუნდი ერთ ზონაში ასპარეზობდა: „დინამო“, „მეგრი“, „ლაზიკა“, „ოდიში“, - მოგვიანებით, „მგლები“ და ბოლოს, „ბაია“ რომ დაემატნენ. „მგლებზე“ და „ბაიაზე“ უკვე ვისაუბრეთ, დანარჩენებიდან კი აღსანიშნავია „ლაზიკას“ წარმატება: 2001-02 წლების სეზონში გუნდმა პირველ ლიგაში გაიმარჯვა, მაგრამ უმაღლეს ლიგაში საკუთარი ადგილი... თბილისის „სპარტაკს“ დაუთმო!

... იყო წლები, ზუგდიდური გუნდები უმაღლესსა და პირველს ვინ ჩივის, მხოლოდ რეგიონალურ ლიგაში ასპარეზობდნენ; ეგ კი არა, 2004-05 წლების სეზონში ზუგდიდი საერთოდაც უფეხბურთოდ იყო დარჩენილი...

## ფეხბურთელები და მწვრთნელები

პირველი, მეორე და მესამე ეროვნული ჩემპიონატები მართლაც გამორჩეული პირველობები იყო და სხვა გუნდებთან ერთად, ყოველივე ეს ზუგდიდის „ოდიშის“ დამსახურებაც იყო. თანაც, მშობლიურ ქალაქში დაბრუნებული **ოთარ გაბელიასთვის** სამწვრთნელო ასპარეზზე დებიუტი გახლდათ და ქართული ფეხბურთის ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო მეკარემ არც ახალ ამპლუაში შეირცხვინა თავი; ყოველ შემთხვევაში, მაშინდელი „ოდიში“ ანგარიშგასაწევ ძალად ითვლებოდა და მწვრთნელის ფაქტორის გარდა, რამდენიმე ფეხბურთელის დამსახურებაც იყო: **გელა ჭანტურია, მელორ ბიგვავა, დავით ყიზილაშვილი**; მერე, **ზაზა ჯანაშიაც** გამოჩნდა, 15 წლის (!) ასაკში, გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი რომ დაიმკვიდრა. თუმცა, რატომ გვიკვირს: იმავე „ოდიშში“ ოდნავ მოგვიანებით **კლიმენტი წიტაიშვილი** ჩაირიცხა, რომელმაც უმაღლეს ლიგაში სადებიუტო შეხვედრა... 14 წლისამ ჩაატარა!

ამ პერიოდში „ოდიშის“ მთავარი მწვრთნელი **ვლადიმერ თუთბერიძე** გახლდათ, ყველაზე დიდხანს, ხუთი სეზონის განმავლობაში რომ თავკაცობდა მშობლიური ქალაქის გუნდს. სხვათა შორის, 1999 წლის ზაფხულამდე, ანუ, ვიდრე გუნდი უმაღლესს დაემშვიდობებოდა, „ოდიშში“ მხოლოდ ოთხი მწვრთნელი მუშაობდა: ოთარ გაბელია, ვლადიმერ თუთბერიძე, მურთაზ ხურცილავა და სოსო ჭედია. განსაკუთრებით **მურთაზ ხურცილავას** დროინდელი „ოდიში“ გვინდა გავიხსენოთ: ყველა დროის ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი მშობლიურ კუთხეში რომ დაბრუნდა, საკმაოდ ამბიციური გუნდიც ჩამოაყალიბა; 1996-97 წლების სეზონს ვგულისხმობთ, როცა „ოდიშში“ **მამუკა აბუსერიძე, მამუკა ფანცულაია** და **ოთარ კორღალიძე** გამოჩნდნენ (პლუს, იმ დროისათვის ახალგაზრდა **ვალტერ გუჩუა**); ეგ კი არა, ლამის 16-წლიანი პაუზის შემდეგ მშობლიურ რაიონში სათამაშოდ კიდევ ერთი ვეტერანი **სოსო ჭედიაც** დაბრუნდა. ამას გარდა მეორე მწვრთნელად გუნდში **ელგუჯა ქომეთიანი** მუშაობდა, ზუგდიდის „ბაიას“ დღევანდელი თავკაცი.

1999-დან 2007 წლამდე ზუგდიდს უმაღლეს ლიგაში გუნდი არ ჰყოლია, ვიდრე „მგლები“ არ გამოჩნდა. ამ გუნდის წარმატება-აღზევება კი, უპირველესად, **ბესიკ შეროზიასთან** არის დაკავშირებული: „მგლებს“ ჯერ რეგიონალურ ლიგაში გაამარჯვებინა, მერე კი - პირველ ლიგაში. სხვათა შორის, ხუთი წლისწინანდელ „მგლებში“ ზემოთ ნახსენები ნიკა ძალამიძის გარდა ბევრი პერსპექტიული ჭაბუკი თამაშობდა: **გიორგი გაბედავა, ირაკლი ეხვაია, ლევან კუტალია, ირაკლი ხუხია, მაკარ აქუბარდია, დავით რიგვავა.**


ელგუჯა ქომეთიანი

უმაღლეს ლიგაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „მგლებმა“ ორი სეზონი ჩაატარა და შარშან უკვე „ბაიას“ სახელით ასპარეზობდა. სეზონი ბესიკ შეროზიამ დაიწყო, რომელმაც პირველი ეტაპის ბოლოს პირველ ლიგას მიაშურა და უმაღლესში კიდევ ერთი გუნდი, ამჯერად უკვე ფოთის „კოლხეთი“ დააწინაურა. შეროზიას ადგილი კი ელგუჯა ქომეთიანმა დაიკავა - წლების განმავლობაში ზუგდიდურ კლუბებში რომ მუშაობდა. იმის გარდა, რომ თავის დროზე „ბაიაში“ ჰერბერტ ცანკერის თანაშემწე იყო, გერმანელი სპეციალისტის სამშობლოში წასვლის შემდეგ უკვე ქომეთიანი თავკაცობდა პირველ ლიგაში მოასპარეზე „ბაიას“. ეგ კი არა, 1999-2000 წლების სეზონში რეგიონალურ ლიგაში მოასპარეზე ზუგდიდის „მეგრის“ მთავარი მწვრთნელი ბესიკ შეროზია რომ იყო, მის ასისტენტად სწორედ ელგუჯა ქომეთიანი მუშაობდა.

დაბოლოს, კიდევ ერთ მართლაც გამორჩეულ პიროვნებაზეც: უმაღლეს ლიგაში ზუგდიდურ გუნდებზე ვსაუბრობთ და ამ ქალაქისა და საერთოდ, ქართული ფეხბურთის კოლორიტი, „ოდიშის“ თუ „ბაიას“ ყოფილი ტექნიკური დირექტორი თუ გუნდის უფროსი (რაც გნებავთ, ის დაარქვით), ბატონი **ჯემალ გოგია** რომ არ ვახსენოთ, ისე როგორ იქნება.

## სატრანსფერო პოლიტიკა

ზუგდიდურ გუნდში ჯერ კიდევ წინა სეზონში მიხვდნენ, რომ მხოლოდ ახალგაზრდა ფეხბურთელებით ასპარეზობით სასურველ შედეგს ვერ მიაღწევდნენ. მართალია, „ბაიაში“ ერთი-ორი გამოცდილი მოთამაშე (**როინ ონიანი, გიორგი სომხიშვილი**) კვლავაც აგრძელებს ასპარეზობას, XXII ჩემპიონატის წინ გუნდმა მართლაც რომ ბევრი გააკვირვა საკუთარი სატრანსფერო პოლიტიკით; ახალი სეზონიდან ზუგდიდურ გუნდში გააგრძელებენ კარიერას ისეთი გამოცდილი და ცნობილი ფეხბურთელები, როგორებიც არიან: 36 წლის **ამირან მუჯირი**, 35 წლის **დავით ჭიჭვეიშვილი**, 33 წლის **ალექსანდრე გოგობერიშვილი**, 32 წლის **გიორგი მეგრელაძე** და ასევე 32 წლის **კახა ჩხეტიანი!**

აღსანიშნავია, რომ ამ, მართლაც, შესანიშნავი ხუთეულიდან მხოლოდ გოგობერიშვილი ასპარეზობდა ჩვენთან წინა სეზონში. დანარჩენები კი საქართველოს ჩემპიონატს სხვადასხვა დროის მერე უბრუნდებიან. ასეთი სოლიდური მატება იმასაც უნდა ნიშნავდეს, რომ გუნდის მიზანი შეიცვლება; თანაც, ზემოთ ნახსენები ხუთი ცნობილი ვეტერანის გარდა „ბაიაში“ სხვა არანაკლებ ურიგო ახალწვეულებსაც ვიხილავთ: **გრიგოლ დოლიძეს, გიორგი ხიდეშელსა** და **ვლადიმერ ზუხბაიას**. აღარაფერს ვამბობთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან სიახლეზეც: კონსულტანტის რანგში „ბაიაში“ იმუშავებს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოთარ გაბელია. სხვათა შორის, ოთარ გაბელია მშობლიური ქალაქის გუნდში... 18-წლიანი პაუზის შემდეგ ბრუნდება!

## ლელოს პროგნოზი

ასეთი აქტიური სატრანსფერო კამპანიიდან გამომდინარე, წინა სეზონის შედეგი (მერვე ადგილი) რომ გაუმჯობესებული იქნება, ამას ბევრი მტკიცება აღარ სჭირდება; ეგ კი არა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბოლო წლების „დიდი ოთხეულის“ („ოლიმპი“, „დინამო“, „ზესტაფონი“, „ვიტ ჯორჯია“) დომინაცია ამ სეზონში ალბათ, შეწყდება და „მყუდროების დამრღვევთა“ შორის, რაღა თქმა უნდა, ქუთაისის „ტორპედო“ და ზუგდიდის „ბაია“ უნდა დავასახელოთ. ყოველ შემთხვევაში, ასეთი კვალიფიციური ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდს პირველ ხუთეულში მოხვედრა რეალურად შეუძლია.

**გია ტუხაშვილი**


როინ ონიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტოქეები · საბერძნეთი

# სანტუშმა ტაქტიკა დაფქვა

საბერძნეთის ნაკრებში **ოტო რეჰაგელის** შემდგომი ეპოქა იწყება. მსოფლიოს ჩემპიონატიდან გავარდნა და სახელგანთქმული გერმანელის წასვლა ერთი იყო. მისი მემკვიდრე მალევე დასახელდა - პორტუგალიელი **ფერნანდო სანტუში**, რომელიც ელადაზე მანამდეც მუშაობდა (აეკ, „პანათინაიკოსი", პაოკ).

ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე საბერძნეთის ნაკრები ჩვენი მეტოქეა. 3 სექტემბერს შესარჩევ ციკლს სწორედ ამ გუნდთან გასვლითი მატჩით ვიწყებთ. შესაბამისად, მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს, რა ხდება მეტოქის ბანაკში, რა ცვლილებებსა და სიურპრიზებს უნდა ველოდოთ ბერძნების ახალი მწვრთნელისგან. სანტუშმა პრესკონფერენცია გამართა და გეგმები გამოამზეურა. პირველ რიგში მას ტაქტიკაზე ჰკითხეს. სეუ ფერნანდოს არაფერი დაუმალავს.

*„ჩემი სურვილია, საბერძნეთის ნაკრები ძლიერ*



*გუნდად ჩამოვაყალიბო და თანამედროვე, გამართული ფეხბურთი ვათამაშო. ნაკრების ძირითადი სათამაშო ტაქტიკა 4-4-2 იქნება. სათადარიგო სქემა კი 4-3-3. ყველა მეტოქეს სათანადოდ ვაფასებ და პატივს ვცემ, მაგრამ ჩვენ ყველა გუნდის დამარცხება შეგვიძლია. უნდა დავივიწყოთ მოძველებული პერსონალური თამაში და 4-4-2 ან 4-3-3 სქემით ზონალურად უნდა ვითამაშოთ. მთელი თამაშის განმავლობაში 80 პროცენტით შეტევაზე უნდა ვიყოთ ორიენტირებული, დანარჩენი 20 პროცენტი კი დაცვას უნდა მოვახმაროთ"*, - აღნიშნა საბერძნეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა.

შემდეგი შეკითხვა საკადრო ცვლილებებს შეეხო: *„ნაკრებში საკადრო ცვლილებების აუცილებლობას რომ ვერ ვხედავდე, მაშინ ამ პროცესზე უარს ვიტყოდი. ფაქტია ეროვნულ გუნდს „ახალი სისხლი" სჭირდება და ამიტომაც მოვიწვიე ნაკრებში რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი. იმ შემადგენლობიდან, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზა, რამდენიმე ფეხბურთელი ნაკრებში კვლავ დარჩება. ეროვნული გუნდის კარი ყველა ფეხბურთელისთვის ღიაა, მთავარია, კარგი თამაშით მათ ნაკრების კარზე დააკაკუნონ და გარწმუნებთ, უყურადღებოდ არავის დავტოვებთ".*

საბერძნეთის ნაკრებს 11 აგვისტოს სერბეთთან გასვლითი ამხანაგური მატჩი აქვს: *„ეს მატჩი ჩემთვის სადებიუტოა. თუმცა, უპირველეს ყოვლისა, სერბეთთან თამაში შესარჩევი ციკლის სტარტისთვის, საქართველოსა და ლატვიასთან მატჩებისთვის უნდა გამოვიყენოთ. სერბეთში გამოჩნდება თუ რამდენად შეასრულებენ ფეხბურთელები ჩემს დავალებებს. შანსი ყველას მიეცემა, თანაც არაერთი"*, - განაცხადა სანტოსმა.

სანტუშმა ნოვაციაც გაახმაურა: *„ჩემი სურვილია, B ნაკრები შევქმნათ, რომელშიც 25 წლამდე ფეხბურთელები გვეყოლება - ისინი, რომელთაც ახალგაზრდულ ნაკრებში თამაში აღარ უწევთ. გვინდა, ეს ფეხბურთელები განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ გვყავდეს. მათი პროგრესი ვიგრძნოთ და გამორჩეულები ეროვნულ ნაკრებში გამოვცადოთ. B ნაკრები ჩამოყალიბებაზე მუშაობა უკვე დაწყებულია და მალე ორი ნაკრები გვეყოლება".*

დაბოლოს, შემადგენლობა, რომელიც ფერნანდო სანტუშმა სერბეთთან 11 აგვისტოს მატჩისთვის შეარჩია:

მეკარეები - **მიხაელ სიფაკისი** (არისი), **ალექსანდროს ცორვასი** (პანათინაიკოსი);

მცველები - **სოტირის კირიაკოსი** (ლივერპული, ინგლისი), **სტელიოს მალეზასი** (პაოკ), **გიანის მანიატისი** (პანიონიოსი), **ნიკოს სპიროპულოსი**, **ლუკას ვინტრა** (ორივე პანათინაიკოსი), **აბრაამ პაპადაპულოსი**, **ვასილის ცაველასი** (ორივე ოლიმპიაკოსი), **სოკრატის პაპასტატოპულოსი** (მილანი, იტალია);

ნახევარმცველები - **კოსტას კაცურანისი**, **გიორგოს კარაგუნისი**, **სოტირის ნინისი**, **სტერიოს მარინოსი** (ყველა პანათინაიკოსი), **გიორგოს ცაველასი** (პანიონიოსი), **სავას გენცოღლუ**, **პანტელის კაფესი** (ორივე აეკ), **გიანის პაპადოპულოსი** (ოლიმპიაკოსი);

თავდამსხმელები - **დიმიტრის სალპინგიდისი** (პაოკ), **თეოფანის გეკასი** (აინტრახტი, გერმანია), **გიორგოს სამარასი** (სელტიკი, შოტლანდია), **კოსტას მიტროღლუ** (ოლიმპიაკოსი).

**დავით ცაბაძე**

ლატვია

# ოცეულის ჩეხური რეპეტიცია

ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენი ჯგუფის მეტოქე ლატვიაც გენერალური რეპეტიციისთვის ემზადება. ლატვიელები 11 აგვისტოს ჩეხეთს ლიბერეცში გაეჯიბრებიან. ჩეხებთან მატჩისთვის ლატვიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ალექსანდრს სტარკოვსმა** ნაკრებში 20 ფეხბურთელი გამოიძახა:

მეკარეები - **ანდრის ვანინსი** (სიონი, შვეიცარია) **ალექსანდრს კოლინკო** (ვენტსპილსი);

მცველები - **დენის ივანოვსი** (სივასფორი, თურქეთი), **კასპარს გორკსი** (ქუინზ პარკ რეინჯერსი, ინგლისი), **ოსკარს კლავა**, **პაველს მიხაიდუკსი** (ორივე მეტალურგსი) **რიტუს კრიაუკლისი** (ვენტსპილსი), **ვიტალიუს სმირნოვსი**, **ალექსანდრის ფერტოვსი** (ორივე სკონტო);

ნახევარმცველები - **იურის ლაიზანსი** (საიუტი, რუსეთი), **ანდრეის რუბინსი** (ყარაბაღი, აზერბაიჯანი), **ალექსანდრს კაუნა** (სკონტო), **იურის ჟიგაიევსი** (ვენტსპილსი), **გენადის სოლონიცინსი**, **მაქსიმს რაფალსკისი** (ორივე მეტალურგსი), **არტის ლაძინსი** (ეგავა);

თავდამსხმელები - **მარის ვერპაკოვსკისი** (ერგოტელისი, საბერძნეთი), **გირტს კარლსონსი** (ინტერი, აზერბაიჯანი), **კრისტაპს გრებისი** (მეტალურგსი), **ანდრეის პერეპლოტკინსი** (სკონტო). .

**დავით ცაბაძე**



ალექსანდრს სტარკოვსი

U 16



# საერთაშორისო გამოცდილება ჰაერივით საჭიროა

**რამდენიმე დღის წინ საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრებში არსებული მდგომარეობა გაგაცანით, ახლა კი 16-წლამდელთა ნაკრებს შევეხოთ. შეგახსენებთ, ეს გუნდი 17-წლამდელთა ნაკრების სტატუსით ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად ბრძოლას გაისად შემოდგომაზე დაიწყებს და აქედან გამომდინარე, ქართველი გულშემატკივრისთვის მის ბანაკში მიმდინარე ამბები საინტერესო უნდა იყოს.**

**გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ ვასილ მაისურაძესთან.**

**- როდის დაიწყო ამ გუნდის ჩამოყალიბება?**

- მუშაობას მიმდინარე წლის დასაწყისიდან შევუდექით. ჩავატარეთ შეკრება და ორი ამხანაგური მატჩი აზერბაიჯანში. სამწუხაროდ, ორივეში დავმარცხდით, მაგრამ იქიან გამომდინარე, რომ მაშინ ნაკრები ახალი შექმნილი იყო, ეს გასაკვირი არაა. ამის შემდეგ გეგმაზომიერად ვიმუშავეთ და ვფიქრობ, გარკვეულ პროგრესსაც მივაღწიეთ. მოვიარეთ ყველა რეგიონი, დავესწარით არაერთ თამაშს და თითქმის მთლიანად მოვიცავით ის კონტინგენტი, რომელიც საქართველოს 16-წლამდელთა კანდიდატად შეგვიძლია მოვიაზროთ. დაგვრჩა მხოლოდ კახეთში ჩასვლა და ამასაც მალე ვაპირებთ.

**- ნაკრები ამჟერად ვარჯიშობს თუ ფეხბურთელები ისვენებენ?**

- დღესდღეობით ინტენსიური დატვირთვით ვვარჯიშობთ. საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები 31 ივლისიდან მოყოლებული ზუგდიდის „ბაიას" ბაზაზე იმყოფება შეკრებაზე. ბოლო დღეებში „ოლიმპისა" და „ავაზას" წინააღმდეგ ჩავატარეთ ამხანაგური მატჩები და ორივე მოვიგეთ. ზუგდიდამდე, ივლისში, გლდანის ოლიმპიური მომზადების ცენტრში გავიარეთ ასევე ნაყოფიერი შეკრება.

**- დღეისთვის რამდენი ფეხბურთელი ვარჯიშობს ნაკრების შემადგენლობაში და გუნდის ბირთვი თუ გამოიკვეთა?**

- ჩემს განკარგულებაში 23 მოთამაშეა, აქედან 3 მეკარეა. იქიდან გამომდინარე, რომ მასშტაბური სელექცია ჩავატარეთ, მიმაჩნია, რომ სამომავლო გუნდის 80 პროცენტი უკვე გამოკვეთილია. თუმცა ფეხბურთელთა შერჩევას, ბუნებრივია, მომავალშიც აქტიურად გავაგრძელებთ და ნაკრების შემადგენლობაში ცვლილებები ნამდვილად არაა გამორიცხული.

**- რამდენად პერსპექტიულია ეს თაობა?**

- არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა გვყავს, რომელთაც სერიოზული მუშაობისა და ხელშეწყობის შემთხვევაში მაღალი დონის ფეხბურთის თამაში შეუძლიათ.

**- ნაკრების შემადგენლობაში რომელი რეგიონების წარმომადგენლები ვარჯიშობენ?**

- აბსოლუტური უმრავლესობა თბილისელია, სამი კლუბის წევრები. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ რეგიონებში ნაკრებისთვის გამოსადეგი ფეხბურთელები, ფაქტობრივად, ვერ აღმოვაჩინეთ. არადა, დიდი იმედი გვქონდა, რომ იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში, აჭარასა და სხვა ტრადიციულ საფეხბურთო მხარეებში ძლიერ მოთამაშეებს ვნახავდით. იმედი გაგვიცრუვდა, რისი ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ ოჯახები რაიონებიდან თბილისში ინტენსიურად გადადიან საცხოვრებლად და ბუნებრივია, იქაური მოთამაშეებიც თბილისში აგრძელებენ საფეხბურთო კარიერას.

**- 17-წლამდელთა ამჟამინდელ ნაკრებში უცხოეთში მოთამაშე ქართული ფესვების მქონე რამდენიმე ფეხბურთელი თამაშობს. თქვენს ასაკში ხომ არ გიპოვიათ რომელიმე ასეთი მოთამაშე?**

- სამწუხაროდ, ჯერ ასეთი არავინ აღმოგვიჩენია, მაგრამ ძიების პროცესს განვაგრძობთ და ვიმედოვნებ, საზღვარგარეთ ჩვენც ვიპოვით 1995 წელს დაბადებულ საინტერესო ქართველ ფეხბურთელებს.

**- უახლოეს მომავალში რომელი ტურნირები და შეკრებები გაქვთ დაგეგმილი?**

- იყო უახლოეს პერიოდში უცხოურ ტურნირზე გამგზავრების შესაძლებლობა, მაგრამ სამწუხაროდ, ეს გამოირიცხა. იმედი გვაქვს, რომ ოქტომბერში მაინც შევძლებთ საერთაშორისო შეჯიბრებაზე წასვლას. გუნდის მომზადებისთვის ეს სასიცოცხლოდ აუცილებელია. ჩვენი ფეხბურთელების უმეტესობა უცხოეთში ერთხელაც არაა ნამყოფი, რაც ძალიან დიდი მინუსია. საერთაშორისო გამოცდილების გარეშე შესარჩევ ტურნირში წარმატებაზე ფიქრი წარმოუდგენელია. მართალია, ოფიციალურ მატჩებამდე ჯერ დიდი დროა, მაგრამ ამისთვის აქედანვე უნდა დავიჭიროთ თადარიგი. ვიმედოვნებ, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლის მოახლოვებასთან ერთად, ჩვენი მზადება უფრო ინტენსიური და მრავალფეროვანი გახდება. ამ გუნდს დიდი პოტენციალი აქვს და თუ მოსამზადებელ პერიოდს სრულყოფილად ჩავატარებთ, დადებით შედეგს აუცილებლად მივაღწევთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სეზონის წინ

## მსაჯთა ტესტები და მარკოს ვიზიტი

2 აგვისტოს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის არბიტრებმა და ასისტენტებმა ეროვნულ სტადიონზე ფიზიკური მომზადების ნორმატივები ჩააბარეს. საერთო შედეგები დადებითია, ტესტების 38 მონაწილიდან უარყოფითი შედეგი მხოლოდ სამმა აჩვენა.

მომდევნო ორი დღე კი სემინარებს დაეთმო, სადაც მსაჯებმა თეორიული ცოდნა გაიღრმავეს. მსაჯების მოსამზადებელ ეტაპს დაასრულებს უეფას სამსაჯო კომიტეტის წევრის, **იოზეფ მარკოს** ვიზიტი, რომელიც 16-17 აგვისტოს შედგება. მარკო უმაღლესი ლიგის მსაჯებსა და დამკვირვებლებს სემინარს ჩაუტარებს და მათ საჭირო რჩევა-დარიგებებს მისცემს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ისევ საქართველოში...

## მარადონას ცხინვალში სექტემბრისთვის ელიან

როგორც გახსოვთ, რამდენიმე დღის წინ **დიეგო მარადონა** ვენესუელაში ე.წ. სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ პრეზიდენტ **ედუარდ კოკოითის** შეხვდა. მაშინ არგენტინელმა პირობა დადო, რომ ცხინვალში მალე ჩავიდოდა და გუშინ კოკოითიმ განაცხადა, რომ ამ ვიზიტის თარიღიც დადგინდა. მისი თქმით, მარადონა სამხრეთ ოსეთში 20 სექტემბერს ჩავა და ამ სეპარატისტული რეგიონის „დამოუკიდებლობის" 20 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მიიღებს მონაწილეობას.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩი



სერხიო კანალესის სადებიუტო გოლი რეალში

# რეალმა ამერიკა დაიპყრო

## კანალესის სადებიუტო გასროლა, კაკას სამი-ოთხი თვე გაუცდება

მადრიდის „რეალმა" ამერიკული ტურნე მოგებით დაიწყო, თვალსაჩინო თამაშში, რომელიც სან ფრანცისკოში გაიმართა, „სამეფო კლუბმა" 3:2 დაამარცხა მექსიკური „ამერიკა". ესპანური ფეხბურთის ამომავალმა ვარსკვლავმა **სერხიო კანალესმა** „რეალის" მაისურით სადებიუტო მატჩშივე გაიტანა გოლი, გამარჯვება კი ევროპელებს **კრიშტიანო რონალდომ** მოუტანათ...

ეს მატჩი „რეალის" პორტუგალიელი თავკაცისათვისაც იყო სადებიუტო, ალბათ ამიტომაც **ჟოზე მოურინიომ** საკმაოდ ძლიერი სასტარტო შემადგენლობა დააყენა პირველივე წინასასეზონო მატჩში, პირველივე წუთებიდან ითამაშეს: კრიშტიანო რონალდომ, **მარსელომ, პეპემ, ქარიმ ბენზემამ, ფერნანდო გაგომ, პედრო ლეონმა** (კიდევ ერთი დებიუტანტი) და სერხიო კანალესმა. მოუმ 4-4-2 ტაქტიკური სქემით ითამაშა. შეტევაში პორტუგალიელმა კანალესი და ბენზემა გაამწესა, ფლანგებზე კი რონალდო და პედრო ლეონი, თუმცა პირველ ტაიმში კანალესი და რონალდო ხშირად ცვლიდნენ პოზიციებს.

თამაში დუნედ დაიწყო და მე-8 წუთამდე საინტერესო არაფერი შექმნილა, შემდეგ კი კრიშტიანო რონალდომ გაისროლა - მექსიკელთა კიპერმა **გილერმო ოჩოამ** სიტუაციიიდან გამოსავალი მოძებნა, ბურთი მკერდით მოიგერია. ოჩოა ეტყობა კარგად თამაშობს მკერდით, მე-15 წუთზე **ხუანფრანის** პასით საჯარიმოში შეჭრილ ფრანგ ბენზემასაც მკერდით აულო. ბენზემას ამის შემდეგ რამდენიმე წუთში კიდევ ორჯერ შეეძლო თავის გამოჩენა, ერთხელ მან თავით გაარტყა ბურთი ხარიხას, მეორედ კი ახლო მანძილიდან ააცილა, ორივე შემთხვევაში მისი ასისტენტობა ახალგაზრდა ხუანფრანმა ითავა.

34-ე წუთზე ანგარიში მას მერე გაიხსნა, რაც „კედელი" კრიშტიანო რონალდომ და ბენზემამ გაითამაშეს, ბენზემამ მცველი და მეკარე ერთდროულად მოატყუა და თინეიჯერ კანალესს კარიერაში პირველი მადრიდული გოლი გატანინა. ტაიმი შეიძლებოდა ევროპელებს უფრო დიდი ანგარიშით მოეგოთ, რონალდო ვიზავიზე მაღლა ახტა, კარგადაც დაარტყა თავით, მაგრამ ოჩოა ბურთს დაუხვდა - 1:0.

პირველ ტაიმში „ამერიკას" ერთხელაც არ დაურტყამს პოლონელი **დუდეკის** კარში, მეორეში კი მექსიკური გუნდი გარდაისახა. 51-ე წუთზე ესპანელმა მცველებმა დაშვებულზე მეტი სივრცე დაუთმეს მექსიკელებს და **ენრიკე ესკედამ** იოლად გაათანაბრა. 61-ე წუთზე **ვისენტე სანჩესმა** სულაც წინ გაიყვანა „ამერიკა" - 2:1.

მექსიკური გუნდი ორ წუთზე მეტ ხანს არ ყოფილა წინ, უმეთვალყუროდ დარჩენილმა **გონსალო იგუაინმა** გაათანაბრა - 2:2. თამაშის დასრულებამდე 10 წუთით ადრე შეცვლაზე შესულმა **ანხელ დი მარიამ** ბურთი რონალდოს ჩააწოდა და პორტუგალიელმაც გაიტანა, მაგრამ თანამსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. ორ წუთში რონალდომ თავისი მაინც გაიტანა, საჯარიმო დარტყმა ბრწყინვალედ შეასრულა და ჟოზე მოურინიოს მადრიდული კარიერა მოგებით დააწყებინა.

„რეალმა" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *დუდეკი (46. ადანი), ხუანფრანი (46. ნაჩო (84. მორატა)), პეპე, გარაი, მარსელო (46. დრენტე), გაგო (46. მ. დიარა), ლ. დიარა (69. ტებარი), კანალესი (46. გრანერო), პედრო ლეონი (46. დი მარია), რონალდო (84. ფერნანდესი), ბენზემა (46. იგუაინი).*

სხვათა შორის, **რაულის** 7-იანი უკვე რონალდოს ეცვა, ხოლო ქარიმ ბენზემას - კრიშტიანოს 9-იანი.

**სერხიო კანალესი** (რეალი): *„ოცნება ავისრულე, „რეალში" ვითამაშე და გოლი გავიტანე. კიდევ ბევრი მაქვს სასწავლი და მოსამატებელი. პირველივე თამაშში ყველაფერი საუცხოოდ წარიმართა და გოლიც გავიტანე. არასოდეს დავივიწყებ ჩემს დებიუტს".*

**ჟოზე მოურინიო** (რეალის მწვრთნელი): *„მოვიგეთ, მაგრამ უკეთესი იქნება ნამდვილ მატჩებს თუ მოვიგებთ. ძალიან კარგი, სწრაფი და მონადინებული მეტოქე გვყავდა. 6 ფეხბურთელი გვაკლდა, მათ შორის იკერ კასილიასი, რომელთაც თამაში ჯერ არ შეუძლიათ. სულ სამი ტაქტიკური სისტემით ვაპირებთ თამაშს, მე ეს სისტემები კარგად ავუხსენი ჩემს ფეხბურთელებს. ერთ-ერთი სისტემა იყო დღევანდელი. ეს სისტემა საუკეთესო იყო დღევანდელი შემადგენლობისათვის. კარგი გავაკეთე, რომ კანალესს არ მივეცი უფლება ისევ „რასინგში" ეთამაშა. ვფიქრობ, დღეს მან დაამტკიცა, რომ მართალი ვიყავი და ის „რეალში" სათამაშოდ მზადაა. პედრო ლეონი ფიზიკურად გამოფიტულია და მასთან ბევრი შენიშვნა მაქვს, მაგრამ მახარებს მისი დამოკიდებულება საქმისადმი. ძალიან ვაფასებ რაულსა და გუტის, მათ ბევრი რამ გააკეთეს „რეალისთვის", მე კიდევ არაფერი, თუმცა ვგრძნობ, რომ მე ზუსტად ის დნმ კოდი მაქვს, რაც „რეალს". ეს ის გუნდია, რომელსაც სურს გამარჯვება და იმარჯვებს კიდეც. „რეალის" მომავალი შეტევაში ბენზემას, რონალდოს და იგუაინის სახელებს უკავშირდება".*

### საბრალო კაკა...

მადრიდის „რეალის" ბანაკში ცუდი ამბავია - ბრაზილიელ **კაკას** სასწრაფოდ დასჭირდა მუხლის ართოსკოპიული ოპერაცია მენისკზე, რის გამოც ის გუნდს 3-4 თვით დააკლდა. კაკა ამერიკული ტურნედან ევროპაში ჩავიდა და ბელგიის ქალაქ ანტვერპენში ცნობილ სპეციალისტ **მარკ მარტენსთან** გაიკეთა ოპერაცია. „რეალის" ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებული ცნობის თანახმად ოპერაცია წარმატებული გამოდგა.

*„არ არის ტრაგედია, თუკი კაკა სეზონის ნაწილს გამოტოვებს. სჯობს ის 100 პროცენტით იყოს მზად თამაშისთვის. გუნდში კი მისი შეცვლა არ გაგვიჭირდება, მიუხედავად იმისა, რომ კაკა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია",* - განაცხადა ჟოზე მოურინიომ.



კაკამ ოპერაცია გაიკეთა

ესპანეთის ნაკრები

# ტორესი და ინიესტა ნაკრებს მიღმა

11 აგვისტოს მსოფლიოს ჩემპიონი ესპანეთის ნაკრები მეხიკოს „აცტეკას" ესტუმრება და აფრიკული ტრიუმფის შემდეგ პირველ შეხვედრას ჩაატარებს. **ვისენტე დელ ბოსკემ** გუშინ „ფურია როხას" სამექსიკო შემადგენლობა ჩამოწერა, რომელშიც არ არიან „ლივერპულის" ფორვარდი **ფერნანდო ტორესი** და „ბარსელონას" ნახევარმცველი **ანდრეს ინიესტა**. ორივე ფეხბურთელი ტრავმის გამო გამოტოვებს ამხანაგურ თამაშს. გუნდში არ არიან მეკარე **პეპე რეინა** და მცველი **რაულ ალბიოლი**. „ბილბაოს" ნახევარმცველი **ხავი მარტინესი** ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებს დაუთმეს, რომელსაც საკვალიფიკაციო მატჩი ელის ფინეთის ნაკრების წინააღმდეგ.

„ვილიარეალის" ნახევარმცველ **ბრუნო სორიანოს** აქვს შანსი, ესპანეთის ნაკრების მაისურა მოირგოს, გუნდში ბრუნდება მისი თანაკლუბელი **სანტი კასორლაც**. ვისენტე დელ ბოსკემ უხმო მარცხენა მცველ **ნაჩო მონრეალსაც**. საერთო ჯამში დელ ბოსკემ „ბარსელონას" 7 წარმომადგენელს დაუძახა, არადა ამ კლუბს ზუსტად სამ დღეში ესპანეთის სუპერთასის მატჩი ელის „სევილიას" წინააღმდეგ, რომელსაც მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ჰყავს ნაკრებში.

ცოტა რამ პოტენციურ ახალწვეულ ბრუნო სორიანოზე: 26 წლის ფეხბურთელს მთელი კარიერა „ვილიარეალში" აქვს გატარებული. ის საყრდენი ნახევარმცველია, თუმცა დაცვის მარცხენა ფლანგზეც თამაშობს, ცაციაა. „ვილიარეალში" მას 82 მატჩი აქვს გამართული.

ესპანეთის ნაკრების შემადგენლობა:

**მეკარეები** - იკერ კასილიასი (რეალი), ვიქტორ ვალდესი (ბარსელონა).

**მცველები** - ალვარო არბელოა, სერხიო რამოსი (რეალი), კარლეს პუიოლი, ჟერარდ პიკე (ბარსელონა), ხოან კაპდევილა, კარლოს მარჩენა (ვილიარეალი), ნაჩო მონრეალი (ოსასუნა).

**ნახევარმცველები** - ხესუს ნავასი (სევილია), სანტი კასორლა, ბრუნო სორიანო (ვილიარეალი), ჩაბი ალონსო (რეალი), სერხიო ბუსკეტსი, ჩავი, პედრო (ბარსელონა), სესკ ფაბრეგასი (არსენალი), ხუან მატა (ვალენსია), დავიდ სილვა (მანჩესტერ სიტი).

**თავდამსხმელები** - დავიდ ვილია (ბარსელონა), ფერნანდო ლორენტე (ბილბაო).



ბრუნო სორიანო

ამბები

## კიდევ ერთი ურუგვაელი ესპანეთში

პრიმერა დივიზიონის „მალაგამ" გამოაცხადა, რომ არგენტინული „ბანფილდიდან" ურუგვაის ნაკრების ფორვარდი **სებასტიან ფერნანდესი** შეიძინა. სანაცვლოდ ანდალუსიურმა კლუბმა „ბანფილდს" 3,6 მილიონი ევრო გადაუხადა. 25 წლის ურუგვაელი „მალაგას" ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელია. ფერნანდესი 2008 წლიდან თამაშობდა არგენტინაში, ის სამხრეთ აფრიკის მუნდიალზეც თამაშობდა.

სხვათა შორის, სამედიცინო შემოწმებამ ფერნანდესის მუხლზე გარკვეული პრობლემები დააფიქსირა, თუმცა ფეხბურთელმა დაამტკიცა, რომ ამ პრობლემის მიუხედავად ის 6 წელი მაღალ დონეზე თამაშობს და ტრავმა ხელს არ უშლის. *„მოხარული ვარ, რომ კლუბი მენდო - ჩემი ოცნებაა საკუთარი შესაძლებლობების ევროპაში დამტკიცებაა. ჩემს ახალ თანაგუნდელებს ერთი სული აქვთ, როდის დაიწყება ახალი სეზონი, ახლა კი მათ მეც შევუერთდები",* - განუცხადა კლუბის ვებსაიტს ურუგვაელმა ახალწვეულმა.

## მალიორკა დანებდა

ესპანურმა კლუბმა „მალიორკამ" აღარ შეიტანა ხელახალი საჩივარი უეფაში, მას შემდეგ, რაც ბალეარელთა პირველი საჩივარი ევროპული ფეხბურთის მამებმა მაშინვე უარყვეს. ხელმეორედ „მალიორკას" შეეძლო საჩივრის სპორტის საარბიტრაჟოში შეტანა, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობამ გადაიფიქრა და ბედს შეეგუა. ასე რომ, უკვე გადაწყვეტილია - ევროპის ლიგაზე „მალიორკას" ადგილს „ვილიარეალი" დაიკავებს.

გვერდი მოამზადა

**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერდერი


მარკო არნაუტოვიჩი, რომელიც ვერდერმა ტვენტედან 6 მილიონ ევროდ იყიდა

# მარკოს თავში აუვარდა

## არნაუტოვიჩმა შააფი შეურაცხყო და დაისაჯა

როცა ბრემენის „ვერდერის" ხელმძღვანელები **მარკო არნაუტოვიჩს** ყიდულობდნენ, იცოდნენ, რომ ახალგაზრდა ავსტრიელი თავდამსხმელის სახით კონტრაქტს „რთულად ასაზრდელ ბავშვს" უფორმებდნენ. მას მერე, რაც მილანის „ინტერში" გაანათხოვრეს, 21 წლის არნაუტოვიჩი ძალიან ეგოისტი გახდა, ასე ვთქვათ, გაიბლინძა. მიუხედავად ამისა, „ვერდერმა" „ტვენტეს" მის სანაცვლოდ 6 მილიონი ევრო მაინც გადაუხადა. ახლა კი ცხადია, რომ „მუსიკოსების" მთავარ მწვრთნელ **თომას შააფს** დიდი ჯაფა დაადგება იმისათვის, რომ ავსტრიელი მოარჯულოს.

გუშინ, შააფს პირველად მოუხდა არნაუტოვიჩის დასჯა. თომასმა ვარჯიშის შემდეგ, გუნდი ორად გაყო და ერთმანეთში ათამაშა. ერთ მომენტში, არნაუტოვიჩი მსაჯის გადაწყვეტილებით იმდენად უკმაყოფილო დარჩა, რომ ბურთს ფეხი მაგრად დაარტყა და სარეკლამო აბრას მიარტყა. არადა, ეს მხოლოდ და მხოლოდ ვარჯიშის შემდგომი თამაში იყო, თანაგუნდელები თანაგუნდელების წინააღმდეგ. მთავარი ის არის, რომ მსაჯი თვითონ მწვრთნელი შააფი გახლდათ. თომასმა შეგირდს ქცევა, რა თქმა უნდა, არ მოუწონა და დასაჯა: შააფმა არნაუტოვიჩს აზიდვების გაკეთება უბრძანა. მართალია, 21 წლის მარკომ აზიდვები გააკეთა, მაგრამ მაინც ბურტყუნებდა და მწვრთნელის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო იყო. აქ კი შააფმა ველარ მოითმინა, მარკო თამაშიდან მოხსნა და გვერდითა მოედანზე სარბენად გაუშვა.

ვარჯიშის შემდეგ, ფეხბურთელმა ჟურნალისტებთან საუბრისას აბსურდული განცხადება გააკეთა, - ისეთი არაფერი მომხდარა, მწვრთნელთან ასეთი შეთანხმება მქონდა, შუა თამაშის მერე უნდა მერბინაო. შააფმა კი არაფერი დამალა: *„მარკო ძალიან ცუდად მოიქცა და ამიტომაც დავსაჯე. ეს ვარჯიშის თამაში იყო და წარმომიდგენია, რა რეაქცია ექნება ოფიციალურ მატჩში, თუ მსაჯის გადაწყვეტილებას არ დაეთანხმება. ასეთი საქციელის გამო, ნებისმიერი თავმოყვარე მსაჯი მინიმუმ ყვითელ ბარათს აუფრიალებს. მიუხედავად დღევანდელი შემთხვევისა, მე მაინც იმედიანად ვარ განწყობილი და მჯერა, რომ არნაუტოვიჩს მოვარჯულებთ და ბრემენელ ფანებს ის ძალიან შეუყვარდებათ."*

### ფრინგსი: მარკოს ეგოისტობა არ გამოადგება!

არნაუტოვიჩის თემას, „ვერდერის" კაპიტანი **ტორსტენ ფრინგსი** „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში გამოეხმაურა და ავსტრიელი ფეხბურთელის საქციელი და საქმისადმი მიდგომა გააკრიტიკა.

*„მარკო ძალიან ტექნიკური და სწრაფი, შესანიშნავი ფეხბურთელია, მაგრამ ხშირად ეგოისტობს. პირდაპირ ვიტყვი: მისი საქმისადმი მიდგომა არ მომწონს, მაგრამ იმედი მაქვს, რომ გამოსწორდება. არნაუტოვიჩი ჯერ ძალიან პატარაა და მომავალი წინ აქვს. შესაბამისად, მას არ აქვს უფლება, იფიქროს, რომ უკვე სუპერვარსკვლავი და შეუცვლელი ფიგურაა. არ მომწონს ისიც, რომ ხშირად წუწუნებს და კამათობს. ეტყობა, რომ მას ყურადღების ცენტრში ყოფნა უყვარს და ყოველთვის ცდილობს, ყურადღება მიიქციოს. ამაყი ფეხბურთელი არც ფანებს უყვართ და არც რომელიმე გუნდს სჭირდება. „ვერდერში" საქმისადმი სხვანაირი მიდგომაა საჭირო. მარკომ ჩემი და სხვა გამოცდილი ფეხბურთელების რჩევები აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს. ვნახოთ, შეძლებს თუ არა ამას,"* - განაცხადა ფრინგსმა.




სკანდალი

# ლელი: ბალაკმა პირადი ცხოვრება ამირია!

## ჰქონდა თუ არა ფლირტი მიხაელს კრისტიანის საცოლესთან?

დიდი შანსია, რომ გერმანიაშიც ისეთივე სკანდალი აგორდეს, როგორიც ინგლისში **ჯონ ტერის** გარშემო, რაც იმით დამთავრდა, რომ ვისაც არ დაეზარა, ყველამ „ჩელსის" ფეხბურთელი გალანძღა, მერე კი მას ინგლისის ნაკრების კაპიტნობა ჩამოართვეს. რაც გერმანიას: ახლავე ყველაფერში გაგარკვევთ.

მკითხველს „ბაიერნის" მარჯვენა მცველი **კრისტიან ლელი** კარგად ეხსომება. მართალია, ეს უკანასკნელი უმეტესად ცუდი თამაშითა და ბევრი შეცდომით დაგამახსოვრდებოდათ, მაგრამ მაინც: ლელი „ბაიერნის" ფეხბურთელი იყო და ბოლოს **იურგენ კლინსმანის** ფორმაციის რეკორდმაისტერში თამაშობდა. გასულ სეზონში ლელს ფაქტობრივად არ უთამაშია, რადგან მიუნხენელთა მთავარი მწვრთნელი **ლუის ვან გაალი** არ ენდობოდა. ახლა კი, 25 წლის მარჯვენა მცველი მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებულ ბერლინის „ჰერტაში" გადავიდა. დედაქალაქში მან თავისი საცოლე **დანიელაც** წაიყვანა, რომელიც 23 წლისაა და ფეხმძიმედ გახლავთ.

ახლა კი საქმეზე: ლელმა გუდას პირი მოხსნა და გერმანელ ჟურნალისტებს საკმაოდ სკანდალური რამერუმეები უთხრა. კრისტიანმა საჯაროდ განაცხადა, რომ მას ძალიან ცუდი ურთიერთობა აქვს გერმანიის ნაკრების კაპიტან **მიხაელ ბალაკთან**, რომელიც ცოტა ხნის წინ „ჩელსიდან" „ლევერკუზენში" გადავიდა და მომავალ სეზონში კვლავ ბუნდესლიგაში ითამაშებს. მართალია, ლელმა კონკრეტული არაფერი თქვა, მაგრამ რაც თქვა, ისიც საკმარისია იმისათვის, რომ ამ ამბავს საკმაოდ დიდი სკანდალი ვუწოდოთ.

მაგრამ დავიწყოთ სულ თავიდან. წინა კვირას კრისტიანმა ინტერვიუ მისცა ჟურნალ „ბუნტეს", სადაც ასეთი რამ თქვა: *„პირად ცხოვრებაში პრობლემები მქონდა, რაშიც წვლილი მიხაელ ბალაკსაც მიუძღვის. ჩემს მეგობარ გოგონა დანიელასთან პრობლემები რომ მქონდა, ესეც ბალაკის „დამსახურებაა". ვგულისხმობ იმას, რომ მიხაელი ჩარჩოებს გასცდა. მე და დანიელამ პრობლემა ერთმანეთში გულახდილი საუბრით მოვაგვარეთ. ჩემი საცოლე ფეხმძიმედაა, ახლა ისევ ბედნიერები ვართ და მოუთმენლად ველით შვილის დაბადებას".*

გუშინწინ, ლელს ინტერვიუ უკვე „შპორტ ბილდმა" ჩამოართვა, სადაც 25 წლის ფეხბურთელი ასეთ რამეს ამბობს: *„მიხაელ ბალაკის ბრალია ის, რომ თვეების განმავლობაში დეპრესიაში ვიყავი და ფეხბურთზე კონცენტრირებას ვერ ვახერხებდი. ბალაკის საქციელი უპატიებელია და მე მას ვერასდროს ვაპატიებ. ის გერმანიის ნაკრების კაპიტანია და ვფიქრობ, ყველასათვის მაგალითი უნდა იყოს, მაგრამ რაც გააკეთა, ეს ყველაფერია, გარდა ყველასათვის მისაბაძი საქციელისა."*

ჩარჩოებს გასცდა, ცუდად მოიქცა, ლელს პირადი ცხოვრება აურია - მაინც რა ჩაიდინა ასეთი მიხაელ ბალაკმა, რომელიც სკანდალური ქცევით არასდროს გამოირჩეოდა და რომელიც წყნარი, ერთი შეხედვით, ძალიან უწყინარი ადამიანია? ლელს არაფრის დაკონკრეტება არ სურს. გუშინ, კრისტიანს „ბილდის" კორესპონდენტი დაუკავშირდა და ჰკითხა, რატომ არაფერს აკონკრეტებ, თუკი საუბარი წამოიწყე, რატომ არ ამბობ, რა მოხდაო.

ლელის პასუხი: *„ბოლო დროს ყველა მეკითხება, სამი თვეა, ფეხბურთი არ გითამაშია და ვარჯიშებზეც ძალიან ცუდად გამოიყურებოდი და ამის მიზეზი რა არისო? ზოგიერთმა მეგობარმა ისიც მკითხა, ბალაკი ხომ არის ამ ამბავში გარეულიო და ჩემი პასუხია, დიახ, ბალაკი ამ ამბავში გარეულია! მას ლომის წილი მიუძღვის იმაში, რომ ბოლო დროს თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი და ეს თვითონ მიხაელმაც კარგად იცის."*

ასეთი პასუხის შემდეგ, ჟურნალისტმა ლელს ჰკითხა, აპირებთ თუ არა უფრო კონკრეტულად საუბარს და თუ აპირებთ, როდისო. ლელი: *„დანიელა და მე ბავშვს ველოდებით. ჩემი მომავალი შვილის, ისევ და ისევ დანიელას და ჩვენი ოჯახების გამო, ვფიქრობ, კონკრეტულად საუბარი საჭირო არ არის. პირადი ცხოვრების ასი პროცენტით გამომზეურება ყოველთვის ულამაზოა. თუკი ამის საჭიროება იქნება, არაფერს დავმალავ, ახლა კი ვფიქრობ, რომ რაც ვთქვი, ესეც საკმარისია. მხოლოდ ერთს დავძენ: ბალაკს ჰგონია, რომ ყველაფრის უფლება აქვს, მათ შორის იმისაც, რომ სხვის პირად ცხოვრებაში ჩაერიოს და ბევრი რამ გააფუჭოს. გერმანიის ნაკრების კაპიტნობა იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფრის უფლება გაქვს."*

„ბილდის" კორესპონდენტი ლელის საცოლესაც დაუკავშირდა, მაგრამ დანიელამ კომენტარის გაკეთება არ ისურვა. გაგრძელება, ალბათ, იქნება...


კრისტიან ლელი და მისი საცოლე დანიელა

დორტმუნდი

# კაგავაააა!

## პატარა იაპონელმა კლოპი მოხიბლა

დორტმუნდის „ბორუსიამ" დაამტკიცა, რომ მომავალ სეზონში დიდი ამბიციები ექნება. „შავ-ყვითლებმა" საკუთარ „ვესტფალენშტადიონზე" „მანჩესტერ სიტის" ამხანაგურად უმასპინძლეს და ამბიციური ინგლისური კლუბი 3:1 დაამარცხეს. „ბორუსიას" მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ კლოპმა** ახალგაზრდა იაპონელი ახალწვეული **შინჯი კაგავა** თავიდან ბოლომდე ათამაშა და ნიჭიერმა პლეიმეიკერმა ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა. ალსანიშნავია, რომ დორტმუნდელებმა განაცხადშიც კი არ შეიყვანეს პარაგვაელი თავდამსხმელი **ნელსონ ვალდესი**, რომლის გაყიდვა უკვე გადაწყვეტილი აქვთ.

მოგეხსენებათ, კლოპი „ბორუსიას" 4-2-3-1 ტაქტიკური სქემით ათამაშებს. იურგენმა კაგავა ცენტრალური ფორვარდის, **ლუკას ბარიოსის** უკან, შემტევ ნახევარმცველთა ტრიოდან, ცენტრში გაამწესა და იაპონელმა ფეხბურთელმა „ბორუსიას" იერიშებს იდეალურად უხელმძღვანელა. კაგავამ ჯერ თერთმეტმეტრიანი მოიპოვა, რომელიც გოლად ლუკას ბარიოსმა აქცია, მერე კი თვითონაც გაიტანა გოლი. მესამე გოლის ავტორი კი დორტმუნდელთა მხრიდან კიდევ ერთი ახალწვეული, ასევე 21 წლის პოლონელი თავდამსხმელი **რობერტ ლევანდოვსკია**. ინგლისელთაგან კი გოლი **ჟომ** გაიტანა.

*„მთელმა გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა, მაგრამ კაგავა უნდა გამოვარჩიო. თუ ასე გააგრძელებს, მუდმივად ძირითად შემადგენლობაში ვათამაშებ. შინჯი ძალიან მონდომებულია და მე მასში ყველაზე მეტად სწორედ ამას ვაფასებ"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ კლოპმა.

აქვე გეტყვით, რომ დორტმუნდელთა მარცხენა მცველი **მარსელ შმელცერი** მოსალოდნელზე ადრე გამოჯანმრთელდა. მარცხენა მცველმა მოედანზე 90 წუთი გაატარა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**


დორტმუნდელთა 21 წლის გამთამაშებელი შინჯი კაგავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთის ნაკრები



ლორან ბლანი გუშინდელ პრესკონფერენციაზე

# ბლანმა მუნდიალის გმირები არ გამოიძახა

საფრანგეთის ნაკრების ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ლორან ბლანმა** ნორვეგიის ნაკრებთან ამხანაგური მატჩისთვის შემადგენლობა დაასახელა, რომელშიც არაა მუნდიალის მონაწილე თუნდაც ერთი წევრი. შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ სამხრეთ აფრიკაში მონაწილე 23-ივე ფეხბურთელს თითომატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა. სამაგიეროდ, ბლანის გუნდშია „რეალის“ ფორვარდი **ქარიმ ბენზემა**, რომელიც მუნდიალზე არ წაიყვანეს.

სწორედ ამის გამო ბლანის სიაში ძალიან ბევრია სავარაუდო დებიუტანტი. ის კი არა დაცვაში მხოლოდ ორი ფეხბურთელია ისეთი, რომელთაც საფრანგეთის ნაკრებში ადრე უთამაშიათ. არც გამოძახებულ მეკარეთაგან რომელიმეს მოურგია აქამდე ეროვნული ნაკრების მაისურა. საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობა ასეთია:

**მეკარეები** - ნიკოლა დუშე (რენი), სტეფან რუფიე (მონაკო).

**მცველები** - ალი სისოხო (ლიონი), მატიო დებიუში (ლილი), როდ ფანი (რენი), ფილიპ მექსე (რომა), ადილ რამი (ლილი), მამადუ სახო (პსჟ), ბენუა ტრემულინასი (ბორდო).

**ნახევარმცველები** - იოან კაბაიე (ლილი), ლასანა დიარა (რეალი), ბლაიზ მატუიდი (სენტ ეტიენი), იან მვილა (რენი), შარლ ნზოგბია (უიგანი), სამირ ნასრი (არსენალი), მუსა სისოკო (ტულუზი).

**თავდამსხმელები** - ჰატემ ბენ არფა (მარსელი), ქარიმ ბენზემა (რეალი), ჯიმი ბრიანი (ლიონი), გილემ ორო (პსჟ), ჟერემი მენეზი (რომა), ლოიკ რემი (ნიცა).

ნიკოლოზ ნეფარიძე

ამბები

## ბეკენბაუერი ვან გაალს დარჩენას სთხოვს

„ბაიერნის“ პრეზიდენტი **ფრანც ბეკენბაუერი** აცხადებს, რომ **ლუის ვან გაალს** ესაუბრა და კონტრაქტის გახანგრძლივება სთხოვა. ჰოლანდიელ სპეციალისტს მიუნხენელებთან მოქმედი ხელშეკრულება მომავალი წლის ზაფხულში ეწურება.

*„ვან გაალი მალე 60 წლის გახდება და გასაგებია, რომ ყოველდღიური სამუშაოსგან შეიძლება დაიღალოს. მისთვის იდეალური სამუშაო ნაკრები იქნება და როგორც ვიცი, სწორედ ასეთი სურვილი აქვს. თუმცა ამის მიუხედავად, იმედს ვიტოვებ, რომ ვან გაალი „ბაიერნთან“ კონტრაქტს გააგრძელებს. მან ჩვენი კლუბისთვის ძალიან ბევრი რამ გააკეთა, ერთმანეთისა შესანიშნავად გვესმის და ძალიან მინდა, ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდეს“*, - აცხადებს ბეკენბაუერი.

## ანელკა: თქვას დომენეკმა სიმართლე!

ამას ლონდონის „ჩელსისა“ და საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ფორვარდი **ნიკოლა ანელკა** მოითხოვს. იგი აღიარებს, რომ რომ მუნდიალისას **რაიმონ დომენეკს** სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, მაგრამ იმასაც ამბობს, რომ ფრანგულმა გამოცემებმა ეს ამბავი გაზვიადებულად გააშუქეს.

*„ყველაზე მეტად გული იმაზე მწყდება, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩემს პოზიციაზე თამაშის საშუალება არ მომცეს. ძალიან მინდა, დომენეკმა საჯაროდ თქვას, რომ მე მისი მისამართით ის სიტყვები არ გამომიყენებია, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა. კარგი იქნება, თუ მას საამისოდ ვაჟკაცობა ეყოფა“*, - ამბობს ანელკა.

## ჯოვინკო იუვედან პარმაში

„ბებერ ქალბატონში“ სათამაშო პრაქტიკის სიმცირით უკმაყოფილო **სებასტიან ჯოვინკომ** საწადელს მიაღწია და კლუბი შეიცვალა. ახალგაზრდა იტალიელმა შემტევმა ნახევარმცველმა „პარმას“ იჯარით მიაშურა. ერთი წლის შემდეგ ემილიურ კლუბს სურვილის შემთხვევაში, მისი საბოლოო გამოსყიდვის უფლება ექნება.

*„ჯოვინკო შესანიშნავი ფეხბურთელია და მოხარული ვარ, რომ ჩვენი კლუბის ღირსებას დაიცავს. მისი ყიდვაც გვსურს და ვიმედოვნებ, ამასაც შევძლებთ. სებასტიანი ჩვენს მწვრთნელ პასკუალე მარინოსაც ძალიან მოსწონს. გვჯერა, რომ ჯოვინკო „პარმასთვის“ გამორჩეული ფეხბურთელი გახდება“*, - აცხადებს „პარმას“ გენერალური მენეჯერი **პიეტრო ლეონარდი**.

## რობინიოს სიტიში არ უნდა

ალბათ გახსოვთ, რამდენიმე დღის წინ გაცნობეთ, რომ „მანჩესტერ სიტიმ“ „სანტოსში“ განათხოვრებული **რობინიოს** დაბრუნება მოისურვა. თუმცა როგორც ირკვევა, თავად რობინიოს ინგლისში თამაში აღარ სურს.

*„დიდი იმედი მაქვს, რომ „სანტოსში“ დარჩენას მოვახერხებ. მინდა, „სიტი“ ჩემს სურვილს გაგებით მოეკიდოს. მე მხოლოდ ბრაზილიაში მსურს თამაში. ჩემი გული „სანტოსს“ ეკუთვნის და თავს ბედნიერად მხოლოდ აქ ვგრძნობ“*, - ამბობს რობინიო. ძნელი წარმოსადგენია, „სიტის“ ხელმძღვანელობასა და სამწვრთნელო შტაბში მისმა პოზიციამ დადებითი ემოციები გამოიწვიოს...

ლევან ჯანეზაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა



ლივერპული

# ყველამ სარკეში უნდა ჩაიხედოს...


როი ჰოჯსონი

„ლივერპულის" ახალმა მწვრთნელმა **როი ჰოჯსონმა** განაცხადა, რომ მერსისაიდული გუნდის ფეხბურთელებს არ მისცემს საშუალებას, მოიქცნენ ისე, როგორც გასული სეზონის განმავლობაში იქცეოდნენ. რა იგულისხმა გამოცდილმა ინგლისელმა სპეციალისტმა, რომლის ხელმძღვანელობითაც „ფულჰემმა" გასულ სეზონში ევროლიგის ფინალში ითამაშა? რა და წარუმატებლობის სხვისთვის გადაბრალების მავნე ჩვევა. ჰოჯსონს 34-წლიან სამწვრთნელო კარიერაში ცამეტი კლუბი და სამი ეროვნული ნაკრები ჰყავს გამოცვლილი. ახალ გუნდში გატარებული ხუთი კვირის განმავლობაში მას სახიდან ფართო, კეთილი ღიმილი არ მოშორებია, მაგრამ ბოლო პრესკონფერენციაზე მწვრთნელმა მკაფიოდ განაცხადა, რომ ამ ღიმილმა არ უნდა მოგვატყუოს - მისთვის ცნობილი, მდიდარი ფეხბურთელები არაფერს ნიშნავს და თუ საჭირო იქნება, ნებისმიერთან შევა კონფლიქტში.

წარუმატებლობის სხვათათვის გადაბრალებაზე კი, „ლივერპულის" ქომაგებს გონებაში, ალბათ რამდენიმე ამბავი ამოუტივტივდათ: **ფერნანდო ტორესმა**, რომელმაც ტრავმებისა და სხვა მიზეზების გამო გასულ სეზონში ძველებურად ვერ გაიბრწყინა, გაზაფხულზე განაცხადა, რომ გუნდი მთლიანად 4-5 ფეხბურთელზეა დამოკიდებული და სანამ ასეა, მისგან დიდ წარმატებებს არ უნდა ველოდოთ. აშკარა იყო, რომ ყოფილ მწვრთნელთან **რაფა ბენიტესთან** უსიამოვნება ჰქონდა კაპიტან **სტივენ ჯერარდს**, რომლის ცუდი თამაში ლივერპულელებს კინალამ ევროლიგაზე გამსვლელ ადგილად დაუჯდათ.

ამ სეზონში კი, ახალი თავკაცის თქმით, ნებისმიერი წარუმატებლობის მიზეზი ფეხბურთელებმა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავში უნდა ეძებონ. ჰოჯსონის ეს ნათქვამი ძალიან ჰგავდა მისი წინამორბედის, **რაფა ბენიტესის** მიერ გასული სეზონის შუაში თქმულს, როდესაც ახლა უკვე „ინტერის" სათავეში ჩამდგარმა ესპანელმა სპეციალისტმა მერსისაიდული კლუბის ვარსკვლავებს საკუთარ თავზე მეტი პასუხისმგებლობის აღებისკენ მოუწოდა.

*„ფერნანდო ტორესის გულწრფელობასა და მოტივაციაში ეჭვი არასდროს შემიტანია და როგორც თავად ნახეთ, ორიოდ დღის წინ მან ძალიან ნათლად გამოხატა თავისი დამოკიდებულება „ლივერპულისა" და საკუთარი მომავლის მიმართ. რაც შეეხება იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ამბობენ, რომ გუნდის პროგრესს ვერ ამჩნევენ და ამის გამო გული სტკივათ, ვფიქრობ, ხალხი მეტ პატივს სცემს, ვიდრე მე. რატომ? პასუხი მარტივია: როდესაც იმ გუნდის ფეხბურთელი ხარ, საქმე კარგად რომ არ მიუდის, კეთილი უნდა ინებო და რაიმეს შეცვლა სცადო. ეს უკლებლივ ყველა ფეხბურთელს ეხება, თუმცა, თუ დიდი ვარსკვლავი ხარ, რასაკვირველია, ვალდებულიც მეტად ბრძანდები. ერთი სიტყვით, მე ყველას სარკეში ჩახედვას ვურჩევდი".*

გარდა ამისა, ჰოჯსონმა დაადასტურა, რომ დანიელი **კრისტიან პოულსენის** „იუვენტუსიდან" 5,5 მილიონ ფუნტად ყიდვა **ხავიერ მასკერანოს** „ინტერში" გაშვების წინა პირობაა - პოულსენი „ლივერპულში" არგენტინელის ადგილს დაიკავებს. 30 წლის ნახევარმცველმა პროფესიულ ფეხბურთში პირველი ნაბიჯები ათი წლის წინ, „კოპენჰაგენში", სწორედ როი ჰოჯსონის ხელმძღვანელობით გადადგა.

კომბინაცია ასეთია: თუ „ინტერი" „მანჩესტერ სიტის" **მარიო ბალოტელის** მიჰყიდის, გამოუჩნდება თანხა, რომლითაც, სავარაუდოდ, „ლივერპულიდან" მასკერანოს წაიყვანს.

*„თუ ჩვენ კარგ ფულს შემოგვთავაზებენ და ამას გააკეთებს კლუბი, სადაც ხავიერს გადასვლა უნდა, მისი აქ ძალად დაბმა მეტისმეტად ძნელი იქნება"* - თქვა მწვრთნელმა.

და თითქოს დაბრკოლებაც აღარ ჩანს, მაგრამ... ბალოტელის ისტლენდზე გადასვლის საქმე დაბრკოლდა. საქმე ის არის, რომ იტალიელი თავდამსხმელი მანჩესტერული კლუბისგან დიდ ხელფასს ითხოვს. შეგახსენებთ, კლუბებს ერთმანეთში რა ჰქონდათ მოლაპარაკებული: ბოლო მონაცემებით, „სიტის" „ინტერისთვის" 29 მილიონი ევრო უნდა გადაეხადა და ბალოტელისთან ხუთწლიანი კონტრაქტი დაედო. ამ ვარიანტში ნავარაუდევი იყო, რომ 19 წლის ფორვარდი კვირაში 65 ათას ფუნტს ანუ 78,5 ათას ევროს მიიღებდა, მან კი... შეიძლება თვალებს არ დაუჯეროთ - კვირაში 180 ათასი ფუნტი (217 ათასი ევრო) მოითხოვა და დასძინა, ზედაც სარეკლამო შემოსავლის პროცენტები დამიმატეთო.

**ილია ბაბუნაშვილი**



ხავიერ მასკერანო

მოსალოდნელი ტრანსფერები

# მასკერანო თითქმის ინტერში, სტანკოვიჩი ისევ ლაციოსკენ?

**ხავიერ მასკერანო** და მილანის „ინტერი" სულ უფრო და უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს - „კორიერე დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ლივერპულის" დირექტორატის წარმომადგენელ **ედუარდო მაჩიას** იტალიაში საქმიანი ვიზიტი ჰქონდა და დროის დიდი ნაწილი სწორედ მილანში, "ინტერის" მესვეურებთან აუდიენციაში გაატარა. ინგლისელები არგენტინელის სანაცვლოდ რომ 30 მილიონ ევროს ითხოვენ, კარგად მოგეხსენებათ, მილანელები კი მზად არიან 15 მილიონი გადაიხადონ და ზედ **სალი მუნტარი** მიაყოლონ. სწორედ ამ საკითხებზე ისაუბრა მაჩიამ „ინტერის" წარმომადგენლებთან და პრესასთანაც გააკეთა კომენტარი:

*„მოლაპარაკებები გრძელდება და შეიძლება ითქვას, რომ დასკვნით ფაზაშია შესული. დასამალი არაფერია, თავად ფეხბულთელს სურს იტალიაში გადაბარგება და ყველაფერს ვაკეთებთ, რომ შეთანხმება შედგეს. შესაბამისად, მოლაპარაკებები კონსტრუქციულ ვითარებაში მიმდინარეობს, რაც ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს. ორივე მხარე მზად არის, რომ გარკვეულ დათმობებზე წავიდეს, რაც შედეგის მიღწევასთან ყოველდღიურად გვაახლოებს. გადავა თუ არა მუნტარი „ლივერპულში"? - ერთ-ერთ ვარიანტად ესეც განიხილება, თუმცა პირდაპირ გეტყვით, ამის ალბათობა ძალიან დაბალია".*

მუნტარის „ლივერპულში" გადასვლის ალბათობა მართლაც დაბალია და ეს იქიდანაც ჩანს, რომ მაჩიას ტურინის „იუვენტუსის" მესვეურებთანაც ჰქონდა საქმიანი შეხვედრა. „მერსისაიდელები" **კრისტიან პოულსენის** გადაბირებით არიან დაინტერესებულნი, რათა ამ უკანასკნელმა ხავიერ მასკერანოს ადგილი დაიკავოს. ჯერჯერობით, მოლაპარაკების დეტალები უცნობია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ტურინელები ფეხბურთელთან განშორების წინააღმდეგნი არ არიან. თუ „კორიერე დელო სპორტს" დავუჯერებთ, დანიელი საყრდენის ფასი რვა მილიონი ევროა, რაც წესით ლივერპულელებისთვის მისაღები თანხა უნდა იყოს. მით უმეტეს, მასკერანოს გასხვისებით ხაზინას გვარიანად გაიმდიდრებენ.

კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელიც „ინტერთან" დაკავშირებით ვრცელდება, **დეიან სტანკოვიჩს** ეხება. გასულ სეზონში, სერბი ნახევარმცველი იშვიათად ხვდებოდა გუნდის ძირითად შემადგენლობაში, არადა, როგორც თვითონ აცხადებს, შესანიშნავ ფორმაშია და გაცილებით მეტი შეუძლია, ვიდრე ამის საშუალება ეძლევა. ამის თქმა იყო და „ლაციოს" პრეზიდენტი გამოჩნდა ავანსცენაზე, რომელიც ბოლო დროს ძალიან გააქტიურებულია. შეგახსენებთ, რომ სტანკოვიჩმა სწორედ „ბიანკოჩელესტეში" ასპარეზობით გაითქვა სახელი და გუნდის გულშემატკივრებს ის დღემდე ძალიან უყვართ. მოკლედ, სერბი „ლაციოში" შემთხვევითი კაცი არ გახლავთ და რომაელებს მისი დაყოლიების იმედი ამადაც აქვთ. აი, რას ამბობს კლაუდიო ლოტიტო:

*„კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის შეძენა გვსურს, მათ შორის, დეიან სტანკოვიჩის. სერბი უმაღლესი კლასის ნახევარმცველია, რომელმაც შესანიშნავად იცის, რა არის იტალიური ფეხბურთი და კერძოდ „ლაციო". მოლაპარაკების პროცესი ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ უახლოეს დღეებში აუცილებლად შევეხმიანები მილანელ კოლეგებს და შემდეგ უკვე ფეხბურთელთანაც გავალ კონტაქტზე. ვიცი, რომ სათამაშო პრაქტიკა სჭირდება და სურს, მუდმივად ძირითად შემადგენლობაში იასპარეზოს, რისი პრობლემაც „ლაციოში" ნამდვილად არ შეექმნება".*

**ლაშა ნიკლაური**

ფიორენტინა

# როგორ შეცვლიან იოვეტიჩს?

„ფიორენტინას" გულშემატკივრებმა მართლაც რომ შოკისმომგვრელი ინფორმაცია გაიგეს - **სტევან იოვეტიჩმა** ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა და მინიმუმ ექვსი თვით მოუწევს ლაზარეთში გადანაცვლება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩერნოგორიელი შემტევი სეზონის პირველ ნახევარს მთლიანად გამოტოვებს და მხოლოდ 2011 წელს მოახერხებს მინდორზე დაბრუნებას. გულშემატკივარი იქით იყოს და **სინიშა მიხაილოვიჩი** საგონებელშია ჩავარდნილი, სტევანს მის სათამაშო მონახაზში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა და ეს არაერთხელ აქვს გაცხადებული ჟურნალისტებთან საუბარში. სტევანს კიდევ ერთი გამოკვლევა ხვალ ჩაუტარდება და გაცხადდება, საჭიროებს თუ არა დაუყონებლივ ოპერაციას. ნებისმიერ შემთხვევაში, მისი მკურნალობის პროცესი დაახლოებით ექვს თვეს გაგრძელდება.

„ფიორენტინა" ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელის გარეშე დარჩა და ფაქტია, რომ სატრანსფერო ბაზარზე გასვლაა საჭირო. კლუბის სპორტული დირექტორი **პანტელეო კორვინო** უკვე გააქტიურდა და რამდენიმე ფეხბურთელს დაადგა თვალი. „გაძეტა დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფლორენციელები **ანდრეა კოსუს** გადაბირებას შეეცდებიან, რომელიც „კალიარის" საკუთრებაა. კოსუმ გასულ სეზონში შესანიშნავი ასპარეზობით გაითქვა სახელი და თვით **მარჩელო ლიპის** ყურადღებაც კი მიიქცია. მაესტრომ კოსუ ამხანაგური შეხვედრისთვის გამოიძახა და შემდეგ უკვე სამუნდიალე გაფართოებულ შემადგენლობაშიც მოახვედრა, რაც თავისთავად უკვე ბევრს ნიშნავდა. ანდრეა ძალიან სწრაფია, ტექნიკური და მოედნის იდეალური ხედვა აქვს - ძირითადად გარემარბის პოზიციაზე ასპარეზობს, თუმცა გამთამაშებლობაც შეუძლია.

მოკლედ, უნივერსალური თვისებებით გახლავთ დაჯილდოებული და მისი სახით „ფიორენტინამ", წესით, ძალიან კარგი შევსება უნდა მიიღოს. თუმცა, ჯერ ტრანსფერი უნდა შედგეს და როგორც იტალიელი ჟურნალისტები წერენ, ამისთვის კორვინომ მთელი თავისი ენერგია და შესაძლებლობები უნდა გამოიყენოს. „კალიარის" აღარ სურს მხოლოდ სერია A-ში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძოლოს და წამყვან ფეხბურთელებთან განშორებას არ აპირებს. მეტიც, სარდინიელები სატრანსფერო ბაზარზე გააქტიურდნენ და უახლოეს დღეებში **რობერტ აკვაფრესკას** სახით, ძალიან კარგ შევსებასაც მიიღებენ. ვნახოთ, მალე ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი.

**ლაშა ნიკლაური**



სტევან იოვეტიჩი

საერთაშორისო კონფერენცია

# ქართული მოდელის დროც დადგა




როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის (თავმჯდომარე **გიორგი ასანიძე**) თაოსნობით, პარლამენტის სპორტის განვითარების ექსპერტთა საბჭო (თავმჯდომარე **ვაჟა შუბლაძე**) რამდენიმე თვეა, აქტიურადაა ჩართული „საქართველოში ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლებისა და სპორტში მასობრივად ჩაბმის ერთიანი ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის" შემუშავებაში. პროექტში მონაწილეობენ საქართველოს განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროები, საერთაშორისო ორგანიზაციები, აფინანსებს გაეროს ბავშვთა ფონდი Unicef-ი და Usaid-ის ორგანიზაცია World Learning. ორი კვირის წინ თბილისში ხსენებული ორგანიზაციების მონაწილეობით გაიმართა პირველი საერთაშორისო სემინარი, გუშინ კი იმავე სასტუმრო „სიმპათიაში" მეორე საერთაშორისო სემინარზე შეიკრიბნენ საქართველოს პარლამენტის წევრები, განათლების, სპორტისა და ჯანდაცვის სამინისტროების წარმომადგენლები, სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელები, ექსპერტები, საჯარო სკოლების დირექტორები, სპორტის მუშაკები და მოწვეული სტუმრები.

კონფერენცია გიორგი ასანიძემ გახსნა. ამჯერად დღის წესრიგში იყო „ბავშვთა სპორტისა და ფიზიკური განათლების ევროპული მოდელის განხილვა". მოხსენება გააკეთა ლონდონელმა ექსპერტმა ბავშვთა სპორტის საკითხებში **ალან ბელმა**, ხოლო კურიკულუმის ექსპერტმა **კლერ სთრეითჩმა** ფიზაღზრდის ახალი ქართული კურიკულუმის ძირითადი პრინციპები გააცნო შეკრებილთ.

ვაჟა შუბლაძემ პუნქტობრივად გააანალიზა და სიცხადე შეიტანა უცხოელი სპეციალისტების მიერ შემოთავაზებული მოდელის პრინციპებში.

მოხსენების შემდეგ გაიმართა დიალოგი. სტუმრებმა და ქართველმა ექსპერტებმა უპასუხეს შეკითხვებს, რომლებიც მრავლად დაისვა კონფერენციაზე.

გუშინდელი განხილვით დასრულდა „საქართველოში ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლებისა და სპორტში მასობრივად ჩაბმის ერთიანი ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების" I და II ეტაპები. ქართველი და უცხოელი ექსპერტები დღეიდან უკვე ქართული მოდელის შექმნაზე დაიწყებენ მუშაობას.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა გიორგი ასანიძემ.

**თენგიზ თომაშვილი**

მშვილდოსნობა

მსოფლიო თასი

# მხოლოდ ერთი მოგება

ამერიკულ ოგდენში მიმდინარე მშვილდოსანთა მსოფლიო თასის მორიგ ეტაპზე პირად პირველობაში პლეი ოფები გაიმართა. სამწუხაროდ, ჩვენებმა ნაადრევად დაამთავრეს იქ გამოსვლა. ქართული ტრიოდან პირველი ეტაპი მხოლოდ **ხათუნა ნარიმანიძემ** გადალახა - ფრანგი **სირილ დელამარე** 4:0 დაამარცხა. აი, მეორე წრე კი მისთვის დაუძლეველი აღმოჩნდა - მასპინძელთა ლიდერ **ჯენიფერ ნიკლოშთან** 1:5 დამარცხდა.

სხვა ჩვენებურები პირველივე წრიდან გავარდნენ. განსაკუთრებით მოულოდნელი **ქრისტინე ესებუას** მარცხი იყო მონგოლ **ბიშინდეე ურანტუნგალაგთან** - 2:4. ჩვენებურმა მას საკვალიფიკაციო ეტაპზეც გაუსწრო და მონგოლი არც ძლიერი მსროლელი გვგონია. აკი ესებუასთან მოგების შემდეგვე დამარცხდა. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ კორეელ ოლიმპიურ პრიზიორ **ოკ-ჰეე იუნთან** წააგო. **ასმათ დიასამიძემ** 0:4 წააგო ტაივანელ **ია-ტინგ ტანთან,** რომელმაც მომდევნო წრეში ამერიკელთა მეორე ნომერი, ჩვენებური **ხათუნა ლორიგი (ქვრივიშვილიც)** დაამარცხა.

დღეს, ოგდენში პლეი ოფები გუნდურ პირველობაში გაიმართება. პირველ წრეში ჩვენების მეტოქე ინდოეთის ნაკრებია, რომელმაც საკვალიფიკაციო ეტაპი მეექვსე შედეგით კი ჩაამთავრა, მაგრამ მაინც არაა ძლიერი გუნდი და მასზე ბევრად უკეთესსაც შეიძლებოდა გადავყროდით.

**ირაკლი თავაძე**

ტყვიის სროლა

მსოფლიოს პირველობა

# კვლავაც წარუმატებლად

სამწუხაროდ, მიუნხენში მიმდინარე ტყვიის მსროლელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე **ნინო ფანჩულიძეც** წარუმატებლად გამოვიდა. მან გუშინ ახალგაზრდების ტურნირში ისროლა პნევმატური პისტოლეტით და 357 ქულა დააგროვა. ეს შედეგი 79 მონაწილეს შორის 68-ე აღმოჩნდა.

ქუთაისელი გოგონა უცხოეთში სულ მეორედ ასპარეზობდა, ამ რანგის შეჯიბრებაში კი დებიუტი ჰქონდა. დასამალი არაა, რომ მისგან მედალს არც ველოდებოდით, მაგრამ საკუთარი შედეგის გამეორების იმედს კი ვიტოვებდით. ყოველ შემთხვევაში, მასთან მიახლოებას მაინც. ფანჩულიძემ უცხოეთში პირველად მაისში ისროლა და მაშინაც გერმანიაში, ოღონდ ზულში, სადაც დიდ საერთაშორისო ტურნირში გამოვიდა და პნევმატური პისტოლეტით 374 ქულა დააგროვა. ჩვენი ნაკრებიდან ამაზე ბევრად მეტს სტაბილურად მხოლოდ **ნინო სალუქვაძე** ახერხებდა, თორემ სხვები ამ ზონაში ტრიალებდნენ - იქნებ ისინი პერიოდულად ამაზე უკეთაც ირჯებოდნენ, მაგრამ ნაკლებიც ჰქონდათ ხოლმე. ეს ფრიად კარგი შედეგი იყო ფანჩულიძის ასაკისა და გამოცდილების კვალობაზე, თანაც, ობიექტური მიზეზებით გაცდენილი სეზონის შემდეგ და ამიტომ გვაინტერესებდა: შეძლებდა თუ არა ის სტაბილურად ამ მაჩვენებელზე გასვლას?

სამწუხაროდ, ჯერჯერობით ნინომ დამაიმედებელი ვერაფერი გვაჩვენა - ძალზე დაბალი შედეგი ჰქონდა. მიზეზებზე ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით, მაგრამ შესაძლოა, იყო ტექნიკური ხარვეზიც, რაც სპორტის ამ სახეობაში ხშირია. არც ისაა გამორიცხული, დებიუტანტმა ფსიქოლოგიურ წნეხს ვერ გაუძლო. ყოველ შემთხვევაში, ვიქონიოთ იმედი, რომ ფანჩულიძე მომავალში კვლავ გაიმეორებს თავის შედეგს და ეროვნულ ნაკრებს საიმედო ცვლად მოევლინება.

ჩვენებურის მაჩვენებელი ცალკეული სერიების მიხედვით ასეთია - 89 ქულა პირველი სერიაში, რაც ნამდვილად არაა მაღალი მაჩვენებელი. ამის შემდეგ ვითარება ცოტათი გამოასწორა - ჯერ 91 ქულა გააკეთა, მერე მოუმატა და 93 დააგროვა, მაგრამ ბოლო, მეოთხე სერიაში მკვეთრად გააუარესა შედეგი და ყველაზე ცუდი მაჩვენებელი ჰქონდა - 84. აქვე ისიც ვთქვათ, რომ 374 ქულა ამჯერად მე-12 მე-13-ე ადგილების შესაფერისი აღმოჩნდა.

ახალგაზრდა გოგოების ტურნირი აზიელთა დიდი უპირატესობით წარიმართა - მოწინავე შვიდეულში მხოლოდ ერთი ევროპელია, ფრანგი ვერცხლის პრიზიორი **ალისონ გალიენი,** სხვა ადგილები კი მონღოლმა, ორმა ჩინელმა და სამმა კორეელმა შეავსეს. ჩემპიონიც მონღოლი გახდა - **კონგორზულ ჩაგაანდალაი** 382 ქულით. ფრანგმა 381 დააგროვა, ბრინჯაოს მედალი კი 380 ქულით **იეჯი კიმიმ** მოიპოვა.

სხვა რა დაგვრჩენია - დაველოდოთ 8-9 აგვისტოს, როცა სტარტზე ორჯერ დადგება ნინო სალუქვაძე და მსოფლიოს ჩემპიონატის მედალთან ერთად ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიისთვისაც იბრძოლებს, თუმცა მანამდე, შაბათს მესტენდური ვაჟებიც ისვრიან.

**ირაკლი თავაძე**

წყალბურთი

# შტუტგარტში ევროპის პირველობაზე

გერმანიის ქალაქი შტუტგარტი 8 აგვისტოდან 1993 წელს დაბადებულ წყალბურთელთა ევროპის პირველობის დასკვნით ეტაპს უმასპინძლებს. 16 გუნდის მონაწილეობით. მათ შორის იქნება საქართველოს ნაკრები, რომელმაც ეს უფლება საკვალიფიკაციო ტურნირში მიღწეული წარმატებით მოიპოვა. მთავარი მწვრთნელის **რევაზ ჩომახიძის და** მწვრთნელის **ნოდარ ჩხარტიშვილის** ხელმძღვანელობით შტუტგარტში 13 წყალბურთელი - **გიორგი ცანკაშვილი, ირაკლი ფავლენიშვილი, ნიკოლოზ შუბლაძე, მერაბ გელაშვილი, ვაკო დავითური, ლევან ჩიქვინიძე, გივი სულაძე, დავით კაკულია, თორნიკე სხილაძე, ალექსანდრე ურუშაძე, სანდრო ხუციშვილი, გიორგი ქართველიშვილი, ზურაბ გოჩიტაშვილი** - იასპარეზებს. ჩვენი ბიჭები 8, 9 და 10 აგვისტოს, შესაბამისად, გერმანელ, თურქ და ხორვატ თანატოლებს დაუპირისპირდებიან.

- ამ შეჯიბრებისთვის მონდომებით ვემზადებოდით, — გვითხრა რევაზ ჩომახიძემ, — საწვრთნელ შეკრებაზე ვიყავით ნახკაძორში, ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირზე სამ გუნდს ვეთამაშეთ. ისინი ჩვენებზე ორი-სამი წლით უფროსები იყვნენ და, ცხადია, ყველა შეხვედრა მოგვიგეს. თანატოლებთან თამაშის საშუალება არ გვქონდა, რადგან ტურნირებში მონაწილეობა სეზონის დასაწყისში იგეგმება და ადგილები ადრიდანვეა დაჯავშნილი. ფინალურ ეტაპზე გასვლას ჩვენგან არავინ ელოდა, ამიტომაც საზღვარგარეთულ ბატალიებში მონაწილეობაზე განაცხადის შეტანა დაგვიანდა.

ევროპის პირველობის დასკვნით ეტაპზე ოცნების კოშკების აშენებას ვერ დავიწყებთ. თურქეთის ნაკრები პოლონეთის ტურნირზე გვყავს ნანახი და ვიცით მისი ძალა. ხორვატები მსოფლიოს წყალბურთის გრანდებში შედიან, გერმანელები კი ასპარეზობის მასპინძლები არიან და, თქმა არ უნდა, მეოთხედფინალში გასვლას გეგმავენ. პირდაპირ ვიტყვი — საქართველოს ნაკრების შანსები მინიმალურია. საერთოდ, პირველობაზე ერთ მატჩს მაინც თუ მოვიგებთ, ესეც დიდი მიღწევა იქნება. ალბათ, IX-XVI ადგილებისთვის მოგვიწევს პაექრობა.

სულ რაღაც 8-10 თვის წინათ ჩამოვაყალიბეთ ასაკობრივი ნაკრები გუნდები, რომლებთანაც მიზანმიმართულად ვმუშაობთ, მოვიწვიეთ მწვრთნელები და შევქმენით ახალგაზრდულ ნაკრებებთან საქმიანობის მექანიზმი. 17-წლიანთა ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპზე გასვლამ დაგვარწმუნა, რომ წარმატებები იქნება, ქართულ წყალბურთს მომავალი აქვს.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო



რევაზ ჩომახიძე შეგირდებთან მორიგი ვარჯიშის წინ

პლაჟბურთი

მსოფლიო ტური

# წაგებების მეორე დღე

პოლონეთის ქალაქ სტარე იაბლონიკში, მსოფლიო ტურის მორიგი ეტაპის ქალთა შეჯიბრებაში **საქა-რთველო** ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში ტურნირის ფავორიტთან, მსოფლიოს პირველ ნომერ ბრაზილიურ დუეტ **ლარისა-ჟულიანასთან** დამარცხდა ორ სეტში -13:21, 18:21.

საქა-რთველომ ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და დღეს მერვედფინალის შესარჩევ ეტაპზე ითამაშებს.

ორიდან ორივე შეხვედრა წააგო ვაჟთა შეჯიბრებაში **გეორ-გიამ.** ჩვენმა ფრენბურთელებმა, რომლებიც ტურნირზე 27-ე ნომრადა არიან განთესილნი, ჯერ მე-6 ნომრად განთესილ ჩინელებთან **ვუ-ხუსთან** წააგეს - 1:2 (21:17, 19:21, 10:15), მერე კი მე-11 ნომრად განთესილ ავსტრილებთან, **გოშ-ჰორსტთან** დათმეს - 0:2 (13:21, 15:21)

გეორ-გია დღეს ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩს გამართავს.




ჩოგბურთი

# ისევ კალაშნიკოვამ მოიგო

ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში ჩვენთვის საინტერესო დუელი გაიმართა „ასტანა ვუმენსის" მერვედფინალში - ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი 50 ათასი ამერიკული დოლარია, ერთმანეთს ჩვენი თანამემამულეები, მე-7 ნომრად განთესილი **ოქსანა კალაშნიკოვა** (180) და **სოფიო შაფათავა** (299) გადაეყარნენ. ისევე, როგორც წინა ორ დაპირისპირებაში, ამჯერადაც კალაშნიკოვამ იმარჯვა, რომელმაც ორ სეტში დაამარცხა შაფათავა - 6:2, 6:3. ოქსანა მეოთხედფინალშია (შესაბამისად, 18 სარეიტინგო ქულა გაინაღდა), სადაც მე-4 ნომრად განთესილ **ალექსანდრა პანოვას** (რუსეთი, 140) ეთამაშება. ეს ჩოგბურთელები ერთმანეთს ერთადერთხელ შეხვდნენ და ისიც ასტანაში! შარშან ტურნირის პირველ წრეში ოქსანამ მოიგო, ის მესამე გადამწყვეტ სეტში 1:4-ს აგებდა, მაგრამ რუსმა ჩოგბურთელმა ტრავმა მიიღო და თამაში ვეღარ გააგრძელა. სხვათა შორის, წყვილთა ბადეში კალაშნიკოვა და პანოვა ერთად თამაშობენ.

22 წლის **თათია მიქაძე** (283) ტურნირის ფავორიტ **ევგენია როდინას** (რუსეთი, 118) ეპაექრებოდა. საინტერესო იყო, როგორ წარმოაჩენდა თავს უფრო ძლიერ კონკურენტებთან ბოლო დროს მომძლავრებული მიქაძე. სამწუხაროდ, კარგს ვერაფერს გეტყვით - 0:6, 0:6, „როდინას დასკვნა" ძალზე დამაფიქრებელია...

საკვირველი და დასანანი მარცხი იწვნია საქართველოს პირველმა ჩოგანმა **ანა ტატიშვილმა** (149) ვანკუვერის ღია პირველობის (75 ათასი დოლარი) პირველივე წრეში. კანადაში ანამ ამერიკელ **გაილ ბროდკისთან** (647) წააგო - 1:6, 1:6. მსოფლიოს რეიტინგის მე-7 ასეულის წევრთან წაგება და თანაც ასეთი, საკვირველია...

ტატიშვილი ამერიკელ **ლილია ოსტერლოსთან** (142) დუეტში წყვილთა ბადეში მე-2 ნომრადაა განთესილი. პირველ წრეში მათ ამერიკელებს (**ჯიბსი, როჯერსი**) იოლად სძლიეს - 6:1, 6:0. ახლა მათი მეტოქეები კანადელები (**ბოუჩარდი, აბანდა**) იქნებიან.

ამერიკაში, ილინოისის შტატის ქალაქ დეკატურში მე-6 ნომრად განთესილმა **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** (631) პირველ წრეში ამერიკელ **დენის ნევოლოს** (1305) მოუგო - 6:4, 6:4. მერვედფინალში ნიკა კიდევ ერთ მასპინძელს, **ჯონი ნამუის** ეთამაშება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარათონელები

# პირველი და მესამე იზმითში

## ქართველი მარათონელი გინესის რეკორდს თურქეთის სახელით შეუტევს



არის ასეთი თურქული ქალაქი - იზმითი (იზმირში არ აგერიოთ) ქოჯაელის პროვინციაში, სადაც ყოველ წელს იმართება ეგრეთ წოდებული საზღვაო დღესასწაული სხვადასხვა ქვეყნის მარათონელების - შორ დისტანციაზე მოცურავეების მონაწილეობით. წლეულს ტურნირი 24 ივლისს გაიმართა. საქართველოდან გამოდიოდნენ ხალხური ცურვის დიდოსტატი, 50 წლის **ბეგლარ ელბაქიძე** (თურქეთში მას „ზღვაზე გამავალ კაცს" უწოდებენ) და მარათონელი, 21 წლის **ლევან წერეთელი**.

ელბაქიძემ პირველობა მოიპოვა „ზეზელა", ანუ ხელებაღმართულ ცურვაში. ერთ ხელში მას თურქეთის დროშა ეჭირა (თუ რატომ, ამას ქვემოთ გაიგებთ), მეორეში - პირადი მობილური ტელეფონი. ამ მდგომარეობაში მან კილომეტრ-ნახევარი გაცურა.

რაც შეეხება წერეთელს, მან 1500 მეტრის თავისუფალი სტილით გაცურვას 24 წუთი მოანდომა და მესამე პრიზიორი გახდა. ლევანი 4 წუთით ჩამორჩა გამარჯვებულს, ერთით - მეორე პრიზიორს. დიპლომსა და მედალთან ერთად მან ფულადი პრემიაც მიიღო. შეჯიბრებას თურქეთის სპორტის მინისტრი, ქალაქ იზმითის მერი (წარმოშობით ქართველი) და ადგილობრივი ვილაიეთის (ჩვენებურად - საკრებულო) თავმჯდომარე (ისიც ქართველი) დაესწრნენ.

ბეგლარ ელბაქიძემ ამ წლის დასაწყისში თბილისის მერიას წარუდგინა განაცხადი, რომ მზად იყო (და ახლაც მზადაა), ხელებაღმართულს გადაეცურა ხმელთაშუა ზღვის ყველა სრუტე. იყო თავდაცვის სამინისტროს სამაშველო სამსახურის დაინტერესების მცდელობა, მიმართა თითქმის ყველა ჩვენებურ ბიზნესმენსაც, რომელსაც მისი ჩანაფიქრის ფინანსური უზრუნველყოფა შეეძლო, მაგრამ...

ამის შემდეგ ბატონ ბეგლარს მიწვევა მიუვიდა თურქეთიდან და უკვე სექტემბრის ბოლოს მეზობელი ქვეყნის სახელით გინესის რეკორდის დამყარებას შეეცდება. ცნობისთვის, თურქებმა მას უკვე გაუფორმეს კონტრაქტი და სახლიც აჩუქეს...

ხომ არ დაკარგა საქართველომ კიდევ ერთი საინტერესო ადამიანი?

ჭიდაობა

# ხელს ნუ მიშლიან!

## როგორ დაზარალდა საერთო გუნდური ინტერესები

**საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრებმა საკმაოდ კარგად იასპარეზა ბუდაპეშტში, მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში. ორი ოქროს, ერთი ვერცხლის და ორიც ბრინჯაოს მედალი - ასეთია მონაგარი. საინტერესოა, რომ მანამდე ევროპის ჩემპიონატშიც მედლების იგივე რაოდენობა ამავე ხუთეულმა მოიპოვა. მსოფლიოს ჩემპიონატით ახალგაზრდული ნაკრებისთვის ფაქტობრივად დასრულდა წლევანდელი სეზონი. დარჩენილია ორი საერთაშორისო ტურნირი, თუმცა იქ, როგორც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ნუგზარ სხირელმა განაცხადა, ის მოჭიდავეები იასპარეზებენ, რომლებიც გუნდის საგაისო შემადგენლობაში მოიაზრებიან. ჩვენთან საუბარში ნაკრების თავკაცმა განვლილი სეზონიც შეაფასა და სხვა მნიშვნელოვან თემებსაც შეეხო.**

**— ბატონო ნუგზარ, ნაკრების ერთ-ერთმა დებიუტანტმა ლაშა ტალახაძემ 50 კილოში ბევრისთვის მოულოდნელი შედეგი აჩვენა...**

— ლაშას მონაგარი ევროპაზე ბრინჯაოა, მსოფლიოზე კი - ვერცხლი. ამ ეტაპზე ეს მისი მაქსიმუმი იყო. აღსანიშნავია, რომ ტალახაძეს წონის კლება ხშირად უწევს, ბუდაპეშტისთვის კი ეს პროცესი გაუჭიანურდა და საქმე იქამდე მივიდა, რომ გამგზავრების წინ აეროპორტშიც აღარ უნდოდა მოსვლა. ალბათ, ფიქრობდა, ღირსეულად ვერ გამოვალ მსოფლიოს ჩემპიონატზეო. საბოლოოდ მაინც ვაიძულეთ წამოსვლა და უწინდელზე უკეთეს შედეგსაც მიაღწია! თანაც ნახევარფინალში, ისევე, როგორც ევროპის ჩემპიონატზე სამოკოვში, კონტინენტის მოქმედ ჩემპიონს, მოლდოველ ანატოლი ბურუიანს შეხვდა და მაშინდელი მარცხისთვის სრულფასოვანი რევანში აიღო 6:0, 5:2. მოლდოველი, ცხადია, ისევ გამარჯვებას გეგმავდა, თუმცა ლაშამ ერთ ეპიზოდში აიტაცა და მაღლიდან ისე ეფექტურად დააგდო ხალიჩაზე, მაყურებელი გულგრილი ვერ დარჩა. სამწუხაროდ, ლაშას ფინალში დადაევის დასამარცხებლად ძალა აღარ ეყო. შესაძლოა, დაკმაყოფილდა კიდეც ფინალისტობით და...

**— კიდევ ერთი მედალოსნის, 60 კილოში მოასპარეზე დებიუტანტის - თენგიზ ჩოჩიშვილის გამოსვლას როგორ შეაფასებთ?**

— ისიც ვერცხლის და ბრინჯაოს მედლების მფლობელი გახდა, თუმცა საოცრად დაჩაგრეს მსაჯებმა, რაც „ლელოსთან" საუბარში ადრეც აღვნიშნე. ფაქტი თავად ფილამაც აღიარა – ჩოჩიშვილ-გაზიმაგომედოვის ფინალური შეხვედრა კონტინენტის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის ცენო ცენოვის მითითებით მსაჯთა საკვალიფიკაციო-საგამოცდო საკითხებშია შეტანილი, როგორც არბიტრის საბედისწერო შეცდომის მაგალითი! საერთო ჯამში თენგიზის ჭიდაობით ორივე ტურნირზე კმაყოფილი ვარ.

**— ტრიუმფული აღმოჩნდა დავით ხუციშვილის გამოსვლა სამოკოვშიც და ბუდაპეშტშიც...**

— დავითი დაცვითი სტილის მოჭიდავეა, თითქმის არ კარგავს ქულას, ელოდება და ბრწყინვალედ იყენებს მეტოქის შეცდომას. საგულისხმოა, რომ ხუციშვილმა ორივე შეჯიბრების ფინალში რუსეთის წარმომადგენლის ძლევით იჩემპიონა - სამოკოვში მაკიევი, ბუდაპეშტში კი შალაევი დაამარცხა. მანამდე დიდი ბრძოლა გადახდა ირანელ აპზალიპაემამისთან. საერთოდ, ხუციშვილმა დამსახურებულად მოიპოვა ორივე ოქროს მედალი!

**— მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ დღეს ამ ფალავანთა გარდა თორნიკე ხიდეშელიც გავიდა ხალიჩაზე 96 კილოგრამში, თუმცა ისევე, როგორც სამოკოვში, ბუდაპეშტშიც უშედეგოდ...**

— თუ დამიჯერებთ, ამაზე ლაპარაკიც აღარ მინდა! ევროპაზე ფიასკოს შემდეგ მე კატეგორიულად ვითხოვდი ბუდაპეშტისთვის ხიდეშელის საქართველოს ჩემპიონატის ფინალისტით, ომარ გუსოშვილით შეცვლას, რომელიც ამასთან ასაკით პატარაცაა და, სავარაუდოდ, გაისად ნაკრების ლიდერი ამ წონაში ის იქნება. სამწუხაროდ, მწვრთნელთა საბჭომ არ მომცა ამის საშუალება. იძულებული გავხდი, უნგრეთში მეჭიდავებინა ათლეტი, რომლისგანაც შედეგს არც ველოდი და თან ამ შეჯიბრების მერე მას ახალგაზრდულ ნაკრებში გამოსვლის უფლებაც აღარ ჰქონდა!

**— სამოკოვის მერე მძიმე წონაშიც ფიქრობდით ფალავნის შეცვლას, თუმცა უნგრეთშიც საკანდელიძემ იჭიდავა.**

— აქაც მწვრთნელთა საბჭოს გადაწყვეტილებით ვერ შევცვალე მოჭიდავე. ხაზგასმით ვამბობ, რომ გიორგი საკანდელიძე საკმაოდ კარგი ფალავანია. მან ევროპის ჩემპიონობითაც დაამტკიცა ეს, თუმცა ამ ეტაპზე ლევან ბერიანიძეს მეტი შეეძლო. მართალია, გიორგიმ, ბუდაპეშტშიც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ იქ ბერიანიძეს ჩემპიონობა შეეძლო. მე ჩემს ოპონენტებს ვუთხარი: „მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ნახავთ, რომ მართალი ვიყავი". დარწმუნებული ვარ, ისევე, როგორც 96 კილოში, მძიმე წონაშიც იმ იძულებითი ცვლილებებით საერთო გუნდური ინტერესები დაზარალდა!

**— ბუდაპეშტში კიდევ ორი უმედლოდ დარჩენილი ქართველი მოჭიდავის, მარსაგიშვილისა და ტლაშაძის გამოსვლაც შეაფასეთ.**

— საუბედუროდ, 84 და 66 კილოში მათი სრულფასოვანი შემცვლელები არ გვყავდა. ტლაშაძისგან მედალს ამჯერად არც ველოდი. წლეულს ეს წონა შარშანდელთან შედარებით სუსტია, თუმცა ტლაშაძემ გუნდს ჩასათვლელი ქულები მაინც მოუტანა. გასულ სეზონში ბრწყინვალედ მოასპარეზე დავით მარსაგიშვილი კი წლეულს საერთოდ ჩაფლავდა. მისი გამოსვლა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

**— ახლა ლადო ხინჩეგაშვილზე ვთქვათ, რომელმაც ევროპულ ვერცხლს მსოფლიოს ოქროც მოაყოლა.**

— 55 კილოში ლადოს ურთულესი ჯგუფი შეხვდა, პირველ მეტოქეს, უნგრელ მოლნარს თუ არ ჩავთლით, მომდევნო შეხვედრებმა ირანელ, უკრაინელ, რუს და აზერბაიჯანელ სპორტსმენებთან მოუწია. ძლიერი საჭიდაო ქვეყნების წარმომადგენლებთან ასპარეზობა ყოველთვის ძნელია. ხინჩეგაშვილისთვის ფინალის აზერბაიჯანელ ასკაროვთან პაექრობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იმიტომაც იყო, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალში სწორედ მასთან დამარცხდა მეტოქისთვის ერთობ საეჭვო ქულების მინიჭების გამო. სამოკოვშივე შემპირდა ხინჩეგაშვილი, რომ ასკაროვს მსოფლიოს ჩემპიონატზე შემუსრავდა. ბუდაპეშტში ლადოს აშკარად ეტყობოდა ჩემპიონობისთვის მზაობა და შეასრულა კიდეც დანაპირები. სასიხარულოა, რომ ახლა უკვე ისიც, ისევე, როგორც აწ გარდაცვლილი მამამისი — ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონია ახალგაზრდებს შორის!

**— დღევანდელი გადასახედიდან როგორ ფიქრობთ, გუნდური პირველი ადგილის დაკავება შეუძლებელი იყო?**

- ახლანდელი კონტინგენტით ხუთ-ხუთი მედლის მოპოვება ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ურიგო არ არის. გასათვალისწინებელია, რომ მარსაგიშვილისგან მეტს ველოდით ორივე შეჯიბრებაში, თუმცა იგი ერთადერთი აღმოჩნდა ნაკრებში, რომელმაც გუნდს ჩასათვლელი ქულა ვერ მისცა. მსოფლიოზე მასზე ოდნავ მეტი ხიდეშელმა შეძლო – 1 ქულა. მჯერა, მეტს მივაღწევდით, ჩემთვის რომ ნაკრების შედგენისას ხელი არ შეეშალათ!

**— წლის ბოლომდე რომელი შეჯიბრებები აქვს კალენდარში მონიშნული საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს და შეიცვლება თუ არა ამჟამინდელი შემადგენლობა?**

— ოქტომბერში უკრაინის ტურნირზე, ნოემბრის მიწურულს კი თურქეთში, სტამბოლის თასის გათამაშებაში გამოვალთ. ვინაიდან სეზონის ორი უმნიშვნელოვანესი ჩემპიონატი ჩავლილია, ამ ტურნირებზე უკვე აღარ იასპარეზებენ ისინი, ვინც ასაკის გამო გაისად ვეღარ გამოვა ახალგაზრდულ ჩემპიონატებში.

**— რომელ წონით კატეგორიებს ეხება ეს ცვლილებები?**

— 74 (ხუციშვილი), 96 (ხიდეშელი) და მძიმე (საკანდელიძე, ბერიანიძე). 74-ში ჯერჯერობით სერიოზული ვაკუუმი გვაქვს, 96–ში გუსოშვილს, მძიმეში კი გზირიშვილს გამოვცდით. ასაკით გუნდში რჩება, მაგრამ შესაძლებელია, წონა ვერ შეინარჩუნოს ლაშა ტალახაძემ და სულაც 60-მდე ავიდეს. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, ხინჩეგაშვილი 55 კილოში დარჩეს, მას სწორედ ამ წონის შესაფერისი აღნაგობა და ძვალკუნთოვანი სისტემა აქვს და თვალსაჩინო წარმატებებს აქ უფრო მიაღწევს. დანარჩენი კი ზამთარში გასამართავი საქართველოს ჩემპიონატის მერე გამოჩნდება.

**ვასილ ბალხაძე**

ჭადრაკი

# ჩიბურდანიძე მეორედ დამარცხდა

ულანბატორში გუშინ ფიდეს მოჭადრაკე ქალთა მე-6 ტურის ორთაბრძოლები გაიმართა. მოუთმენლად ველოდით მსოფლიო საჭადრაკო რეიტინგში მეორე ადგილზე მყოფ **ჰამფი კონერუს** (ინდოეთი) და **მაია ჩიბურდანიძის** შეხვედრას. პაექრობა დიდხანს გაგრძელდა და 108-ე სვლაზე ინდოელის გამარჯვებით დამთავრდა. ჩინელმა **ჟაო სიუმ** ბულგარელ **ანტუანეტა სტეფანოვას** აჯობა და კვლავ ერთპიროვნულად დაწინაურდა. დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: **სიუ იუჰუა** (ჩინეთი)-**ბათჰუიანგ მონგონთუული** (მონგოლეთი) 1:0, **მარი სებაგი** (საფრანგეთი)-**ჟუ ჩენი** (ყატარი) 0:1, **ბეთულ ილდიზი** (თურქეთი)-**ჰოუ იფანი** (ჩინეთი) 0:1, **შენ იანი** (ჩინეთი)-**ტატიანა კოსინცევა** (რუსეთი) 0,5:0,5.

ექვსი ტურის შემდეგ: **ჟაო სიუ — 5, კონერუ, ჰოუ იფანი — 4,5-4,5, სტეფანოვა — 4, კოსინცევა — 3,5, სიუ იუჰუა, ჩიბურდანიძე — 3-3, ჟუ ჩენი — 2,5, შენ იანი — 2, მონგონთუული, სებაგი — 1,5-1,5, ილდიზი — 1 ქულა.**

მე-7 ტურში ითამაშებენ: **ჰოუ იფანი-შენ იანი, ჟუ ჩენი-ილდიზი, ჩიბურდანიძე-სებაგი, მონგონთუული-კონერუ, სტეფანოვა-სიუ იუჰუა, კოსინცევა-ჟაო სიუ.**

**ვაჟა დანელია**

# ლიდერს ქულით ჩამორჩებიან




ოთხი ქართველი მოჭადრაკე მონაწილეობს საბერძნეთში კავალას მე-19 საერთაშორისო ტურნირში. გუშინ მათ მე-7 ტურის პარტიები ითამაშეს. წარმატებას მიაღწიეს **ლუკა პაიჭაძემ, დავით ჯოჯუამ** და **ლელა ჯავახიშვილმა**, რომლებმაც, შესაბამისად, **იური იაკოვიჩი** (რუსეთი), **პრასანა ვიშნუ** (ინდოეთი) და **მარინა მაკროპულუ** (საბერძნეთი) დაამარცხეს, **სალომე მელია** კი **იაროსლავ ზინჩენკოს** (უკრაინა) დაუზავდა.

ლიდერთა ჯგუფში უკრაინელმა **ადამ ტუხაევმა** შავი ფიგურებით სომეხ **ზავენ ანდრიასიანს** სძლია და ერთპიროვნულად მეწინავეობს. ყაიმზე შეთანხმდნენ: **ანდრეი რიჩაგოვი** (რუსეთი)-**თეჯას ბაკრე** (ინდოეთი), **ალექსანდრ გრაფი** (გერმანია)-**ჰრანტ მელქუმიანი** (სომხეთი); აზერბაიჯანელმა **ნიჯათ მამედოვმა** ამერიკელ **რობერტ ჰესს** აჯობა, **აბჰჯეთ გუფთამ** (ინდოეთი) **ევგენი ვორობიოვს** (რუსეთი) მოუგო.

შვიდი ტურის შემდეგ ტუხაევს 6 ქულა აქვს. ლიდერს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ბაკრე, რიჩაგოვი, გუფთა და მამედოვი. 5-5 ქულა ათმა მოჭადრაკემ მოაგროვა, მათ შორის - დავით ჯოჯუამ და ლუკა პაიჭაძემ, ხოლო სალომე მელიამ და ლელა ჯავახიშვილმა 4-4 ქულას მოუყარეს თავი. ქალებში 5-5 ქულით **ჰარიკა დრონავალი** (ინდოეთი) და **ელინა დანიელიანი** (სომხეთი) პირველ- მეორე ადგილებს ინაწილებენ.

**ვაჟა დანელია**

კარატე

# რუსებს კიდევ ერთხელ სძლიეს




საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის კარატეს ეროვნულმა ნაკრებმა ამჯერადაც ასახელა ქვეყანა. ამ დღეებში სტამბოლში გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონატი შოტოკან კარატე-დოში, სადაც 55 ქვეყნის საუკეთესო ეროვნული ნაკრები გუნდები ასპარეზობდნენ. 15-მა ქართველმა კარატისტმა საერთო ჯამში 10 მედალი მოუტანა საქართველოს!

პირველი ადგილები: **საბა ცაავა** (7-10 წლიანები, კატა), **გურამ ჯიჯილავა** (12 წლის, კუმიტე); მეორე ადგილი - **გიორგი ჯიქია** (16 წ, -65 კგ, კუმიტე); მესამე პრიზიორები: **ჰენრი ვეკუა** ( +186, -74 კგ, კუმიტე), **ბაჩუკი სულამანიძე** ( ვეტერანები), გუნდური( კუმიტე, დიდები)- **გიგა ნაცვლიშვილი, დავით ტყებუჩავა, ჰენრი ვეკუა, გიორგი ჯიქია, შოთა გორელაშვილი.**

*„ამ გრანდიოზულ სპორტულ ფორუმზე მეტი სპორტსმენის წაყვანა გვინდოდა, მაგრამ ამჯერად ეს ვერ მოხერხდა. თუმცა, ეროვნული ნაკრების ფავორიტები ვიახლეთ და გვასახელეს კიდეც. მასპინძლების გარდა, ჩვენებმა ისეთ ძლიერ გუნდებს გაუწიეს მედგარი წინააღმდეგობა, როგორებიც არიან ირანის, შვეიცარიის, საფრანგეთის, რუმინეთის და რუსეთის ნაკრებები. ეს ქვეყნები მსოფლიოში ნამდვილი ლიდერები არიან. სწორედ მათ ვძლიეთ გუნდური კუმიტეს ფინალში და მესამე ადგილი დავიკავეთ. ეს დიდი მიღწევაა და ვულოცავ ყველას მსოფლიო კარატეს გრანდებს შორის დამკვიდრებას. სიამაყით აღვნიშნავ, რომ ჩვენებიდან ყველაზე უკეთ ფოთელებმა იასპარეზეს, რაც ამ ქალაქის სპორტის სამსახურის უფროსის, ზური ტიბუას მუდმივი ხელშეწყობის შედეგია. დიდ მადლობას მას",* — განაცხადა თურქეთიდან დაბრუნების შემდეგ საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეზიდენტმა **კახა ზასილიამ**.

**ნუგზარ ჭიაბერაშვილი,**
*საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრესმდივანი* Ⓡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არბიტრები

# რას ერჩიან კობუს ვესელსს?



არასდროს დამავიწყდება 2006 წლის 9 ოქტომბერი. საქართველოს ნაკრები ბუქარესტში 2007 წლის მსოფლიო თასზე გამსვლელ მატჩში რუმინეთის ეროვნულ გუნდს ხვდებოდა. მატჩის არბიტრი 27 წლის ინგლისელი **უეინ ბარნსი** გახლდათ. ეს თამაში მისთვის პირველი იყო საერთაშორისო დონეზე.

ბუქარესტში გახლდით და, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბარნსმა ყველაფერი იღონა, ის თამაში რომ წაგვეგო. „ბორჯღალოსნებს" საშუალებას არ აძლევდა, მეტოქის ნახევარზე გადასულიყვნენ. რუმინელთა ოცდაორმეტრიან ზონაში პირველად 29-ე წუთზე შევაღწიეთ და მოლით ლელოც გავიტანეთ, რომელიც ბარნსმა, ცხადია, არ ჩათვალა, აქეთ მოგვედავა, **დავით ზირაქაშვილმა** მოლში მეტოქეს თავი ჩაარტყაო და დაგვაჯარიმა.

ერთი სიტყვით, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მას რუმინელთა მსოფლიო თასზე გაყვანა ზემოდან ჰქონდა დავალებული. მან დავალება ფრიადზე შეასრულა და ჯილდოდ 2007 წლის მსოფლიო თასზე მსაჯობა ერგო. ბარნსი იქაც ვერ ავიცილეთ - მსოფლიო თასზე „ბორჯღალოსნების" ირლანდიასთან ლეგენდარული მატჩიც სწორედ მან იმსაჯა.

ახლა, მოდი, ის ვთქვათ, რას ედავებიან სამხრეთაფრიკელ მსაჯებს. ჟუბერმა, სანამ ბარნსს მოედნიდან გააძევებდა, კაპიტნებს უხმო და გააფრთხილა, ბურთის შეყოვნებას ან ხელის ჩარტყმას აღარ მოვითმენო. კაპიტნებმა, ცხადია, თანაგუნდელებს გადასცეს მისი ნათქვამი. მიტჩელმა ეს არ გაითვალისწინა და დამსახურებულად დაისაჯა კიდეც.

გაუგებარია, რას ერჩიან ვესელსს?

აშკარაა, მსაჯობა მთელ მსოფლიოში პრობლემური ხდება. სამხრეთ აფრიკის თავკაცის **პიტერ დე ფილიერსის** ბრალდებებს ახლახან IRB-ის, შეიძლება ითქვას, ცოტა უცნაური გადაწყვეტილება მოჰყვა.

ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის მატჩის გვერდითი არბიტრი **კობუს ვესელსი** დროებით მსაჯობას ჩამოაცილეს. მან მატჩის მთავარ მსაჯ **კრეიგ ჟუბერს** „ვოლაბების" გარემარბის **დრიუ მიტჩელის** დასჯა მოსთხოვა, რადგან კობუმ ახალზელანდიელებს აუტის სწრაფად მოწოდებაში წესის დარღვევით შეუშალა ხელი. მიტჩელი ვესელსის ამ „პედანტობის" გამო მოედნიდან თამაშის ბოლომდე გააძევეს.

*„ცხადია, ჩვენ მას არ ჩამოვახრჩობთ* - დაგვაიმედა IRB-ს მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარე **პედი ობრაიანმა** - *მაგრამ ვესელსი ქრაისთჩერჩში გასამართავ შეხვედრაში ვერ იმსაჯებს"*. ყველაზე საინტერესო ამ ამბავში ისაა, რომ კრიტიკის ქარცეცხლი სამხრეთაფრიკელ მსაჯებს დაატყდათ, არადა, ისინი საკმაოდ კარგი რეპუტაციით სარგებლობენ მთელ მსოფლიოში.

არ გვინდა, ეს ფაქტი დე ფილიერსის ამბავს დავუკავშიროთ, რომლის საკითხსაც SANZAR-ის სადისციპლინო კომისია დღეს კეიპთაუნში განიხილავს. საინტერესოა, მაინცდამაინც ახლა რატომ აეწვათ კუჭი მსოფლიო რაგბის მამებს არაკომპეტენტური, შეიძლება ითქვას, მიკერძოებული მსაჯობის გამო?

მოვლენები საკმაოდ საეჭვოდაა გადახლართული. ჯერჯერობით IRB-ის ამ გადაწყვეტილებაზე კომენტარი არავის გაუკეთებია. სამხრეთაფრიკელები, სავარაუდოდ, SANZAR-ის გადაწყვეტილებას ელოდებიან.

სამწუხაროა, რომ საერთაშორისო რაგბის ხელმძღვანელი ორგანო არბიტრების ქმედებას ყურადღებას მხოლოდ ბობოლა სარაგბო ქვეყნების მატჩებისას აქცევს. არადა, პრობლემას უფრო ღრმა ფესვები აქვს.

მეტოქეები

# ვილკინსონი პომების შეკრებაზე არ გაუშვეს

2011 წლის მსოფლიო თასის ჯგუფურ ტურნირში საქართველოს ნაკრების მეტოქე ინგლისის ეროვნული გუნდი 9-12 აგვისტოს საწვრთნელ შეკრებას გამართავს. თუმცა „პომების" თავკაცი **მარტინ ჯონსონი** რამდენიმე წამყვან მორაგბეს მოისაკლისებს.

**დავით ქუბრიაშვილის** „ტულონმა" ინგლისელთა საწვრთნელ ბანაკში არ მიავლინა მგეზავი **ჯონი ვილკინსონი.** ფრანგული კლუბის მტკიცებით, 9-12 აგვისტო lღB-ის კალენდარში ოფიციალური სათამაშო დღეები არ არის და ამიტომ მათ სრული უფლება აქვთ, მოთამაშესთან გაფორმებულ კონტრაქტზე დაყრდნობით ნაკრებში არ გაუშვან.

ინგლისელები ვითარების გამწვავებას მოერიდნენ, რადგან „ვილკომ" ბოლო საწვრთნელ მატჩში მხარი დაიშავა და მკურნალობს. ასე რომ, მას საფრანგეთის ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩისთვის მშვიდად მომზადების საშუალება მისცეს.

ტრავმირებულები არიან და თავიანთ კლუბებში ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან **ლუი დიკონი, ჯეფ პერლინგი** (ორივე-ლესტერ ტაიგერზი), **მეთ მულანი** (ვორსტერი) და **დილან ჰართლი** (ნორსჰემპთონი).

ფრანგულ „სტად ფრანსეში" მოასპარეზე **ტომ პელმერი** და **ჯეიმზ ჰესკელი** კი გუნდს შეკრების ბოლო დღეს შეუერთდებიან და უმალვე უკან, კლუბში დაბრუნდებიან.

*„მიგვაჩნია, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ, როცა მორაგბეებს თავიანთ კლუბებში მზადების გაგრძელების უფლება მივეცით. მათ თამაშს, ფიზიკურ მზადყოფნას მუდმივად თვალს ვადევნებთ და ოქტომბრის ბოლოს, ნოემბრის ტესტების დაწყებამდე კიდევ ერთ საწვრთნელ შეკრებაზე შევხვდებით"* - თქვა მარტინ ჯონსონმა.

შეგახსენებთ, რომ ნოემბერში ინგლისის ნაკრები ოთხ ტესტმატჩს გამართავს ახალი ზელანდიის, ავსტრალიის, სამოასა და სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდებთან.


ჯონი ვილკინსონი

ლეგიონერები


ბურთით მამუკა გორგოძე

# მონპელიეს პირველი მარცხი ვაკერენზე

ქართველ მორაგბეთა ფრანგული კლუბები ახალი სეზონისთვის მზადებას განაგრძობენ. არმან ვაკერენის სახელობის ტრადიციულ ტურნირში **მამუკა გორგოძის, გიორგი ჩხაიძის, გიორგი ჟღენტის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „მონპელიე" **ანტონ ფეიქრიშვილისა** და **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრის" ეთამაშა და 6:23 წააგო.

გორგოძემ რვა ნომრის პოზიციაზე სრულად ითამაშა, შველიძე 50-ე წუთზე შეცვალეს, ჟღენტი მოედანზე 52-ე წუთიდან გამოჩნდა, ჩხაიძეს, ნარიაშვილს, ფეიქრიშვილსა და გიორგაძეს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ.

ბოლო საწვრთნელ შეხვედრას „მონპელიე" 7 აგვისტოს „ორიაკთან" გამართავს, ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში კი, 13 აგვისტოს ბასკურ „ბიარიცს" სტუმრობს. „კასტრი" 14 აგვისტოს ასევე სტუმრად ითამაშებს ელიტური, პირველი დივიზიონის დებიუტანტ „ლა როშელთან".

სამი ერი

# ტყუპები ვოლაბების ძირითადში

ავსტრალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **რობი დინსმა** სამი ერის მორიგი მატჩისთვის ახალი ზელანდიის ნაკრებთან ძირითად შემადგენლობაში სამი ცვლილება განახორციელა. მან **ქართლი ბეილი,** ძმები **ენტონი** და **საია ფაინგაები** სათადარიგოთა სკამიდან სასტარტო შემადგენლობაში გადაიყვანა.

ქართლი ბეილი ფულბეკის პოზიციას დაიკავებს, რომელზეც წინა შეხვედრაში **ადამ ეშლი-კუპერმა** ითამაშა, ის ამჯერად ტრავმირებული შუამარბის **რობ ჰორნის** პოზიციაზე გადაბარგდება. ენტონი ფაინგაა კიდევ ერთ შუამარბ **ბერიკ ბარნსს** ჩაანაცვლებს, მისი ძმა საია კი შერკინების კვაჭ **სტივენ მურს** შეცვლის.

ეშლი-კუპერს, რომელიც ხვალ 43-ე კეპს მოიხვეჭს, შუამარბად ეროვნულ ნაკრებში ოთხჯერ უთამაშია, აქედან სამჯერ სამი ერის გათამაშებაში.

ძნელი სათქმელია, რატომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება „ვოლაბების" თავკაცმა, თუმცა ერთი რამ ცხადია: თუ მის კომენტარებს გავითვალისწინებთ, რომელიც დინსმა მელბურნში „ოლ ბლექსთან" მარცხის შემდეგ გააკეთა, ქრაისთჩერჩში გამარჯვების იმედი არ უნდა ჰქონდეს. ყოველივეს კი იმით ხსნის, რომ გუნდს მომავალი მსოფლიო თასისთვის ამზადებს, სადაც „ახალგაზრდული ვოლაბიზი" პიკზე იქნება.

**ავსტრალია: 15. ქართლი ბეილი, 14. ჯეიმზ ოკონორი, 13. ადამ ეშლი-კუპერი, 12. ენტონი ფაინგაა, 11. დრიუ მიტჩელი, 10. მეთ გიტო, 9. ვილი გენია. 1. ბენ რობინსონი, 2. საია ფაინგაა, 3. სალესი მააფუ, 4. დენ მამი, 5. ნათან შარფი, 6. როკი ელოსმი, 7. დავიდ პოკოქი, 8. რიჩარდ ბრაუნი.**

*16. სტივენ მური, 17. ჯეიმს სლიპერი, 18. რობ საიმონსი, 19. მეთ ჰოჯსონი, 20. ლუკ ბარჯესი, 21. ბერიკ ბარნსი, 22. კემერონ შეპარდი.*

მსოფლიო თასი

# ურუგვაიმ მზადება დაიწყო

საქართველოს ნაკრების სავარაუდო მეტოქემ, 2011 წლის მსოფლიო თასზე ურუგვაის ეროვნულმა გუნდმა რეპეშაჟის ბოლო ეტაპისთვის მზადება სამი თვით ადრე დაიწყო. ურუგვაის ნაკრების მწვრთნელებმა მონტევიდეოში, საწვრთნელ შეკრებაზე 31 მორაგბეს უხმეს. აქედან 2009 წლის IRB-ის ერთა თასის გათამაშებაში მხოლოდ ექვსმა ითამაშა.

ურუგვაელთა ბანაკი დიდ იმედებს ამყარებს მძიმე ტრავმის შემდეგ დაბრუნებულ **მატიას აროსენაზე.** „ლოს ტეროს" საწვრთნელ შეკრებაზე ძირითად ყურადღებას ფიზიკურ მომზადებას დაუთმობს, რადგან კარგადაა ცნობილი, რომ მეტოქის, რუმინეთის ნაკრების უპირატესობა სწორედ მძიმე, საკმაოდ მობილური შერკინებაა.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო თასზე ბოლო, მეოცე გუნდის ვინაობა რეპეშაჟში გაირკვევა. ურუგვაი 13 ნოემბერს მონტევიდეოში რუმინეთის ნაკრებს უმასპინძლებს, საპასუხო შეხვედრა კი 27 ნოემბერს ბუქარესტში გაიმართება. ამ წყვილში გამარჯვებული ახალ ზელანდიაში საქართველოს ნაკრების მეტოქე იქნება.

ურუგვაის ნაკრები: კარლოს არბოლეა, ედგარ ბენიტესი, იგნასიო გრინოლა, დიეგო ლუსიჩი, ნიკოლას მორალესი, ხუან პედრო რომბისი (ყველა - ტრებოლი), მატიას აროსენა, სანტიაგო აროსენა, სანტიაგო დიასი, მარტინ ესპიგა, ალეხანდრო არლი, ხუან პაბლო ორტა , ლეანდრო ლივასი, ხუან მარტინ ლოვეტი, მანუელ მარტინესი, მარტინ სკიარა (ყველა-ოლდ კრისტიანსი), გასტონ მიერსი (ლობოსი), ნიკოლას მარტინესი, ივო დუგონიჩი, მატიას ბრაუნი (სამივე-პსყ), ნიკოლას ბადანო, მარტინ სროსა, სანტიაგო გორტარი (სამივე-ოლდ ბოისი), ემილიანო კაფერა, ხუან ფრიტასი (ორივე-კამპანა), მატიას ფონსეკა, ალფრედო გურია, ადრიან ლუისი, ხუან პაბლო რუფალინი (ყველა-ლოს კუეროსი), დიეგო მანო (მვსს), ალეხო კორალო (სან ისიდორო).

**2011 წლის მსოფლიო თასი**

A ჯგუფი: **ახლი ზელანდია, ტონგა, საფრანგეთი, კანადა, იაპონია**

B ჯგუფი: **საქართველო, არგენტინა, ინგლისი, შოტლანდია, რეპეშაჟი**

C ჯგუფი: **ავსტრალია, ირლანდია, იტალია, რუსეთი, აშშ**

D ჯგუფი: **სამხრეთ აფრიკა, ფიჯი, უელსი, სამოა, ნამიბია**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი



შაკი კმაყოფილია

# ოფიციალურად: შაკი ბოსტონშია!

ოფიციალურად დადასტურდა, რომ NBA-ის ოთხგზის ჩემპიონი, 38 წლის ცენტრი **შაკილ ო'ნილი** „ბოსტონ სელტიქსში" გააგრძელებს კარიერას. მხარეებმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმეს, რომლის მიხედვითაც ლეგენდარული კალათბურთელის წლიური ხელფასი დაახლოებით 1.5 მილიონი დოლარი იქნება.

შაკმა ბოლო სამ წელიწადში მესამე კლუბი გამოიცვალა. „ორლანდოში" (1992-96), „ლეიკერსსა" (1996-2004) და „მაიამიში" (2004-08) გამოსვლის შემდეგ, ო'ნილმა თითო სეზონი ითამაშა „ფინიქსსა" და „კლივლენდში", ახლა კი, როგორც ჩანს, კარიერის დასრულებას „ბოსტონში" აპირებს.

შაკილი ამ ზაფხულს თავისუფალი აგენტი გახდა და კარიერის გაგრძელების ერთ-ერთ ვარიანტად ევროპაში გამგზავრება ჰქონდა, ოღონდ ხელფასის სახით 10 მილიონს ითხოვდა. „ბებერი კონტინენტიდან" ამერიკელ გიგანტს არავინ გამოხმაურებია. შაკმა არც „კლივლენდთან" ხელშეკრულების გაგრძელება მოისურვა, რადგან **ლებრონ ჯეიმსის** წასვლის შემდეგ, ეს კლუბი ჩემპიონობის მაძიებელთა რიცხვში აღარ შედის, ო'ნილის მთავარი მოტივაცია კი კარიერის დასასრულს კიდევ საჩემპიონო ბეჭდის მოგებაა. ამისთვის ის ვეტერანის მინიმალურ ხელფასზეც კი თანახმა იყო. საბოლოოდ, შაკილს გაუმართლა. „ბოსტონი" ტრავმირებული ცენტრის - **კენდრიკ პერკინსის** შემცვლელს ეძებდა და შაკზე უკეთეს ვარიანტს, ალბათ, ვერც იპოვიდა.

საინტერესოა, რომ შაკილი არ გახლავთ ერთადერთი ო'ნილი, რომელიც ამ ზაფხულს „სელტიქსში" ჩაირიცხა. გუნდის ახალწვეული გახდა მისი მოგვარე - მძიმე ფორვარდი **ჯერმეინ ო'ნილი.**

გუშინდელი გარიგების შემდეგ, „ბოსტონის" „დიდ სამეულს" შაკი შეუერთდა და ახლა ამ გუნდს შეიძლება „დიდი ოთხეული" დავუძახოთ. ცნობილმა „დიდმა ტრიომ" (**პოლ პირსი, კევინ გარნეტი, რეი ალენი**) „ბოსტონს" 2008 წელს ჩემპიონის ტიტული მოუტანა.

*„ჩემთვის დიდი პატივია „სელტიქსში" თამაში,* - წერია კალათბურთელის ოფიციალურ განცხადებაში. - *მრავალი წლის განმავლობაში ვთამაშობდი პირსის, გარნეტის, ალენის, რონდოსა და ჯერმეინის წინააღმდეგ და კარგია, რომ ახლა ისინი ჩემი პარტნიორები იქნებიან. ერთი სული მაქვს, როდის შევუდგები ახალ კლუბთან ერთად მორიგი ტიტულისთვის ბრძოლას".*

ამ გარიგებით ცნობილი გახდა მომავალი რამდენიმე წლის განმავლობაში „ბოსტონის" პოლიტიკა. კლუბის მენეჯმენტს ორი გზა ჰქონდა: შეენარჩუნებინა ამჟამინდელი შემადგენლობა ან ახალი, უფრო ახალგაზრდა გუნდის მშენებლობა დაეწყო. იმის გათვალისწინებით, რომ პირსმა ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, ალენმა - ორწლიანი, გარნეტს კი კიდევ ორი წელი დარჩა ამ გუნდში. კლუბის გენერალური მენეჯერი **დენი ეინჯი** ძველი მოთამაშეების დახმარებით შეეცდება ორი წლის წინანდელი ტრიუმფის გამეორებას. ვნახოთ, რამდენად დაეხმარებიან ამ ოცნების ასრულებაში „სელტიქსს" შაკილ და ჯერმეინ ო'ნილები.

ამბები

## დიდი ბენი დეტროიტში დარჩა

„დეტროიტ პისტონზმა" ორი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი ვეტერან ცენტრ **ბენ უოლასთან.** ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო დამცველის წლიური ხელფასი 1.9 მილიონი დოლარი იქნება.

„დიდი ბენი" ერთხელ იყო NBA-ის ჩემპიონი - 2004 წელს ტიტული სწორედ „დეტროიტის" შემადგენლობაში მოიპოვა. გასულ სეზონში 35 წლის უოლასი საშუალოდ 5.5 ქულასა და 8.7 მოხსნას აგროვებდა.

## ამერიკამ ლოპესი დაკარგა

ერთი ცვლილება მოხდა ამერიკის ნაკრების შემადგენლობაში, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება. „ნიუ ჯერსი ნეტსის" ცენტრმა **ბრუკ ლოპესმა** მცირე ტრავმა მიიღო და პლანეტის პირველობაზე თამაშისგან თავი შეიკავა. ამის გამო, გუნდის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა შეკრებაზე დაებრუნებინა „ვაშინგტონ უიზარდსის" ცენტრი **ჯავალ მაკგი.**

*„რა თქმა უნდა, იმედგაცრუებული ვართ ამ ამბის გამო, რადგან ლოპესი ნაკრების ძირითადი ცენტრი უნდა გამხდარიყო"*, - განაცხადა „დრიმ თიმის" მთავარმა მწვრთნელმა **მაიკ კრჟიჟევსკიმ.**

**ამარე სტაუდმაიერის** („ნიუ იორკი"), **კენდრიკ პერკინსის** („ბოსტონი"), **დევიდ ლისა** („გოლდენ სტეიტი") და ბრუკ ლოპესის დაკარგვის შემდეგ, ამერიკის ნაკრებში მხოლოდ ორი ცენტრი დარჩა - მაკგი და **ტაისონ ჩენდლერი** („დალასი").

## პედი ევროპაში მიდის?

ამერიკელი მცველი **ლუთერ ჰედი** (191 სმ), რომელმაც ვერ შეძლო „ნიუ ორლეანთან" კონტრაქტის გაფორმება, შესაძლოა, ევროპაში გადავიდეს კარიერის გასაგრძელებლად. მის მიმართ დაინტერესებას გამოთქვამს ბერძნული გრანდი „ოლიმპიაკოსი". გასულ სეზონში ჰედი „ინდიანა პეისერსის" შემადგენლობაში თამაშობდა და საშუალოდ 7.6 ქულასა და 1.5 მოხსნას აგროვებდა.

გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ „ოლიმპიაკოსმა" ოფიციალურად გააფორმა კონტრაქტი სლოვენიელ **რაშო ნესტეროვიჩთან,** რომელმაც დაასრულა ამერიკული კარიერა და ევროპაში დაბრუნდა. ხელშეკრულების დეტალები ჟურნალისტებისთვის უცნობი დარჩა.

კალათბურთი

# უპერსპექტივო

წინა ორ მასალაში ვარსკვლავური თავისუფალი აგენტების - **შაკილ ო'ნილისა და ტრეისი მაკგრეიდის** ბუნდოვან მომავალზე ვისაუბრეთ, თუმცა სატრანსფერო ბაზარზე კიდევ ერთ სახელგანთქმულ მოთამაშეს - **ალენ აივერსონს** ვხედავთ. ეჭვგარეშეა, რომ ის NBA-ის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელია - 11-ჯერ ითამაშა „ყველა ვარსკვლავის მატჩში", ოთხჯერ გახდა რეგულარულის საუკეთესო სნაიპერი, 2000-01 წლების სეზონში საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს და მოქმედ კალათბურთელებს შორის მესამე ადგილზეა შედეგიანობის მიხედვით. თითქოს ეს ჩამონათვალი იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ ალენს ჯერ არ უთქვამს საბოლოო სიტყვა უძლიერეს ლიგაში. მაგრამ ESPN.com-ს ოთხი ძირითადი მიზეზის მოყვანა შეუძლია იმის დსამტკიცებლად, თუ რატომ არ აიყვანს საჩემპიონოდ გამზადებული „მაიამი ჰიტი" აივერსონს. არადა, გულშემატკივრები ჭირვეულ ვარსკვლავს აქტიურად „ეპატიჟებოდნენ" ფლორიდულ კლუბში.

**პირველი მიზეზი - კანონთან პრობლემები.** საკალათბურთო მოედნის მიღმა აივერსონის ცხოვრება სავსე იყო ათასგვარი სკანდალით. პირველად ალენი შორეულ 1993 წელს დააპატიმრეს, ჯერ კიდევ მაშინ, სანამ NBA-ის დრაფტში აირჩევდნენ. კალათბურთელმა მასობრივ ჩხუბში მიიღო მონაწილეობა. კონფლიქტი რასისტულ ნიადაგზე მოხდა. აივერსონი და მისი ორი მეგობარი ჯგუფურ თავდასხმასა და ახალგაზრდა ადამიანებისთვის ტრავმების მიყენებაში დაადანაშაულეს. მომავალი ვარსკვლავი ყველაფერს უარყოფდა, მაგრამ გაჩნდნენ მოწმეები, რომლებმაც ალენში ჩხუბის ორგანიზატორი ამოიცნეს. აივერსონი დამნაშავედ სცნეს და ხუთწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ ნახევარი წლის შემდეგ შეიწყალეს, 1995 წელს კი საქმე საერთოდ დახურეს და აივერსონს ნასამართლეობა მოუხსნეს.

მეორედ ჩვენი გმირი 1997 წელს დააპატიმრეს - მანქანის გადაჭარბებული სიჩქარით მართვის გამო გაჩერებულ კალათბურთელს ცეცხლსასროლი იარაღი და მარიხუანა აღმოუჩინეს. ამ შემთხვევაში სასჯელი საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობა იყო.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ალენს ფაქტობრივად ყველგან ჰქონდა კანონთან პრობლემები - კაზინოდან დაწყებული ღამის კლუბებით დამთავრებული. აივერსონის მეგობრები ასე ამბობდნენ კალათბურთელზე: *„ის ან უგონოდ თვრება ან უმიზეზოდ რისკავს სიცოცხლეს".*

ძალიან საეჭვოა, რომ ასეთ ადამიანთან დაიჭიროს საქმე **პატ რაილიმ**, რომელმაც საათივითააწყო შემადგენლობა და ჩემპიონობისთვის ემზადება.

**მეორე მიზეზი - აივერსონი რეზერვისტი არ არის.** ბოლო სამი სეზონია აივერსონმა სამი გუნდი გამოიცვალა და სამივეჯერ დაითხოვეს შემადგენლობიდან. როცა „დეტროიტში" თამაში არ წაუვიდა, მწვრთნელმა **მაიკლ კარიმ** სასტარტო ხუთეულს მოაშორა და ახალგაზრდა მცველ **როდნი სტაკის** მისცა შანსი. ამაზე ალენმა საჯაროდ გამოაცხადა, რომ ურჩევნია კარიერა დაასრულოს, ვიდრე სათადარიგოთა სკამზე დაჯდეს. საბოლოოდ, „პისტონზის" ხელმძღვანელობამ აივერსონი სეზონის დარჩენილ მატჩებსა და პლეი ოფს ჩამოაშორა, თუმცა ოფიციალურ ინფორმაციაში კალათბურთელის ტრავმაზე იყო ლაპარაკი.

2009-10 წლების სეზონში კარიერის გაგრძელება „მემფისში" სცადა და ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. და კვლავ იგივე პრობლემა წარმოიშვა - სამი თამაშის სათადარიგოთა სკამზე გატარების შემდეგ, აივერსონმა გუნდი პირადი მიზეზებით დატოვა, ერთი კვირის შემდეგ კი კონტრაქტი გაწყვიტა. ამ შავბნელი ისტორიის შემდეგ მისი პიროვნებით „ნიუ ჯერსი" დაინტერესდა, მაგრამ სერიოზულ მოლაპარაკებამდე საქმე არ მისულა. უკლუბოდ დარჩენილმა აივერსონმაც კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა.

აივერსონის გადარჩენა მისმა მშობლიურმა „ფილადელფიამ" ითავა. „სიქსერზის" მენეჯმენტმა 2009 წლის დეკემბერში ალენს სიტუაციის გამოსწორების შანსი მისცა. ყოფილი კლუბის მაისურით სადებიუტო შეხვედრა მეტად ემოციური გამოვიდა - აივერსონი პარკეტს კოცნიდა, დარბაზში კი სრული ანშლაგი იყო. ალენმა სცადა ძველი შემართებით თამაში, მაგრამ 2010 წლის თებერვალში „სიქსერზიდანაც" გაიქცა - ამჯერად ოჯახური პრობლემების გამო. კალათბურთელის თქმით, მას უნდოდა მეტი დრო გაეტარებინა ოთხი წლის ქალიშვილის გვერდით, რომელიც ავად გახდა. ოდნავ მოგვიანებით, „ფილადელფიას" წარმომადგენლებმა გამოაცხადეს, რომ 2009-10 წლების სეზონში აივერსონი მოედანზე აღარ დაბრუნდებოდა.

„მაიამიში" აივერსონს არავინ გააკარებდა სასტარტო ხუთეულს. თანაც, როცა გუნდში **ბოში, უეიდი** და **ჯეიმსი** არიან, 35 წლის ეგოისტი და კაპრიზული მცველისთვის ზედმეტი წუთის გამონახვა შეუძლებელი იქნებოდა.

**მესამე მიზეზი - აივერსონი არ არის გუნდური მოთამაშე.** ვეტერანი დღემდე ვერ ურიგდება იმ ფაქტს, რომ ხალხი სუპერმოთამაშედ აღარ აღიქვამს. „ფილადელფიაში" დაბრუნებამდე აივერსონმა განაცხადა: *„მე კიდევ შემიძლია უმაღლეს დონეზე თამაში"*, მაგრამ რეალური სურათი სხვანაირია - ალენ აივერსონი ვერ იჯერებს, რომ აღარ მიიჩნევენ საუკეთესოდ. ის უბრალოდ ვეტერანია, დამსახურებული, მაგრამ მაინც ვეტერანი. ხოლო, როცა კალათბურთელი ამას ვერ ხვდება, ეს ნებისმიერ კლუბში წარმოქმნის კონფლიქტს, მით უმეტეს „მაიამიში", სადაც სამი სუპერვარსკვლავი გაერთიანდა. ამ სამმა კალათბურთელმა გუნდური წარმატებისთვის ფაქტობრივად მსხვერპლად შესწირა ვარსკვლავური სტატუსი და ხელფასის მცირე ნაწილი. აივერსონი ასე არასოდეს მოიქცევა - ეს მისთვის მიუღებელია. მისი წარსული ამას ადასტურებს.

**მეოთხე მიზეზი - აივერსონი ვერ იტანს ვარჯიშებს.** ერთ-ერთ ინტერვიუში აივერსონმა ორი წუთის განმავლობაში, ოც სხვადასხვა ვარიაციაში გამოთქვა თავისი „მოკრძალებული" აზრი (რა თქმა უნდა, ნეგატიურ ფორმაში) ვარჯიშების შესახებ. ალენის პოზიცია სრულიად საპირისპიროა **პატ რაილის** ცნობილ ფრაზასთან: *„ნამდვილი ჩემპიონი ყოველთვის მოტივირებული უნდა იყოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ყველას ამარცხებს".* ამიტომაც ალენს კარიერაში პირველი ჩემპიონობის შანსი კიდევ უფრო დაბალი აქვს, ვიდრე ეს 14 წლის წინ იყო. „ჰიტში" ის ვერ გადავა და დანარჩენი კლუბებიც ბევრს იფიქრებენ იქამდე, სანამ მასთან ერთწლიან მინიმალურ კონტრაქტს გააფორმებენ.



ალენ აივერსონი

# კარმელო დენვერში არ დარჩება

როგორც ამერიკელი მიმომხილველები ვარაუდობენ, „დენვერ ნაგეტსის" ვარსკვლავი **კარმელო ენტონი** მომავალი სეზონიდან კლუბს შეიცვლის. დაუდასტურებელი ინფორმაციის თანახმად, 2008 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა უარი თქვა კლუბის მიერ შეთავაზებულ ახალ სამწლიან კონტრაქტზე, რომლის მიხედვითაც ის 65 მილიონ დოლარს გამოიმუშავებდა.

თუ ენტონი ამ კონტრაქტზე ხელს არ მოაწერს, მაშინ მომავალ ზაფხულს ის თავისუფალი აგენტი გახდება. მოვლენათა ამგვარი განვითარება „ნიუ იორკ ნიქსს" აწყობს, რომელიც არ მალავს, რომ ძალიან უნდა დენვერელის გადაბირება. მით უმეტეს, რომ ამ გუნდის ახალმა ლიდერმა **ამარე სტაუდმაიერმა** არაერთხელ განაცხადა - კარმელოს მხარდამხარ თამაშის დიდი სურვილი მაქვსო.

მაგრამ კალათბურთელისთვის ერთი საფრთხე არსებობს. მომავალ წელს NBA-ს ლოკაუტი ემუქრება და თუ ლიგასა და მოთამაშეთა პროფკავშირს შორის ახალი კოლექტიური ხელშეკრულება არ გაფორმდება, მაშინ ენტონი გუნდისა და ხელფასის გარეშე დარჩება.

შეგახსენებთ, ცოტა ხნის წინ „დენვერის" მეორე ლიდერი **ჩონსი ბილაპსი** ამტკიცებდა, რომ კარმელო მზად იყო „ნაგეტსთან" ახალი კონტრაქტის გასაფორმებლად.

გასულ სეზონში ენტონი რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი იყო - საშუალოდ 28.2 ქულას აგროვებდა, რასაც 6.6 მოხსნაც დაუმატა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



კარმელო ენტონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# ყველანი შუმახერის წინააღმდეგ


ბარიკელო სიკვდილს გადაურჩა

უნგრეთის გრან-პრიზე **მიხაელ შუმახერსა** და **რუბენს ბარიკელოს** შორის მომხდარმა ინციდენტმა დიდი რეზონანსი გამოიწვია და ჩვენც კიდევ ერთხელ ვუბრუნდებით ამ თემას. ამჯერად, ლეგენდარული გერმანელის საქციელზე კომენტარი ფორმულა 1-ის ყოფილმა პილოტებმა გააკეთეს. მათ ერთხმად დაგმეს შუმახერის რისკიანი მანევრი, რომელმაც კინაღამ შეიწირა ვეტერანი ბრაზილიელი პილოტი.

ყოფილ ჩემპიონებს არც გერმანელის მიერ რბოლის მეორე დღეს წარმოთქმული ბოდიშის სიტყვებისა სჯერათ - მათი აზრით, მიხაელის ნათქვამში არანაირი გულწრფელობა არ იგრძნობა და ეს განცხადება „მერსედესის" ხელმძღვანელობის დაჟინებული მოთხოვნით არის დაწერილი.

*„შუმახერი ვერასოდეს ამჩნევდა ზღვარს უხეშ პილოტაჟსა და ადეკვატურ მოქმედებებს შორის. და როგორც გაირკვა, სამწლიანი შესვენების შემდეგაც არ შეცვლილა"*, - განაცხადა „ბენეტონში" გერმანელის ყოფილმა თანაგუნდელმა **მარტინ ბრანდლმა.**

*„ასეთი მოქმედებით სხვა ადამიანის სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნა - ჩემს აზროვნების უნარს სცდება,* - ამბობს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი **ნიკი ლაუდა**. - *სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდები, რატომ იქცევა ასე".*

*„ეს იყო პილოტის დალუპვის ერთ-ერთი ყველაზე რეალური საფრთხე, რაც კი ოდესმე მინახავს,* - მიიჩნევს ასევე სამგზის ჩემპიონი **ჯეკი სტიუარტი**. - *ეს არის საშინელი მაგალითი იმ ადამიანის მხრიდან, რომელსაც შვიდი საჩემპიონო ტიტული აქვს მოგებული! შოკისმომგვრელია იმის გაცნობიერება, რომ ერთმა პილოტმა შეიძლება შეგნებულად ჩაატაროს ასეთი მანევრი იმ დროს, როცა მშვენივრად იცის - მცირე კონტაქტის პირობებში მის მოწინააღმდეგეს კედელზე შეტაკების გარდა სხვა შანსი არ ექნება".*

*„ეს იდიოტური მანევრი ძალიან სახიფათო იყო,* - აღშფოთებას ვერ მალავს შუმახერის კიდევ ერთი ყოფილი თანაგუნდელი **ედი ირვაინი**. - *ის ქედმაღალი და თავხედი ადამიანია. დარწმუნებული ვარ, ფიქრობდა, რომ თავისუფლად შეახეთქებდა მეტოქეს ბეტონის კედელს და ამის გამო არც დაისჯებოდა. შუმახერი ადრეც გამოირჩეოდა ასეთი საქციელით, არაფრად აგდებდა თავის პარტნიორებს, მაგრამ წყლიდან ყოველთვის მშრალი ამოდიოდა, რადგან „სწორედ ის შუმახერი" იყო. მაგრამ დრო გავიდა და დღევანდელი მიხაელ შუმახერი „ის" აღარ არის. ამიტომაც დაუსჯელი არ დარჩენილა, თუმცა ისიც შემიძლია დავამატო, რომ რბოლის სტიუარდებმა მეტად რბილი სასჯელი გამოუტანეს".*

*„შუმახერმა ყველანაირ ზღვარს გადააჭარბა,* - ამბობს ფორმულა 1-ის ექსპილოტი **ჯონ უოტსონი**. - *მას შესანიშნავად ესმოდა, რასაც აკეთებდა. ამაყია და არ უნდა ვინმემ გაასწროს, მაგრამ ამის გამო საშიშ ცხოველად ხომ არ უნდა გადაიქცეს?!"*

*„ის მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონია,* - განაცხადა **ალექს ვიურცმა**. - *კარგად ჰქონდა გაცნობიერებული საკუთარი საქციელი და სრულიად შეგნებულად ჩაატარა ეს მანევრი. ავარია ბარიკელოსთვის, შესაძლოა, უმძიმესი შედეგით დასრულებულიყო. ამას გამართლება არა აქვს".*

# ბრიატორე: უებერი ჩემპიონი გახდება!


ფლავიო ბრიატორე და მარკ უებერი

„რენოს" ყოფილი შეფი **ფლავიო ბრიატორე** დარწმუნებულია, რომ წელს ჩემპიონის ტიტულს „რედ ბულის" პილოტი **მარკ უებერი** მოიპოვებს, რომელმაც გასულ კვირას უნგრეთის გრან-პრი მოიგო.

ცნობილი იტალიელი დღესაც ავსტრალიელი პილოტის მენეჯერის მოვალეობებს ასრულებს და თავისი შეგირდის შესაძლებლობებში დარწმუნებულია. ფლავიო მარკს თანაგუნდელ **სებასტიან ფეტელზე** მაღლა აყენებს და მას უპირატესობას ანიჭებს „ფერარისა" და „მაკლარენის" პილოტებთან ბრძოლაში.

*„უებერი ყოველდღიურად უახლოვდება ჩემპიონატში გამარჯვებას. გასულ კვირას „ჰუნგარორინგზე" მისი გამოსვლა ფენომენური იყო,* - განაცხადა ბრიატორემ „გაძეტა დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში. - *ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ მე მისი მენეჯერი ვარ, უბრალოდ, რეალურ ფაქტზე ვლაპარაკობ: წელს ყველა დარწმუნდა ავსტრალიელის მაღალ პროფესიონალიზმში.*

*მარკი - ბრწყინვალე და სტაბილური პილოტია. ახლა ის ოპტიმალურ ასაკში იმყოფება, ოსტატობის მწვერვალს მიაღწია და თან სულიერი სიმშვიდეც მოიპოვა. ეს თვისებები მას წარმატების მიღწევაში ეხმარება. უნგრეთში ის პირველი მიხვდა, რომ რისკზე წასვლა შეიძლებოდა და დისტანციის სამი მეოთხედი იმ საბურავებით გაიარა, რომლითაც სტარტი აიღო.*

*ეს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება იყო, რომელმაც უებერს პირველი ადგილი მოუტანა. რაც მთავარია, მან დაგვანახვა, რომ რბოლის დროზე სხვებზე მეტს ფიქრობს".*

უებერს ამჟამად ყველაზე მეტი - ოთხი რბოლა აქვს სეზონში მოგებული და ლიდერობს საერთო ჩათვლას.

მძლეოსნობა

# დიდი სამეული არ შედგება


პაუელი სტოკჰოლმში არ ჩავა

პარასკევს, „ბრილიანტის ლიგის" მორიგ ეტაპზე არ გაიმართება თანამედროვეობის სამი უძლიერესი სპრინტერის დუელი. შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში ჩასვლაზე უარი განაცხადა იამაიკელმა **ასაფა პაუელმა.**

*„დღეს, დილის ვარჯიშის დროს ასაფამ ძლიერი ტკივილის გამო სირბილი ვერ შეძლო"*, - ამბობს მისი ერთ-ერთი მწვრთნელი.

*„ძალიან კარგ ფორმაში ვიყავი და სტოკჰოლმის ეტაპის მოგების იმედი მქონდა, მაგრამ დღევანდელ სიტუაციაში ფინიშამდე მიღწევასაც ვერ შევძლებ"*, - ამბობს პაუელი.

როგორც ირკვევა, ასაფას მუხლის ტრავმა აწუხებს და ექიმებმა ვარჯიშებისგან 10-დღიანი დასვენება ურჩიეს.

„ბრილიანტის ლიგის" სტოკჰოლმის ეტაპი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა მძლეოსნობის მოყვარულებს შორის, რადგან წელს პირველად სწორედ აქ უნდა შესჯიბრებოდნენ ერთმანეთს მსოფლიოს საუკეთესო სპრინტერები, ახლა კი მხოლოდ **უსაინ ბოლტისა** და **ტაისონ გაის** დუელს ვიხილავთ. თუმცა კიდევ არსებობს იმის შანსი, რომ ამ დუეტს პაუელიც შეუერთდეს - „დიდი სამეულის" შეხვედრა პარიზშიც არის დაგეგმილი.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| სოსიედადი-აელ | 3:2 |
| პალერმო-აინტრახტი | 1:2 |
| პარმა-რასინგი | 1:1 |
| ლევანტე-რომა | 0:0 |
| **ნორვეგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| მოსი-პანჯეიმი | 1:3 |
| **შვედეთი** | |
| ჰელსინგბორგი-იურგორდენი | 3:3 |
| **ფინეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| კემი-როვანიემი | 0:0 |
| **ისლანდია** | |
| ფილკირი-კეფლავიკი | 1:2 |
| გრინდავიკი-ფრამი | 3:0 |
| ჰაუკარი-სელფოსი | 2:3 |
| რეიკიავიკი-სტიარნანი | 3:1 |
| ვესტმანაიეარი-ჰაფნარი | 1:3 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **WTA. კოპენჰაგენი** | |
| ჰერცოგი-კეოტავონგი | 4:6, 6:0, 6:4 |
| კირსტეა-სრებოტნიკი | 7:5, 4:6, 6:2 |
| ჩაკვეტაძე-ლაპუშჩენკოვა | 6:3, 6:4 |
| ვოზნიაცკი-ბენეშოვა | 4:6, 6:2, 6:0 |
| **WTA. სან დიეგო** | |
| პენეტა-კირილენკო | 6:4, 7:6 |
| ჰანტუხოვა-ჟენგი | 6:2, 6:1 |

TV პროგრამა

**6 აგვისტო. პარასკევი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**06:20** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. მანჩესტერ იუნ-ბაიერნი.
**08:20** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. ვოლფსბურგი-ფულჰემი.
**10:10** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-სევილია.
**12:00** ახალი ამბები.
**12:15** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. ფულჰემი-ჰამბურგი.
**14:00** ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფის წილისყრა (LIVE).
**14:30** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**14:35** სასტვენი.
**15:30** ევროპის ლიგა. პლეი ოფის წილისყრა (LIVE).
**16:05** ახალი ამბები.
**16:25** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ბაიერნი-ლიონი.
**18:25** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**18:30** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. სიენა-ინტერი.
**20:35** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**20:40** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ლიონი-ბაიერნი.
**22:35** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**22:40** ჰოლანდიის ჩემპიონატი. როდატვენტე (LIVE).
**00:40** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ბოხუმი-ჰანოვერი.
**02:30** ჰოლანდიის ჩემპიონატი. როდატვენტე.
**04:20** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ინტერი-ბარსელონა.

**EUROSPORT**

**10:30** ტყვიის სროლა. ევროპის ჩემპიონატი. ყაზანი. რუსეთი.
**11:00** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
**11:30** ველოსპორტი. პოლონეთის ტური. V ეტაპი.
**13:00** ზაფხულის ბიატლონი. ნორვეგია.
**14:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფის წილისყრა (LIVE).
**14:30** ფეხბურთი. ემირეიტსის თასი. სელტიკი-ლიონი. ლონდონი. ინგლისი.
**15:00** ფეხბურთი. ემირეიტსის თასი. არსენალი-მილანი. ლონდონი. ინგლისი.
**15:30** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. პლეი ოფის წილისყრა (LIVE).
**16:00** ფეხბურთი. ემირეიტსის თასი. მილანი-ლიონი. ლონდონი. ინგლისი.
**16:30** ფეხბურთი. ემირეიტსის თასი. არსენალი-სელტიკი. ლონდონი. ინგლისი.
**17:00** პლაჟის ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-არგენტინა. პორტუგალია (LIVE).
**18:15** პლაჟის ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. პორტუგალია-აშშ. პორტუგალია (LIVE).
**19:30** ზაფხულის ბიატლონი. ნორვეგია.
**20:00** ტრამპლინიდან ხტომა. საზაფხულო გრან-პრი. HS 108. კვალიფიკაცია. ჰინტერცარტენი. გერმანია (LIVE).
**21:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:10** ველოსპორტი. პოლონეთის ტური. VI ეტაპი.
**22:30** რალი. IRC-ის სერია. I დღე. მადეირა. პორტუგალია.
**23:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. სან დიეგო. აშშ (LIVE).
**02:45** ტრამპლინიდან ხტომა. საზაფხულო გრან-პრი. HS 108. კვალიფიკაცია. ჰინტერცარტენი. გერმანია.

ამბები

ფორმულა 1

## შუმის მენეჯერი ციხეს გადაურჩა

ზუსტად ერთი თვე გრძელდებოდა **ვილი ვებერის** საქმის სასამართლო გარჩევა. გერმანელი, რომელიც ორი ათწლეულის განმავლობაში **მიხაელ შუმახერის** მენეჯერის ფუნქციებს ასრულებდა, თაღლითობასა და სუვენირული პროდუქციის რეალიზატორი ორი კომპანიის საკუთრების განიავებაში იყო დადანაშაულებული. საბოლოოდ, შტუტგარტის საქალაქო სასამართლომ ვებერი ხუთ პუნქტში სცნო დამნაშავედ.

68 წლის მენეჯერს გაუმართლა - მას მხოლოდ ორწლიანი პირობითი პატიმრობა აკმარეს, გარდა ამისა, ვილის საქველმოქმედო ორგანიზაციებისთვის 360 ათასი ევროს გადარიცხვა დააკისრეს.

ველოსპორტი

## ასტანა შლეკებით დაინტერესდა

**ალბერტო კონტადორის** წასვლის შემდეგ, ყაზახური „ასტანა" ახალ ლიდერს ეძებს. საჯინიბოს ვეტერანი წევრის, ყაზახი **ალექსანდრ ვინოკუროვის** ინფორმაციით, ამ მომენტისთვის ხელმძღვანელობა სამი ველომრბოლის გადაბირების ვარიანტს განიხილავს. ესენი არიან ჩეხი **რომან კროიციგერი**, რუსი **დენის მენშოვი** და შვეიცარიელი ძმები - **ანდი** და **ფრენ შლეკები**, რომლებმაც უკვე დატოვეს Saxo Bank-ის შემადგენლობა.

ადრე წერდნენ, რომ ძმებმა უკვე გააფორმეს „ასტანასთან" კონტრაქტი, თუმცა ვინოკუროვი ამ ჭორს უარყოფს: *„რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ჯერ არანაირი დოკუმენტი არ გაფორმებულა".*

მძლეოსნობა

## ბელარუსებს მედლები დაუბრუნეს

პეკინის ოლიმპიადის პრიზიორებს, ბელარუს სპორტსმენებს **ვადიმ დევიატკოვსკისა** და **ივან ტიხონს** ზაფხულის თამაშებზე მოპოვებული მედლები დაუბრუნეს. ორი წლის წინ, მათ უროს ტყორცნაში ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს, მაგრამ დოპინგის მიღებაში დაადანაშაულეს და ჯილდოები ჩამოართვეს. ბელარუსებმა სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში სარჩელი შეიტანეს და საქმე მოიგეს. დევიატკოვსკისა და ტიხონს ხელმეორედ მედლები გუშინ, მინსკში გადასცეს.

საარბიტრაჟო სასამართლომ საქმის განხილვის შემდეგ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს მძლეოსნებისთვის მედლების დაბრუნება მოსთხოვა, რადგან პეკინში ჩატარებული დოპინგ-სინჯისას დარღვევები იქნა აღმოჩენილი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

ტურნირების მიმოხილვა

# პირველი ნომრის გარეშე



იანკოვიჩი ფორმაში არ არის

ამერიკის ქალაქ სან-დიეგოში ქალებს შორის ზედიზედ მეორე პრემიერ-კატეგორიის ტურნირი მიმდინარეობს. გუშინ, პირველი ოთხი მერვედფინალი გაიმართა და ერთი მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა - რუსმა **ალისა კლეიბანოვამ** ტურნირის პირველი ნომერი, სერბი **ელენა იანკოვიჩი** გამოთიშა ბრძოლას.

წელს იანკოვიჩს კლეიბანოვასთვის ორიდან ორი შეხვედრა ჰქონდა მოგებული, ამჯერად კი თავისი არასტაბილური თამაშისა და ცუდი ფიზიკური მომზადების გამო რუსს რევანშის აღების საშუალება მისცა.

იანკოვიჩმა მატჩი ძალიან კარგად დაიწყო - 4:0 დაწინაურდა და უკვე მეორე სეტზე ფიქრობდა, როცა რუსმა მოულოდნელად თამაშს მოუმატა და მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა. თუმცა სერბმა მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება არ მისცა და ისევ სოლიდურად დაწინაურდა - 5:3, ხოლო მეათე გეიმში მიღებაზე სამი სეტ-პოინტი მოიპოვა. კლებიანოვამ საფრთხე მოიგერია, შემდეგ გეიმში სეტზე ჩაწოდების საშუალება არ მისცა იანკოვიჩს და ფსიქოლოგიური უპირატესობის ხარჯზე პარტია თავის სასარგებლოდ დაასრულა - 7:5.

პირველი სეტის ბოლოს მოგებულ ოთხ გეიმს კლეიბანოვამ კიდევ ოთხი მეორე სეტში დაუმატა და 4:0 გავიდა წინ. ახლა უკვე იანკოვიჩს მართებდა თამაშში გარდატეხის შეტანა, მაგრამ ისლა მოახერხა, რომ ორ გეიმამდე დაიყვანა ჩამორჩენა, რასაც კიდევ ორი გეიმისა და მთლიანად მატჩის წაგება მოჰყვა - 2:6. აღსანიშნავია, რომ სერბმა მარტის შემდეგ პირველად წააგო ტურნირზე საწყისი მატჩი.

მორიგი კრახით დასრულდა **დინარა საფინას** გამოსვლა. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანის აქტივში უნდა ჩაიწეროს ის, რომ ორი დღის წინ, პირველ წრეში მოგებით მან ექვსმატჩიანი წაგებათა სერია შეწყვიტა, მაგრამ მეორე დღეს რუსი უშანსოდ იყო პოლონელი **აგნიეშკა რადვანსკას** წინააღმდეგ. საფინამ პირველი პარტია 20 წუთში(!) წააგო - 1:6, მეორე სეტში კი მოუმატა თამაშს და სამი გეიმის აღება მოახერხა - 3:6. მეორე პარტია საათზე მეტხანს გაგრძელდა და დინარას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას არც ერთი ორმაგი შეცდომა არ დაუშვია - ეს პრობლემა რუსს უკვე დიდი ხანია აწუხებს.

რადვანსკა მეოთხედფინალში **შაარ პეერს** (ისრაელი) შეხვდება, რომელმაც **ანა ივანოვიჩის** დამარცხების შემდეგ, ყაზახი **იაროსლავა შვედოვა** გამოთიშა ბრძოლას - 7:5, 6:4. დღეს ბოლო მატჩში კი ავსტრალიელმა **სამანტა სტოსურმა** ორი სეტი ერთნაირი ანგარიშით - 6:4 მოუგო ამერიკელ **მელანი ოუდინს**.

კვლავ ყურადღების ცენტრშია ტურნირი წყვილთა თანრიგში, სადაც დიდ სპორტში დაბრუნებული **ლინდსი დევენპორტი** თამაშობს. ვეტერანმა ამერიკელმა **ლიზელ ჰუბერთან** დუეტში ზედიზედ მეხუთე მატჩი მოიგო - წინა კვირას სტენფორდის ტურნირზე გაიმარჯვა, სან-დიეგოში კი საწყის შეხვედრაში გაიმარჯვა. სხვათა შორის, ამ სერიის წყალობით ჰუბერმა წყვილთა რეიტინგში უკან ჩამოიტოვა **სერენა უილიამსი** და პირველი ადგილი დაიბრუნა.

**WTA**

**Mercury Insurance Open**

სან დიეგო (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 700 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**ალისა კლეიბანოვა (რუს)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 1) 7:5, 6:2; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 4)**-დინარა საფინა (რუს) 6:1, 6:3; **შაარ პეერი (ისრ, 7)**-იაროსლავა შვედოვა (ყაზ) 7:5, 6:4; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 2)**-მელანი ოუდინი (აშშ) 6:4, 6:4.

# მუსტერი მზად არ არის

ჯერჯერობით წარუმატებელია დიდ სპორტში მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანის, ავსტრიელი **ტომას მუსტერის** დაბრუნება. როლან გაროსის 1995 წლის ჩემპიონმა კარიერის განახლების შემდეგ მეორე ოფიციალური მატჩი ჩაატარა და ისევ წაგებულმა დატოვა კორტი.

ამჯერად მუსტერმა ავსტრიის ქალაქ კიტცბუელში ჩელენჯერის სერიის ტურნირში აიღო სტარტი. 42 წლის ჩოგბურთელი პირველ წრეში ATP-ის რეიტინგის 99-ე ნომერს, 25 წლის იამაიკელ **დასტინ ბრაუნს** ხვდებოდა. ტომასმა ორივე სეტი ერთნაირი ანგარიშით - 4:6 დათმო.

*„ახლა უფრო კარგად ვითამაშე, ვიდრე ბრაუნშვაიგში, მაგრამ სამუშაო ჯერ კიდევ ბევრი მაქვს. ჯერჯერობით ვერ ვახერხებ სათამაშო რიტმის პოვნას“*, - აღიარა მუსტერმა.

ავსტრიელმა 11-წლიანი პაუზის შემდეგ გადაწყვიტა კარიერის განახლება და ივნისის ბოლოს პირველად გავიდა კორტზე. ბრაუნშვაიგის ჩელენჯერის პირველ წრეში მან ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ნაკლებად ცნობილ ირლანდიელ **კონორ ნილანდს** - 2:6, 1:6.



მუსტერს უჭირს

კრივი

# ესღა აკლდა...

## მაიკ ტაისონს მეტსახელზე ედავებიან



მაიკ ტაისონი

ყოფილმა მოკრივემ **მაიკ ლენდრუმმა** სასამართლოში უჩივლა ლეგენდარულ **მაიკ ტაისონს** და მისგან 115 მილიონი დოლარი მოითხოვა. საქმე ისაა, რომ მეტსახელი - „რკინის მაიკი“ ლენდრუმის გამოგონილი ყოფილა და ვეტერანი მოკრივე სახელის მითვისებისთვის ტაისონს ედავება.

49 წლის ლენდრუმი ამტკიცებს, რომ მეტსახელს ჯერ კიდევ 1983 წელს იყენებდა, იმ დროს, როცა ტაისონმა პროფესიული კარიერა 1985 წელს დაიწყო. ლენდრუმის თქმით, ამ მეტსახელზე უფლებები სწორედ მას ეკუთვნის.

ლოს ანჯელესის ფედერალურ სასამართლოში შეტანილ სარჩელში ლენდრუმი მისი კუთვნილი მეტსახელის გამოყენებისთვის ფულად კომპენსაციას ითხოვს. არგუმენტად ის მოჰყავს, რომ ტაისონმა მას ირიბად შეუშალა ხელი სატიტულო ბრძოლების ორგანიზებაში, რადგან პრომოუტერები თავიდან იცილებდნენ სახელების არევას.

ტაისონის ადვოკატის **ტემი ბრუკის** თქმით, მას ჯერ არ უნახავს საქმის დოკუმენტები, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ლენდრუმს პროცესის მოგების არანაირი შანსი არ გააჩნია.

მაიკ ლენდრუმმა პროფესიულ რინგზე ათი ბრძოლა ჩაატარა, საიდანაც ექვსი მოიგო და ოთხჯერ დამარცხდა. ამასთან, მითითებული არ არის ამ ბრძოლის თარილები. საკრივო ვებგვერდ boxrec.com-ის ბაზაში ლენდრუმზე მინიმალური ინფორმაცია არსებობს: ცრუ „რკინის მაიკმა“ 1982-85 წლებში ორი ბრძოლა ჩაატარა და ორივე ნოკაუტით წააგო.

არატრადიციული თამაშები

# მერვედ კიოლნში



კაცები აღარ ისრიალებენ

გერმანიის ქალაქ კიოლნში სექსუალური უმცირესობების მერვე მსოფლიო თამაშები დაიწყო. ბარონ **პიერ დე კუბერტენის** ოლიმპიური იდეები მრავალი მიმართულებით განვითარდა - ტურნირებს ატარებენ სტუდენტები, რკინიგზელები, პოლიციელები, 1982 წლიდან კი ესტაფეტაში არატრადიციული ორიენტაციის წარმომადგენლებიც ჩაებნენ.

თავდაპირველად, ორჯერ Gay Games-ს სან-ფრანცისკომ უმასპინძლა, ამის შემდეგ გეებისა და ლეზბოსელების მიღების სურვილი ბევრ ქალაქს გაუჩნდა და კონკურსების ჩატარებაც კი დაიწყეს. ამჯერად კიოლნმა თამაშების ორგანიზების უფლებისთვის იოჰანესბურგი და პარიზი დაამარცხა.

რიგით მერვე თამაშებზე დაახლოებით 10 ათასი სპორტსმენი შეიკრიბა, თუმცა 1998 წელს ამსტერდამში დამყარებულ რეკორდს საკმაოდ ბევრი დააკლდა - მაშინ 13 ათასი არატრადიციული სპორტსმენი ჩაება სტარტებში. წლევანდელ პროგრამაში ვერ მოხვდა გასული წლების ერთ-ერთი ყველაზე ეგზოტიკური სახეობა - ფიგურული სრიალი მამაკაც წყვილებს შორის (იხილეთ ფოტო).

სამაგიეროდ, გახსნის ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა **გვიდო ვესტერველემ**, რომელიც არ მალავს თავის არატრადიციულ ორიენტაციას. გარდა ამისა, Gay Games-ის ორგანიზატორებმა კიოლნში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გეი-სპორტსმენი - **მეტიუ მიტჩემი** დაპატიჟეს. პეკინის ოლიმპიადაზე ავსტრალიელი ერთადერთი წყალში მხტომელი იყო, რომელმაც ზაფხულის თამაშებზე ჩინელთა ჰეგემონია დაამხო და ოქროს მედალი მოიპოვა.

ცურვა

# ფელპსის ახალი რეკორდი

14-გზის ოლიმპიური ჩემპიონი **მაიკლ ფელპსი** ახალი რეკორდის მფლობელი გახდა. ამ დღეებში ლეგენდარული მოცურავე ამერიკის ჩემპიონატში იღებს მონაწილეობას და უკვე ოქროს ერთი მედლის მოგებაც მოასწრო. ეს იყო მაიკლის 49-ე (!) ტიტული ეროვნულ ჩემპიონატში, რაც აბსოლუტური რეკორდი გახლავთ.

ფელპსმა ბატერფლაით 200 მეტრი წუთსა და 45,61 წამში გაცურა, რაც საკმარისი აღმოჩნდა ოქროს მედლის მისაღებად. ამით მაიკლმა გააუმჯობესა **ტრეისი კოლკინსის** რეკორდი, რომელსაც აშშ-ის ჩემპიონატზე 48 ტიტული ჰქონდა მოგებული.

თავად ფელპსმა განაცხადა, რომ ეს რეკორდი ნაკლებად აინტერესებდა. მისთვის მთავარი იყო ნაჩვენები დრო, გუშინდელმა შედეგმა კი ლეგენდარული სპორტსმენი არ დააკმაყოფილა.

*„საშინელებაა, - განაცხადა ამერიკელმა. - თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ“.*

ფელპსი ამერიკის ჩემპიონატზე კიდევ სამ დისტანციას გაცურავს.



ფელპსი ისევ პოდიუმზეა

**გვერდი მოამზადა**
**გია თვალაბეიშვილმა**